



# მ ა ტ ი ა ნ ე მ

ჟურნალი გამოდის 1989 წლიდან, 6 დეკემბერი, 2022 წ., № 3-4 (41-42)

მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება  
„საქართველოს ჰელსინკის კავშირი -  
- ეროვნული ადორძინების“  
თავისუფალი საზოგადოებრივ-პოლიტიკური  
ჟურნალი



დინამის მიმართულებას  
მხოლოდ მკვდარი თევზები  
მიჰყვებიან!



„მე არავითარ იარაღს არ ვატარებ, გარდა სიმართლის ჭურვისა.  
სიმართლე და მხოლოდ სიმართლე გაბგათავისუფლებს.  
ჩემმა ცილისმნამებლებმა იციან, რომ საუკუნეების განმავლობაში  
კალამი იყო და იქნება მახვილზე უფრო ძლევაბოსილი.  
ისტორია იქნება ჩემი მოსამართლე და ისტორიკოსები იძყვიან  
საბოლოოდ სიმართლეს და ყველაფერს თავის ადგილს  
მიუჩენენ.“

გვიად გამსახურდია

**მადლობა ... ჩვენს მძრებს!**  
**მადლობა ჩვენს ბოროტ, შურიან და სულელ მძრებს,**  
**იმათ, ვინც არ გვიცნობს და ვერასოდეს გაგვიცნობს.**  
**რამდენი დამსახურება აქვთ მათ ჩვენს მიმართ?!**  
**ღმერთო, უჩვენოთ, ნუ დაგვიჩაჩი ჩვენს მძრებს!**  
**სიკეთით გაუთენა მათ ხვალინდელი დღე, რომ ერთი წამითაც კი**  
**არ მოვდუნდეთ ცხოვრებაში და მუდამ თავისუფალი ვიყოთ!**



## მ ი მ ა რ თ ვ ა - მ ა ნ ი ფ ე ს თ ი

**მსოფლიოს თანამშობარ სახელმწიფოთა ხელისუფალთ, მათ მიმართველ კოლიტიკურ ორგანიზაციებსა და მისვამრთ, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის საერთაშორისო ორგანიზაციებს**

**საქართველოს პრეზიდენტს, საქართველოს პრემიერ მინისტრს, საქართველოს კარლამენტის თავმჯდომარეს, საქართველოს მოქალაქეთა კოლიტიკურ ბაერთიანებებს, საქართველოს საზოგადოებრივ და არასამთავრობო ორგანიზაციებს და საქართველოს ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ორგანიზაციებს**

მოგესხენებათ, ცივილიზაციის განვითარება იმ ფაზაში შევიდა, როდესაც მოწინავე დემოკრატიული ქვეყნები ერთობლივად ცდილობენ გადაჭრან ზოგადსაკაცობრიო პრობლემები. ცხადია, მსოფლიოს ახლებურად მართვის ეტაპზე დიდად მნიშვნელოვანია მოვლენების ახლებურად განსჭვრეტა და წარმართვა. მსოფლიო პროცესები საკმაოდ პრობლემატური და იმდენად დაჩქარებულია, რომ უახლოეს ხანში ამ წინააღმდეგობათა მოუგვარებლობა უაღრესად ზრდის საყოველთაო კატასტროფის შესაძლებლობას.

მშვიდობისათვის, თავისუფლებისათვის, სამართლიანობისათვის ბრძოლა მოწინავე მსოფლიო საზოგადოებრივი აზრის ერთ-ერთ ძირითად ამოცანას წარმოადგენდა და წარმოადგენს დღესაც. კაცობრიობის, მოქალაქეობრივი შემწყნარებლობის, მოქალაქეთა უფლებრივი გარანტიების დაცვის უმაღლესი შეგნება, ყოველთვის სახელმწიფოებრიობის ფუძემყარ საფუძველს უნდა წარმოადგენდეს, ურომლისოდაც ვერც ერთი ქვეყანა ვერ განვითარდება და განმტკიცდება როგორც სახელმწიფო, მაგრამ მართლ პროგრესული, დემოკრატიული აღმშენებლობის სურვილი საკმარისი არ არის ქვეყნის ეროვნულ-სახელმწიფოებრივი აღორძინებისათვის, მას ხელი უნდა შეუწყოს სახელმწიფოს საგარეო და საშინაო პოლიტიკის სწორად წარმართვამაც, რომელიც ამ სახელმწიფოს ისტორიულად ჩამოყალიბებულ, ევოლუციურად აღმავლობაში მყოფი მისივე ბუნებიდან გამომდინარეობს და სარგებლობს როგორც სახელმწიფოს მკვიდრი ხალხის, ასევე მსოფლიოს თავისუფლებისმოყვარე ხალხთა საყოველთაო მოწონებით.

ჩვენი სააზროვნო არსენალიდან დღეს ბევრი რამ საჭიროებს აუცილებელ სამართლებრივ გამოსწორებას, სულიერ ფასეულობათა სასწრაფო და გადაუდებელ გადარჩევა-გადაფასებას, რაც დამყარებული იქნება სამართლიანობისა და კანონიერების ბაზაზე და მომავალში სახელმწიფოთა და ერების ისტორიული მესხიერების, დროთა მიერ ტრაგიკულად დარღვეული კავშირისა და „ჩატეხილი ხიდების“ გამთელების აუცილებელ წინაპირობად უნდა იქცეს.

სიცოცხლისათვის, არსებობისათვის, გადარჩენისათვის, სიცვარულისათვის, მემკვიდრეობის დატოვება-გაგრძელებისათვის, სწავლისა და ზრდა-განვითარებისათვის ბრძოლამ დღეს მოითხოვა როგორც ადამიანის, ასევე სახელმწიფოთა ახალი პარადიგმის აუცილებლობის შეჭქმნა: გულისხმიერად მოქცევა, შემოქმედებითად გამოყენება და საზოგადოებისათვის პატიოსანი სამსახური დადგა დღის წესრიგში. ადამიანმა და სახელმწიფომ უნდა გააკეთოს არჩევანი დაბალი იერარქიიდან მაღლისაკენ: წინააღმდეგობა-აჯანყებიდან, ბოროტი დამორჩილებიდან და საკუთარი სურვილის დათმობიდან ხალხისიან თანამშრომლობამდე, გულსავსე ვალდებულებამდე და შემოქმედებით აღტკინებამდე.

თავიდანვე, ჩვენი თავის უკეთ შეხსენებისათვის მოგახსენებთ:

როგორც მსოფლიოს საზოგადოებრიობისათვის არის ცნობილი, ვინაიდან გასული საუკუნის გარიჟრაჟზე საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა კანონიერი გზით არ გაუქმებულა, საქართველოს კანონიერ მთავრობას კაპიტულაციამზე ხელი არ მოუწერია, არ არსებობდა საქართველოს სსრკ-ის შემადგენლობაში შეყვანის სამართლებრივი საფუძველი.

1991 წლის 9 აპრილს საქართველოს რესპუბლიკის საკანონმდებლო ორგანომ - უზენაესმა საბჭომ 31 მარტის რეფერენდუმის შედეგებზე დაყრდნობით აღადგინა 1918 წლის 26 მაისს გამოაცხადებული დამოუკიდებლობა ამ პერიოდის სახელმწიფოებრივი საზღვრებისა და ყველა შესაბამისი ნიშნების ჩათვლით. დამოუკიდებლობის დღედ გამოცხადდა 9 აპრილი.

1991 წლის 21 დეკემბრიდან დაიწყო სახელმწიფო - საქართველოს რესპუბლიკის ცნობა და საქართველოს ტერიტორია, ფაქტობრივად, მაგრამ არასამართლებრივად, განისაზღვრა 1991 წლის 21 დეკემბრის მდგომარეობით, რაც ნიშნავს, რომ საქართველოს ტერიტორიისა და, შესაბამისად, საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დადგენის საფუძვლად, ასევე არასამართლებრივად აღიარებულ იქნა საბჭოთა კავშირის არსებობის პერიოდში მოკავშირე რესპუბლიკებთან საქართველოს სსრ-ის ადმინისტრაციული საზღვრები, რაც არასამართლებრივად სახელმწიფო დამოუკიდებლობა ასევე მცდარად მიება არა 1918 წლის დამოუკიდებლობის აქტს, არამედ არალეგიტიმურად განსაზღვრულ, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ მიღებულ ტერიტორიულ მონაცემებს, რაც ასევე არალეგიტიმურად სახელმწიფო გადატრიალების შედეგად ე. წ. ხუნტისა და მისი სამართალმემკვიდრე არალეგიტიმური იმდროინდელი ხელისუფლების ფარული გარიგების შედეგად არაკანონიერად მიღებულ იქნა გაერო-ს, საერთაშორისო თანამეგობრობისა და ორგანიზაციების მიერ. თუმცა გაეროს ჩანაწერებში, რომლის მოძიება გართულებულია, საქართველოს რესპუბლიკა იურიდიულად და ფაქტობრივად, მაგრამ არასამართლებრივად აღიარებულ იქნა მისი საბჭოთა კავშირის ადმინისტრაციულ საზღვრებში, თუმცა ასევე შესაბამის ჩანაწერებში არის აღნიშნული მისი სამართლებრივად სწორი აზრიც, რომ გაეროს გადაწყვეტილება ასევე ეყრდნობა 1991 წლის 31 მარტის საყოველთაო რეფერენდუმის შედეგებზე დაყრდნობითა და 1918 წლის მაისს გამოცხადებული დამოუკიდებლობის აქტს იმდროინდელი სახელმწიფო ტერიტორიების გათვალისწინებით. ეს ორი ურთიერთსაპირისპირო აზრი მიუღებელია ასეთი რანგის გადაწყვეტილებისათვის და სათანადო გამოკვლევის საგანია!

თუ დროებით დავუბრუნდებით სამართლებრივ პერიოდს, 1991 წლის დეკემბრის პერიოდს, რა დროსაც ექსტრემისტული ძალები გარედან უხეში ჩარევის შედეგად მალევე აწყობენ სახელმწიფო-სამხედრო-კრიმინალურ გადატრიალებას, დევნიან კანონიერ ხელისუფლებას, ქვეყანაში იწყებენ ტერორსა და ძალადობას.

ახლა უკვე საყოველთაოდ აღიარებულია, რომ საქართველოში 1991-93 წლების შეიარაღებული, სისხლიანი სახელმწიფო, სამხედრო, კრიმინალური გადატრიალების გზით დაამხეს კანონიერი ეროვნული, სახალხო ხელისუფლების ყველა შტო და შესაძლებლობა მოუსპეს ლეგიტიმურ ხელისუფლებას ეწარმოებინა აქტიური პოლიტიკა სახელმწიფოებრიობის აღორძინებისა და განვითარების მიმართულებით, დაამკვიდრეს ანტისახელმწიფოებრივი და ანტისახალხო კრიმინალური, ნომენკლატურული რეჟიმი.

საქართველოს ტერიტორიულ დანაწევრებას სათანადო გეზს აძლევდა გეოპოლიტიკური ტენდენციები და მათ განსახორციელებლად შემუშავებული ქვეყნის შიდა, თუ გარე ფარული სქემები. გადატრიალებამ ამ მხრივაც ძირითადი სამართლებრივი ბაზა გამოაცალა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობას.

1991-93 წლების სახელმწიფო გადატრიალებამ და ხუნტის მიერ კანონიერი კონსტიტუციის შეჩერებამ დაარღვია ზემოთაღნიშნული მოწესრიგებული სახელმწიფოებრივი მდგომარეობა. კანონიერი კონსტიტუციის შეჩერებით გაუქმდა და არ არსებობდა კანონი, რომელიც არეგულირებდა ქვეყნის ასევე ადმინისტრაციულ დამოუკიდებლობას საქართველოს ხელისუფლებასა და აფხაზეთისა და სამაჩაბლოს - ე. წ. „სამხრეთ ოსეთის“ ხელისუფლებას შორის, რისი ერთ-ერთი ძირითადი შედეგიც არის 2008 წლის აგვისტოს რუსეთ-საქართველოს ომით გამოწვეული ტერიტორიების შემდგომი ფაქტობრივი დაკარგვა და მსოფლიო ცივილიზებული ქვეყნების აზრის საწინააღმდეგოდ რუსეთის მიერ ცალმხრივად აფხაზეთისა და ე. წ. „სამხრეთ ოსეთის“ „რესპუბლიკების“ დამოუკიდებლობის ცნობა...

ამასთან, აღსანიშნავია, რომ საქართველოში 1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმის საფუძველზე 1991 წლის 9 აპრილს მიღებულ იქნა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტი 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის გამოცხადების აქტის საფუძველზე. საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა კი, იმას ნიშნავდა, რომ საქართველოს სახელმწიფო დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ იქნებოდა 1918 წელს არსებული საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართალმემკვიდრე იმ დროს არსებული ტერიტორიების ჩათვლით. თუმცა, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ მსოფლიოს სახელმწიფოებმა და გაერომ საქართველოს დამოუკიდებლობა მალულად, არასამართლებრივად ცნეს არა როგორც საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართალმემკვიდრის, არამედ როგორც საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის დაშლის შედეგად სამართალმემკვიდრე სახელმწიფო. დღეს ზოგიერთნი ღალატდებენ, რომ საქართველომ სამართლებრივად დაკარგა 20%. შევხედოთ სამართლებრივ 1918 წლის რუქას, სამართლებრივი დანაკარგი 50-60% -ზე მეტია!

ყველა უბედურება, რაც საქართველოს დაატყდა თავს 1992 წლიდან, ლეგიტიმურობის დარღვევითაა გამოწვეული და დღესაც არ ძალუძთ ლეგიტიმურობაზე დაბრუნება.

1991-1993 წლების შეიარაღებულმა სამხედრო-კრიმინალურმა სახელმწიფო გადატრიალებამ საფუძველი დაუდო ტოტალურ უკანონობას, ქვეყნის დამოუკიდებლობისა და ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფას, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა მასობრივ დარღვევებს, დაამკვიდრა რა ძალმომრეობის კულტი, მოსახლეობის ნაწილში დაამდაბლა სამართალშეგნება, ან სულაც უარი ათქმევინა მას კანონის უზენაესობის პრინციპზე. ამან კი თავისთავად დააბრკოლა საქართველოში სამართლიანობის, დემოკრატიისა და თავისუფლების განმტკიცება, ქართული დამოუკიდებელი სახელმწიფოს გაძლიერება და, ამასთან, ქვეყნის საკაცობრიო განვითარებაც. ცხადია, შექმნილმა ვითარებამ განსაზღვრა თავისუფლებისა და დემოკრატიის საფუძვლად ძალადობის მიჩნევა, რამაც მრავალ უკიდურესობას მისცა გასაქანი.

არადა, დღეს საქართველო კვლავ ქვეყნის არაკანონიერ ხელისუფალთა შეცვლა-ჩანაცვლების არასამართლებრივ და არალეგიტიმურ პროცესშია. ქვეყანა კვლავაც სახელმწიფო გადატრიალებების და ვითომ სახალხო ჯანყი-ბრძოლებში დაღვრილ სისხლიან გზაზე დგას. გრძელდება შემოთავაზებული, მოჩვენებითი, ყალბ სამართლებრივ-კანონიერ ჩარჩოებში მოქცეული ე. წ. „დემოკრატიულ არჩევნებში“ მონაწილეობის მორიგი სპექტაკლები. მხოლოდ სამართლებრივი და კანონიერი არჩევნების გზით მოსული ერთადერთი ლეგიტიმური ხელისუფლება უნდა გახდეს სამართლებრივად წარმომადგენლობითი დემოკრატიის პირმშო, საერთო-ეროვნული სუვერენიტეტის განსახიერება და არა სახელმწიფო გადატრიალების პროდუქტი.

საქართველოს მოსახლეობის ფართო ფენების მიზიდულობის ცენტრი უდავოდ სამართლებრივი, კანონიერი და ეროვნული სუვერენიტეტის აღდგენის იდეა უნდა იყოს და იგი ეროვნულ-სახელმწიფოებრივი აღორძინების კონტექსტში უნდა გავიანბნოთ. ეროვნულ-პოლიტიკურ თვითიდენტიფიკაციაში უნდა დავინახოთ ამ მოვლენის არსი და ნომენკლატურულმა ფაქტობრივმა რეჟიმმა სწორედ რომ ვერ უნდა გაუწიოს რეალური წინააღმდეგობა სამართლებრივი, კანონიერი, ეროვნული ძალების ხელისუფლების სათავეში დაბრუნების პროცესს, რამეთუ პოლიტიკური ტრანსფორმაციის შეფასება კომპლექსურ-ინდუქციური პოლიტიკური ანალიზის საფუძველზე გაცილებით მართებული, ობიექტური იქნება და უნდა შეფასდეს შემდგომ მნიშვნელოვან მოვლენებთან ერთად სისტემაში და არა მათგან იზოლირებულად, განყენებულად.

პრეცედენტული და მისასაღმებელია, რომ დღესაც არსებობს სამართალმემკვიდრე, კანონიერი ხელისუფლების, საქართველოს რესპუბლიკის დევნილი ხელისუფლების ეროვნული ინსტიტუციები და კანონიერი სახელისუფლებო წარმომადგენლობა, ლეგიტიმური საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის სახით. დღესაც და იმედია უახლოეს მომავალშიც რეალურად შესაძლებელია მისი ერთიანი, კანონიერი საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლების ბაზის ფაქტობრივი მოქმედება.

როგორც მოგეხსენებათ, ლეგიტიმურობა კანონიერებას, სამართლებრივი საფუძვლების არსებობას ნიშნავს. ასევე ცნობილია დევნილი ხელისუფლების - საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის - საკუთრივ სამშობლოში, თუ სხვა ქვეყანაში დევნილობაში მოქმედება, სამართლებრივი თუ პოლიტიკური თვალსაზრისით მისი პრეცედენტულობა.

მიგვაჩნია, რომ კანონიერი ხელისუფლების სამართალმემკვიდრეობის ლეგალიზაცია და აღდგენა გარდამტეხ როლს შეასრულებს ქვეყანაში სამართლიანობისა და ამომრჩეველთა ღირსების აღდგენის და ზოგადად, საქართველოს სახელმწიფოს მონყობის თვალსაზრისითაც. ცხადია, ამას ხელი უნდა შეუწყოს საერთაშორისო დონეზე გლობალურმა პროცესებმაც, რისი იურიდიული ბაზა, საჭიროებისამებრ, უნდა შექმნას მსოფლიო თანამეგობრობამ, თუნდაც მაგალითისათვის, გაეროს გენერალურმა ასამბლეამ, სპეციალური დეკლარაციით, რითაც ბოლო მოეღება ე. წ. თალასოკრატიული სახელმწიფოების არსებობას. მათ ტერიტორიულ-სახელმწიფოებრივ სტრუქტურას მეტროპოლია-კოლონიის სუბორდინაციის სისტემაზე აგებული იურიდიული ხასიათი უნდა ჰქონდეს.

ლეგიტიმურობა აუცილებელია იყოს სამართლებრივ-კანონიერი, ანუ რაციონალური. მთავარი ამოცანაა სამართლებრივი, კანონიერი და დემოკრატიული სახელმწიფოს აღორძინება და აღმშენებლობა.

თავისუფლება უფლებებისა და მოვალეობების გონივრული განწონასწორებაა. ერიც და პიროვნებაც, ასევე მათ შორის ურთიერთობა, ამის საფუძველზე უნდა ყალიბდებოდეს. რამეთუ დამოუკიდებლობა და თავისუფლება ერთი და იგივე არ არის. დამოუკიდებლობა მხოლოდ



პირველი ნაბიჯია თავისუფლებისაკენ, მას საქართველომ ჰერ კიდევ ეროვნული ხელისუფლების დროს - 1990-1991 წლებში მიაღწია, მაგრამ შემდეგ ჩვენმა სახელმწიფომ ფაქტობრივი, უკანონო ხელისუფლებების სახით, სამწუხაროდ, გვმი არ აიღო თავისუფლებისაკენ. დამოუკიდებლობის მოპოვება ურთულესი პროცესია. ფსიქოლოგიასა და ფილოსოფიაში ცნობილია ტერმინი - შიში დამოუკიდებლობისადმი. 1991-1993 წლების სახელმწიფო გადატრიალებიდან მოყოლებულ ფაქტობრივ ხელისუფალთ სწორედ ეს შიში სჭირდათ და სჭირთ, რაც უკან გვხვებს თავისუფლებისაკენ სავალ გზაზე. ამით კი, საფრთხე ჩვენს თავისუფლებასთან ერთად ემუქრება დამოუკიდებლობასაც, რომელიც თავისუფლების გარეშე დიდი ვერაფერი ღირებულებაა. დამოუკიდებლობასა და თავისუფლებას შორის არსებული დიდი განსხვავების არცოდნამ მიიყვანა ფაქტობრივი ხელისუფლება აქამდე.

ამასთანავე მოგახსენებთ, რომ XX საუკუნის საქართველოში ადამიანის უფლებათა დაცვისათვის ბრძოლას თავისი ისტორია აქვს და იგი დაკავშირებულია საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის - ბატონ ზვიად გამსახურდიას სახელთან, რომლის თაოსნობით 1976 წელს შეიქმნა „ჰელსინკის ხელშეკრულებისათვის“ ხელშემწყობი ჯგუფი, რომელიც თავს დამტყდარი დევნისა და რეპრესიების მიუხედავად განაგრძობდა ადამიანის უფლებათა დაცვას და მსოფლიოს ინფორმირებას საქართველოში შექმნილი მძიმე ვითარების შესახებ.

„საქართველოს ჰელსინკის ჯგუფის“ საქმიანობა თავიდანვე წარმოადგენდა საქართველოში მანამდე არსებული ადამიანის უფლებათა დაცვის საინიციატივო ჯგუფის საქმიანობის გაგრძელებას და უფრო ფართო მასშტაბით გაშლას. კერძოდ, ჯგუფის მიზანი იყო „ჰელსინკის შეთანხმების“ აქტის პოპულარიზაცია, თვალყურის დევნება, თუ როგორ სრულდებოდა ეს ხელშეკრულება საქართველოში, როგორ ხორციელდებოდა მისი ჰუმანიტარული პუნქტები. 1989 წლის მაისიდან „საქართველოს ჰელსინკის ჯგუფი“ გაიზარდა და გარდაიქმნა „საქართველოს ჰელსინკის კავშირად“, ხოლო ოქტომბერში „საქართველოს ჰელსინკის კავშირი - ეროვნულ ალორძინებად“ (შემოკლებულად „საქართველოს ჰელსინკის კავშირი“). კავშირის სახელწოდებას დაემატა მისი მიზანი, რასაც ისახავდა ორგანიზაცია - „ეროვნული ალორძინება“.

ამრიგად, „საქართველოს ჰელსინკის კავშირი - ეროვნული ალორძინება“ არის თანამოაზრეთა საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაერთიანება, საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის - ბატონ ზვიად გამსახურდიას მიერ საქართველოში 1976 წელს შექმნილი „ჰელსინკის ხელშეკრულებისათვის“ ხელშემწყობი ჯგუფის, შემდგომ „საქართველოს ჰელსინკის კავშირისა“ და მოგვიანებით მისი საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ორგანიზაციად გარდაქმნის შედეგად ჩამოყალიბებული ორგანიზაცია „საქართველოს ჰელსინკის კავშირი - ეროვნული ალორძინების“ სამართალმემკვიდრე, საქმიანობისა და ტრადიციების გამგრძელებელი.

კავშირის საქმიანობის ფუძემდებლურ პრინციპებს წარმოადგენს ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების დაცვა. კავშირი მიიჩნევს, რომ ამ პრინციპებიდან გამომდინარე ადამიანის ეკონომიკური, კულტურული, რელიგიური, ეროვნული, სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების ცხოვრებაში გატარება წარმოადგენს ადამიანის ღირსებების უზრუნველყოფის, მისი კანონიერი რეალიზაციის, მსოფლიოში თავისუფლების, სამართლიანობისა და მშვიდობის, დემოკრატიული და სამართლებრივ სახელმწიფოთა მშენებლობის, მათი მშვიდობიანი თანამშრომლობის საძირკველს.

კავშირი პატივს სცემს ხალხთა თანასწორუფლებიანობას, საკუთარი ბედის გამგებლობას, მხარს უჭერს საომარი კონფლიქტების, გათიშულობისა და კონფრონტაციის თავიდან აცილების სამშვიდობო ცივილიზებულ პოლიტიკას.

კავშირი იბრძვის ადამიანის უფლებების დარღვევის ნებისმიერი გამოვლინების წინააღმდეგ, საქართველოს სახელისუფლებო კანონიერებისა და ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა-შენარჩუნებისათვის, საქართველოს მკვიდრი მოსახლეობის პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და ეკოლოგიური კატასტროფის წინააღმდეგ, დემოგრაფიული ექსპანსიის შესაჩერებლად, ეროვნული თანხმობისა და ერთიანობისათვის, რათა მაქსიმალურად იქნას უზრუნველყოფილი ყველა ის ძირითადი უფლებანი, რომლებიც განსაზღვრულია საერთაშორისო სამართლის ნორმებით.

კავშირი, დასახული მიზნების მისაღწევად, ყოველთვის მჭიდროდ თანამშრომლობდა ადამიანის უფლებათა საერთაშორისო და საშინაო სამართალდამცავ ორგანიზაციებთან, გაერთიანებებთან, სახელმწიფო საელჩოებთან, მასობრივი ინფორმაციის დეპარტამენტებთან, ცალკეულ მოქალაქეებთან. „საქართველოს ჰელსინკის კავშირი - ეროვნული ალორძინება“ მხარს უჭერს ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირების დასკვნით აქტებსა და მასალებს. ადამიანის უფლებებსა და ძირითადი თავისუფლებების დარგში მოქმედებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებისა და ადამიანის უფლებათა საყოველთაო

საერთაშორისო დეკლარაციის მიზნების, დებულებებისა და პრინციპების შესაბამისად, ეყრდნობა ადამიანის მოქალაქეობრივი და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო აქტებს.

„საქართველოს ჰელსინკის კავშირი - ეროვნული აღორძინების“ ამოცანაა ასევე, ყველა სფეროში ერის პოტენციალის მაქსიმალური გამოვლენა, ეროვნული ინტერესების დაცვა, ერის თვითმყოფადობის, მეცნიერებისა და კულტურის აღორძინება, ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების დამკვიდრება, საკუთარი იერსახის შენარჩუნება-განვითარებით მსოფლიო ცივილიზაციაში ქართველი ერისათვის ღირსეული ადგილის დამკვიდრება. კავშირის საქმიანობის ფუძემდებლურ პრინციპებს ამკარად მივყევართ მომავლისაკენ, სადაც წარმატების კრიტერიუმი შრომა, ნიჭი და მსახურება იქნება, სადაც მთავარია: შესაძლებლობა, პასუხისმგებლობა და სოციალური სოლიდარობა.

კავშირის ფუძემდებლურ პრინციპებს წარმოადგენს ასევე ქვეყანაში ახალი ეკონომიკური რეფორმისტული პროგრამების შემუშავება და დანერგვა, როგორცაა: ინსტიტუციონალური რეფორმა, მაკროეკონომიკურ სტაბილიზაცია, ფასების რეფორმა და საწარმოების პრივატიზაცია-რესტრუქტურირება, ასევე ღია ეკონომიკის განვითარება, ფიზიკური და ადამიანური რესურსების აკუმულირება და ტექნოლოგიური განვითარება.

კავშირს კვლავაც სურს იღვანოს, რათა ჩვენს ქვეყანაში შეიქმნას: 21-ე საუკუნის ახალი ცოდნის საზოგადოება, ახალი ლიდერები; ახალი მსოფლიო პოლიტიკა და ეკონომიკა; ახალი მართვის ხელოვნება, ქართული ინოვაციების სახეობები; ახალი რეგიონალური პოლიტიკა - ე. წ. „სახსიდიარობა“, ანუ დეცენტრალიზაცია; სოციალური უსაფრთხოების ბაღეები და ახალი სოციალური სექტორი.

კავშირი კვლავ განაგრძობს ბრძოლას სახელმწიფოს ახალი ეკონომიკური, პოლიტიკური და სულიერი სიძლიერისათვის, კრიმინალის, კორუფციის, სიღატაკის, უსამართლობის, გულგრილობის, უცოდინარობის, უსულგულობის დასამარცხებლად და მისი მთავარი მიზანია გამარჯვება, რომელიც ჩვენი შვილების მომავალს ეძღვნება.

კავშირს დასახული მიზნების მისაღწევად, კვლავ სურს განაგრძოს მჭიდრო თანამშრომლობა ადამიანის უფლებათა საერთაშორისო და ადგილობრივ სამართალდამცავ ორგანიზაციებთან, პარტიებთან, გაერთიანებებთან, სახელმწიფო საელჩოებთან, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებთან, ცალკეულ მოქალაქეებთან, რომელთა საქმიანობა არ ეწინააღმდეგება კავშირის წესდებასა და პროგრამას.

ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებისათვის ბრძოლა ხომ მოწინავე მსოფლიო საზოგადოებრივი ამრის ერთ-ერთ ძირითად ამოცანას წარმოადგენდა და წარმოადგენს დღესაც. კაცობრიობის, მოქალაქეობრივი შემწყნარებლობის, მოქალაქეთა უფლებრივი გარანტიების დაცვის უმაღლესი შეგნება, სხვადასხვა ქვეყნის, მათ შორის ქართველ ჰუმანისტთა მთელი პლეადა, ყოველთვის სახელმწიფოებრიობის ფუძემყარ საფუძველს უნდა წარმოადგენდეს, ურომლისოდაც ვერც ერთი ქვეყანა ვერ განვითარდება და განმტკიცდება როგორც სახელმწიფო, რადგან თუ ის სახელმწიფოა, მაშინ სწორედ მან უნდა შეუწყოს ხელი პიროვნების გათავისუფლებას ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვით.

უკანასკნელი 30 წლის განმავლობაში განვითარებულმა მსოფლიო პოლიტიკურმა და ეკონომიკურმა ძვრებმა იმედია წარსულს ჩააბარეს დრო, როდესაც ბოროტ იმპერიას შეეძლო ცინიკურად და ქედმაღლურად გაეთელა მსოფლიო საზოგადოებრივი ამრი. იმთავითვე უაღრესად რთული ამოცანის წინაშე აღმოჩნდა 1975 წლის ზაფხულში ფინეთის დედაქალაქში დანწყებული პროცესი. მას ხელი უნდა შეეწყოს ადამიანის უფლებათა რეალიზაციისათვის ბარიკადების ორივე მხარეს - დასავლეთშიც და აღმოსავლეთშიც. მისი კეთილშობილი საქმიანობის შთამბეჭდავ შედეგებზე მეტყველებს თუნდაც ის ფაქტი, რომ საბოლოო ჯამში იგი იქცა ერთადერთ საერთო ინსტიტუტად, რომელმაც „ცივი ომის“ დამთავრებას მიაღწია. უკვე არსებული ევროპული ოფიციალური ორგანიზაციებისაგან „ჰელსინკის მოძრაობას“ მუდამ ჰქონდა და დღემდისაც შემოინარჩუნა კლასიკური ანტიბიუროკრატიული ხასიათი.

„საქართველოს ჰელსინკის კავშირი - ეროვნული აღორძინებას“ საქართველოს რესპუბლიკის მთავრობასთან ერთად შემუშავებული აქვს კონკრეტული საკანონმდებლო პროექტები, რომელშიც ცხადია რელიეფურადაა წარმოდგენილი საერთაშორისო სამართლის ნორმებით განსაზღვრული მუხლები ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებებისა, რომლის აღსრულებისათვის ჩვენი ორგანიზაცია მაქსიმალურ ძალისხმევას გაიღებს, რადგან იგი პატივს სცემს კონსტიტუციურ კანონს და ადამიანურ მოვალეობას.

„საქართველოს ჰელსინკის კავშირი - ეროვნული აღორძინება“ იყო არის და მომავალშიც სურს იყოს ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის საკითხებში მებრძოლი რეალური ძალა.

კავშირი 1976 წლიდან არის „საერთაშორისო ამნისტიის“ (ცენტრი-ლონდონში) წევრი, 1990 წლის 22 სექტემბრიდან არის „ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო ასოციაციის“ (IGFM-ISHR, მაინის ფრანსკურტი) ასოცირებული წევრი.

„საქართველოს ჰელსინკის კავშირი - ეროვნული აღორძინება“ მჭიდროდ თანამშრომლობდა და კვლავაც სურს გააფართოვოს ურთიერთობები აშშ-ს სამართალდამცავ ორგანიზაცია „ჰიუმან რაიტს ვოჩთან“ და ამერიკის კონგრესის ჰელსინკის ჯგუფთან, ბრიტანეთისა და ფინეთის ჰელსინკის ჯგუფებთან, ფინეთის პარლამენტის ე. წ. „საქართველოს ჯგუფთან“, პატიმართა უფლებების დამცავ ორგანიზაცია „საერთაშორისო ამნისტიასთან“ (ინგლისი) და ა.შ.

ყოველივე ეს და არაერთი სხვა მასალა თვალნათლივ ადასტურებს „საქართველოს ჰელსინკის კავშირი - ეროვნული აღორძინების“ საერთაშორისო სტატუსსა და ავტორიტეტს.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობასა და „საქართველოს ჰელსინკის კავშირი - ეროვნული აღორძინებას“ აქვს ქვეყნისა და კავკასიის რეგიონის განვითარების კონკრეტული სამართლებრივი გზა, რომელსაც პოსტულატებად, შემდგომშიც წარმოგიდგინთ განხილვებისათვის, ერთი რამ კი ცხადია:

აუცილებელია სახელმწიფოებრიობის სამართლებრივი წყვეტის აღმოფხვრა და მომავალი ლეგიტიმური, სამართლებრივი საყოველთაო არჩევნების დანიშვნა-ჩატარება, რამეთუ სწორედ ასეთ არჩევნებში მონაწილეობის მიღებასა და გამარჯვებას აქვს აზრი. მხოლოდ მას შემდეგაა შესაძლებელი და აუცილებელი საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა, ემიგრანტთა, ლტოლვილთა და დევნილთა მშობლიურ კერაზე დასაბრუნებლად ხელსაყრელი პირობების რეალურად შექმნა. ლეგიტიმური საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის მიზანი არ არის თანამდებობების დაბრუნება, არამედ ჩვენს ქვეყანაში კანონიერებისა და სამართლიანობის პირობებში კანონიერი ხელისუფლების აღდგენაა.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობას და მასთან ლეგიტიმური ხელისუფლების მმართველი პარტია - „საქართველოს ჰელსინკის კავშირი - ეროვნული აღორძინება“ ასევე იმედოვნებს, რომ სრული მხარდაჭერა ექნება ფორს-მაჟორულ სიტუაციაში საერთაშორისო თანამეგობრობისაგან და მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის სახელისუფლებო ორგანოებისგან. რამდენადაც უახლესმა ისტორიამ დაგვანახა, რომ სხვაგვარად „საქართველოს ჰელსინკის კავშირი - ეროვნული აღორძინება“, როგორც სამართლებრივად კანონიერი ხელისუფლების მმართველი პოლიტიკური და კონსტიტუციურად მმართველი ორგანო შეიძლება გახდეს მომავალი პოლიტიკური დევნის საგანი.

გეოგრაფიიდან ვიცით, რომ ევროპა და აზია ერთი კონტინენტის - ევრაზიის ნაწილებია, მაგრამ ისინი დამოუკიდებელ კონტინენტებად განიხილებიან, რადგან ევროპისა და აზიის მოსახლეობა, მათი ისტორია, მნიშვნელოვნად განსხვავდება ერთმანეთისაგან. ევროპის კავშირი, როგორც ცნობილია, აგებულია ევროპული თანამეგობრობის ურთიერთობების მთელი ერთობლიობის, უმეტესად ეკონომიკურ-მიზნობრივ საფუძველზე. მისი ძირითადი პოლიტიკის მიზანია ადამიანების, საქონლის, სერვისებისა და კაპიტალის თავისუფალი გადაადგილების უზრუნველყოფა ერთიან, შიდა ბაზარზე, ანუ ძირითადად მისი ეკონომიკური ერთობა, იურისპრუდენციული კანონმდებლობისა და ამ მიმართულებით საერთო პოლიტიკის შენარჩუნება რეგიონულ განვითარებაში.

საქართველო თავისი გეოგრაფიული მდებარეობით, ძველი ერის მტკიცე სახელმწიფოებრივი და კულტურული ტრადიციების გამო, ყოველთვის მიზანმიმართულად ახერხებდა მოწინავე აზრის, კულტურის ექსპორტირებას მეზობელ მონათესავე ტომებში. ამ მოვლენას ნოყიერი ნიადაგი ასაზრდოებდა - იბერიულ-კავკასიური სამყაროს არსებობა, რომელიც უძველესი და უნიკალური ცივილიზაციის პოლიეთნიკურ და ამავე დროს ერთიან გეოპოლიტიკურ, კულტურულ, ეკონომიკურ სივრცეს, დასავლეთისა და აღმოსავლეთის, ჩრდილოეთისა და სამხრეთის გზაჯვარედინს წარმოადგენდა. საქართველოს კავკასიელ მეზობლებთან სარწმუნოებრივი სხვადასხვაობის მიუხედავად, ისტორიულად მუდამ ჰქონდა მთლიანი კავკასიური სამყაროსადმი კუთვნილების, საერთო წარმომავლობის, ბიოგენეტიკური ნათესაობის გრძნობა, ეროვნული წიაღიდან აღმოცენებულ, ერთმანეთისაგან განსხვავებულ მეზობელ ცივილიზაციებთან შეჯერებული საერთო მენტალიტეტი, კულტურული, მორალური და ზნეობრივი ღირებულებები.

სწორედამც რომ, სრულიად სხვა კავკასია. იბერიულ-კავკასიურ ერებს აქვთ საკუთარი ენა და დამწერლობა, განსხვავებული ისტორია და სახლობენ მკვეთრად შემოსაზღვრულ ტერიტორიაზე, რაც დამატებით საფუძველს გვაძლევს ვთქვათ, რომ კავკასია პოლიტიკურად და გეოგრაფიულადაც ცალკე როგორც რეგიონალური, ასევე კონტინენტალური ერთობაა.



კავკასიის კონტინენტის საზღვრები, გაჰყვება წყალგამყოფ და წყლის გამყოფ ზოლებს. პირველი უფრო საიმედოა, არ იცვლის მიმართულებას, მეორე კი, რთულად განსასაზღვრია მთაგორების რთული რელიეფის გამო. კავკასიის, როგორც მსოფლიოს მშვიდობიანი ერთობის განმსაზღვრელი ახალი რეგიონის შიდა მონესრიგების პრინციპი ისტორიულ-ეთნიკური პროცესების განვითარებამ და მისმა ღრმა ფესვებმა უნდა განსაზღვროს. ეს კი საქართველოს, იბერიულ-კავკასიურ ტომებთან ნათესაობით, შავი ზღვის, კასპიისა და ხმელთაშუა ზღვის აკვატორიულ ნავსადგურთა გარკვეული ნაწილის კონტროლით, განსაზღვრულ უპირატეს მდგომარეობაში აყენებს. ცხადია, კავკასიური სახლი არ გულისხმობს საქართველოს საგარეო პოლიტიკის ერთი მიმართულებით განვითარებას. ასეთი პოლიტიკა განსაზღვრულია საქართველოს და მსოფლიოს კეთილდღეობის ინტერესებით და ოთხივე მხრივ უნდა წარიმართოს. იდეაში მიგვაჩნია, რომ უნდა აღდგეს ისტორიული სამართლიანობა და მომზადდეს საფუძველი, რათა ჩამოყალიბდეს მსოფლიოს მშვიდობიანი ერთობის განმსაზღვრელი ახალი რეგიონი და ერთობა - კავკასია, როგორც გარანტი მსოფლიოში მშვიდობისა, სამართლიანობისა, ადამიანის უფლებებისა და თავისუფლების დაცვისა, სახელმწიფოთაშორისი პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური, კულტურული თანხმობა-ერთობისა და თანასწორობისა.

საქართველოს ისტორია ნათლად მეტყველებს, რომ ქართული ფენომენისათვის ყოველთვის დამახასიათებელი იყო ეროვნული და რელიგიური თავსებადობა. ჩვენს ქვეყანაში ათასწლეულების მანძილზე ეთნიკური და რელიგიური კონფლიქტების გარეშე გვერდიგვერდ ცხოვრობდნენ სხვადასხვა ეროვნების, განსხვავებული პოლიტიკური შეხედულებებისა და რელიგიური აღმსარებლობის წარმომადგენლები. საქართველო თავისი გეოგრაფიული მდებარეობით, ძველი ერის მტკიცე სახელმწიფოებრივი და კულტურული ტრადიციების გამო ყოველთვის მიზანმიმართულად ახერხებდა მოწინავე ამრის, კულტურის ექსპორტირებას მეზობელ მონათესავე ტომებში. ამ მოვლენას ნოყიერი ნიადაგი ასაზრდოებდა - იბერიულ-კავკასიური სამყაროს არსებობა, რომელიც უძველესი და უნიკალური ცივილიზაციის პოლიეთნიკურ და ამავე დროს ერთიან გეოპოლიტიკურ, კულტურულ, ეკონომიკურ სივრცეს, დასავლეთსა და აღმოსავლეთის, ჩრდილოეთისა და სამხრეთის გზაჯვარედინს წარმოადგენდა. საქართველოს კავკასიულ მეზობლებთან სარწმუნოებრივი სხვადასხვაობის მიუხედავად, ისტორიულად მუდამ ჰქონდა მთლიანი კავკასიური სამყაროსადმი კუთვნილების, საერთო წარმომავლობის, ბიოგენეტიკური ნათესაობის გრძნობა, ეროვნული წიაღიდან აღმოცენებული, ერთმანეთისაგან განსხვავებულ მეზობელ ცივილიზაციებთან შემაჯერებელი საერთო მენტალიტეტი, კულტურული, მორალური და ზნეობრივი ღირებულებები. ევროპის კავშირი კი, როგორც ცნობილია, აგებულია ევროპული თანამეგობრობის ურთიერთობების მთელი ერთობლიობის, უმეტესად ეკონომიკურ-მიზნობრივ საფუძველზე და მისი ძირითადი პოლიტიკის მიზანია ძირითადად მისი ეკონომიკური ერთობა.

გეოგრაფიულად კავკასიის კონტინენტს ორი მხრიდან (აღმოსავლეთით და დასავლეთით) ზღვა აკრავს, ჩრდილოეთით სრუტე, სამხრეთით (წყალგამყოფი) მდინარეები და მხოლოდ 1-2% შეიძლება საღვრად წარმოჩინებული იყოს ხმელეთი, რაც კონტინენტის საერთაშორისო განმარტებებს შეესაბამება. სამყაროს გამგებელმა ყველას და ყველაფერს თავისი ადგილი მიუჩინა. რადგანაც ადამიანია დედამიწის მთავარი შემადგენელი არსება ყველა ხალხთა ჯგუფს თავიანთი ტერიტორიული ფართი გამოუყო.

თეთრი რასა, თავისთავად, შედგება სემიტებისაგან, ინდოევროპელებისაგან და იაფეტებისაგან. სემიტები უმეტეს წილად ჩრდილოეთ აფრიკაში სახლობენ, იაფეტის შთამომავალი კი უმეტესწილად კავკასიაში, აპენინის ნახევარკუნძულზე და ირლანდიაში. ცნობილია, რომ სამხრეთ კავკასიაში უმთავრესი სამწერლო ენის მქონე ქართველები სახლობენ, მათ გვერდით ასევე სხვა იაფეტები. ასევე სამხრეთ კავკასიაში სახლობენ ინდოევროპული მოდგმის ერები: არმენები (სომხები) და აზერბაიჯანელები. ჩრდილოეთ კავკასიაში იაფეტებს - იბერიულ-კავკასიურ ხალხებს, მიეკუთვნება: ადიღეელები, ჩერქეზები, ყაბარდოელები, ინგუშები, ჩეჩნები, დაღესტნელები. ჩრდილოეთ კავკასიაში ისტორიული ქართველების შედეგად შემოსახლებულები არიან ყარაჩაეელები, ბალყარელები - ეს ის ერებია, რომლებიც დავით აღმაშენებელმა ყივჩაღების სახით საქართველოში ჩამოასახლა, აქ ფეხი ვერ მოიკიდეს და შემდგომში ქართველებმა ჩრდილოეთ კავკასიაში, ქართველთა სავანეში, ჰიქეთში დაასახლეს. ყარაჩაეელები და ბალყარელები არიან თურქული მოდგმის ერები. თუ გადავინაცვლებთ აღმოსავლეთით სახლობენ ოსები, რომელნიც ირანული მოდგმის ერია. მათ აღმოსავლეთით სახლობენ ინგუშები და ჩეჩნები, რომლებსაც მოუწყეს გენოციდი და გადაასახლეს ყაზახეთის სტეპებში. დაღესტნელები უფრო მრავალრიცხოვანი არიან მაგრამ მათი ტერიტორიის ჩრდილოეთ ნაწილში ყუმიკებია შესახლებული და ა. შ. ასე და ამგვარად იბერიულ კავკასიურ

ენებს აქვთ საკუთარი ენა და დამწერლობა, განსხვავებული ისტორია და სახლობენ მკვეთრად შემოსაზღვრულ ტერიტორიაზე, რაც დამატებით საფუძველს გვაძლევს ვთქვათ, რომ გეოგრაფიულადაც და პოლიტიკურადაც კ ა ვ კ ა ს ი ა კ ო ნ ტ ი ნ ე ნ ტ ი ა.

ასევე, ცნობილია, რომ სამხრეთ ევროპის: პირინეების, იტალიის, ხმელთაშუა ზღვის კუნძულების პირველადი ავტოქტონური მოსახლეობა იყო იბერიული მოსახლეობა. ამ მოსახლეობას უწოდებენ პროტოიბერებს, მათგან მომდინარეობს გვიანდელი ევროპული მოსახლეობა. მეცნიერებაში მიღებულია აგრეთვე ტერმინი-ხმელთაშუა ზღვის რასა, მედიტერანული რასა, ანუ მედიტერანული მოდგმა. იმ მოდგმის აღსანიშნავად, რომელიც იდენტურია ტერმინისა კავკასიური რასა, არის აგრეთვე ტერმინები: პალეოკავკასიური რასა, ანუ უძველესი კავკასიური რასა, უძველესი მედიტერანული რასა, რაც ურთიერთის იდენტურია.

საუბარია იმ მოსახლეობაზე, იმ მოდგმაზე, რომელიც სახლობდა პირინეების ნახევარკუნძულიდან ხმელთაშუა ზღვის აუზში, ბალკანებზე, თანამედროვე საბერძნეთში, კავკასიაში და ინდოეთის თანამედროვე ტერიტორიაზე, აგრეთვე, მცირე აზიაში და პალესტინაში. ეს არის გავრცელების არეალი იმ პროტოიბერიული მოდგმისა, რომელსაც ჰქონდა მრავალი განშტოება. ენა ამ მოდგმისა, ამ რასისა იყო ერთი ძირითადი, რომელსაც ჰქონდა მრავალი დიალექტური განშტოება და თუ ეს ენაკავები ღებულობდნენ ცალკე ენების ხასიათს, ისინი იყვნენ მონათესავენი და ვითარდებოდნენ როგორც ურთიერთმონათესავე ენები. ეს არის სხვადასხვა განშტოებები ერთი და იმავე მოდგმისა, რომელსაც მეცნიერებაში ქართველური, ან პროტოიბერიული მოდგმა ეწოდება, ხოლო საკუთრივ ქართველი ერი, ლოკალიზებული კავკასიის მასშტაბით, დაკავშირებულია იბერიულ-კავკასიურ განშტოებასთან. იბერიულს აქვს მრავალი განშტოება და დღესდღეობით შემორჩენილია პირინეულ-იბერიული, ანუ ბასკური და კავკასიურ-იბერიული, ანუ ქართული და მისი მონათესავე ტომები ჩრდილოეთ კავკასიაში. დანარჩენი კი ამჟამად ასიმილირებულია ინდოევროპული კაცობრიობის მიერ, რომელიც არის გვიან მოსული ევროპის კონტინენტზე, კერძოდ მეორე ათასწლეულის შემდეგ, ხოლო პროტოიბერიული კაცობრიობის, ანუ პალეომედიტერანული, პალეოკავკასიური კაცობრიობის მოღვაწეობის, მისი ზნეობის ხანად მიჩნეულია ეპოქა უძველესი დროიდან ძველი წელთაღრიცხვის მესამე ათასწლეულამდე. მესამე ათასწლეულში იწყება დაკნინება ამ რასისა, მისი რიცხოვნობა შემცირება, მისი ასიმილირება მოსული ინდოევროპელების მიერ. ამ დროიდან და უფრო გვიან წამოიწვეს წინ ხეთური და ძველბერძნული, ელინური სამყაროები. მაგრამ აქ ხდება კულტურათა სინთეზირება: პალიომედიტერანულ, ანუ პროტოიბერიულ მოდგმასთან დაკავშირებულია პირველადი კულტურები მინოსისა, ეგეოსური კულტურები, კოლხური (ძველკოლხური), რომელიც უაღრესად მჭიდროდ არის მინოსურთან დაკავშირებული. ხოლო შემდგომ, უკვე მეორე ათასწლეულიდან იწყება წამოწვევა ხეთური სამყაროსი, რომელიც უკვე ინდოევროპული სამყაროა, აგრეთვე ძველბერძნული სამყაროსი, რომელიც ვედური ტომიდან მომდინარეობს და მოსულია იმ ტერიტორიაზე, რომელზედაც შემდგომ აღმოცენდა ძველბერძნული კულტურა და ძველბერძნული სამყარო, ხოლო პირველადი მოსახლეობა ძველი საბერძნეთისა, ძველბერძენი ისტორიკოსების მონაცემებზე დაყრდნობით, განაზღვრულია როგორც პელაზგური, ანუ პროტოიბერიული. პელაზგები არიან ერთ-ერთი განშტოება პროტოიბერებისა, ისევე როგორც ეტრუსკები და სხვა ხალხები, ისევე როგორც კოლხები. კოლხური, პელაზგური, ტროული, მინოსური სამყაროები მონათესავე სამყაროებია, უფრო სწორად, ერთ სამყაროს წარმოადგენენ. მართალია, არსობრივად არა, მაგრამ არის ნიუანსური განსხვავება ქართულსა და ქართველურს შორის. ქართული და ქართველური მაინც უნდა განვასხვავოთ იმიტომ, რომ ქართული აღნიშნავს უშუალოდ საქართველოს, ყოველივეს ისტორიულ საქართველოსთან, ქართულ ენასთან დაკავშირებულს, რომელსაც ჩვენ ვიცნობთ ჩვენი ისტორიიდან და რომელიც სწორედ ამ გეოგრაფიულ არეალში მდებარეობს. ქართველური კი, გაცილებით უფრო ფართო და ყოვლისმომცველი ცნებაა. ქართველურნი არიან ტომები, რომლებიც „ქართვები“ არ არიან და არც, უშუალოდ ქართველები, მაგრამ ისინი ქართველური წარმოშობისანი არიან. ქართველური არის რასიული გაგება, უფრო ყოვლისმომცველი ვიდრე ეროვნული. როგორც არსებობს სემიტური რასა, ასევე არსებობს იაფეტური რასაც. ეს იაფეტური რასა არის ქართველური რასა. ქართველური ენები მომდინარეობენ სწორედ ამ პირველადი იაფეტური ენიდან, რომელსაც ჩვენ პროტოქართულ ენას ვუწოდებთ. ქრისტიანობის განვითარებაში ქართველური მოდგმის ხალხები ძირითად როლს ასრულებენ („საქართველოს სულიერ მისია“, ზ. გამსახურდია).

სულაც არ არის ნონსენსი ასეთი ცნება - ერის ფსიქოლოგია, ერის ფსიქიკა. ფსიქიკა სულიერი არსების მახასიათებელია, მაგალითად, ადამიანისა და აქედან გამომდინარე, თუ ვამტკიცებთ, რომ ერსაც აქვს ფსიქიკა, ხასიათი, გონი, დადებითი და უარყოფითი თვისებები, ე. ი. ერიც სულიერი არსებაა! ფიზიკური არსება მხოლოდ გარემოებებზეა დამოკიდებული, ანუ

დეტერმინირებულია. მას „საკუთარი ინიციატივით“ არაფრის შეცვლა არ ძალუძს. ადამიანს კი - სულიერ არსებას, არა მხოლოდ ანმყოფი ცხოვრების და წარსულის ხსოვნის თვისება აქვს, არამედ მომავლის ამოცანის, გეგმის დასახვაც შეუძლია. ეს ყოველივე ერსაც ახასიათებს, მას აქვს ცნობიერება! ცნობიერება კი ისეთ არსებას აქვს, რომელიც აყალიბებს სისტემას, თუ რა უნდა გააკეთოს გარკვეული ხნის განმავლობაში და თუ ეს არა აქვს, ე. ი. აღარ ცოცხლობს არც ერი და არც ადამიანი, ის, უბრალოდ, სულდგმულობს. ერთი სიტყვით - ერი არის სულიერი არსება, ინდივიდი, ყველასგან განსხვავებული, რომელსაც სჭირდება გეგმა თავისი შემდგომი განვითარებისათვის. სწორედ ეს „გეგმა“ არის იდეოლოგია და თუ იგი სხვებისაგან გამორჩეულია (და ასეც უნდა იყოს), ეს უკვე ეროვნული იდეოლოგიაა.

ერი ველარ გახდება კაცობრიობის წევრი, თუ იქ თავისი ინდივიდუალიზმი, თავისი განსაკუთრებული კულტურული „წილი“ არ შეიტანა. ერი არ არის მარტო ადამიანების, პიროვნებების უბრალო გაერთიანება, რადგან პიროვნება უკვე ის არის, ვის ჩამოყალიბებაშიც ეროვნულმა ნიშანმა გადამწყვეტი როლი ითამაშა და ის სხვა ერს ველარ შექმნის. თავისუფლება უფლებებისა და მოვალეობების გონივრული განონასწორებაა და ერიც და პიროვნებაც, ასევე მათ შორის ურთიერთობა, ამის საფუძველზე უნდა ყალიბდებოდეს.

წამალიც სწორედ ეს არის - ჩვენ კვლავ ვრად უნდა ვიქცეთ. ამაში მთავარი როლი, ვფიქრობ, სამართლებრივმა, ლეგიტიმურმა, კანონიერმა მთავრობამ და ქვეყნის პოლიტიკურმა პარტიებმა უნდა იკისრონ, მათ ზუსტად უნდა იცოდნენ და იციან კიდევ, რა სჭირდება ერს და როგორ მიაღწიონ ამას. მსოფლიოს ახლებურად მართვის ეტაპზე დიდად მნიშვნელოვანია პოლიტიკური მოვლენების ახლებურად განსჭვრეტა და წარმართვა. საქართველომ მიზანმიმართულად უნდა გამოიყენოს გეოპოლიტიკური უპირატესობანი და შესძლოს დამოუკიდებელი პოლიტიკურ-დიპლომატიური აქტიურობა. უნდა აღსდგეს ისტორიული სამართლიანობა და უნდა მომზადდეს საფუძველი, რათა ჩამოყალიბდეს მსოფლიოს მშვიდობიანი ერთობის განმსაზღვრელი ახალი რეგიონი და ერთობა - კავკასია, როგორც გარანტი მსოფლიოში მშვიდობისა, სამართლიანობისა, ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებისათვის დაცვისა, სახელმწიფოთაშორისი პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური, კულტურული თანხმობა-ერთობისა და თანასწორობისა.

საქართველოს სახელმწიფოს გეოპოლიტიკური რეალიზმი და სამართლებრივი ტენდენციები მუდმივ თანაფარდობაში და ჰარმონიაში უნდა იყოს მომავალი მსოფლიოს სამართლებრივ წესრიგთან.

ამასთან, ზემოთქმულიდან გამომდინარე, უკვე ახალ საუკუნეში მსოფლიო ისტორიული მისიაა საფუძველი ჩაეყაროს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის (მისი უფრო ეფექტური გადამწყვეტილებების გამარტივებულად მიღებისა და მათი დროულად შესრულების აუცილებლობა ეჭვს არ იწვევს) თვისობრივად ახალ ინსტიტუტს - ახალ მსოფლიოს ერთა ანსამბლეს, რომლის უზენაესი მიზანი ასევე იქნება, ადამიანის უფლებათა დაცვასთან ერთად, მსოფლიოს ერთა კულტურათა და სახელმწიფოთა უსაფრთხოების უზრუნველყოფაც. ამდაგვარ ახალ სიტუაციაში მკვეთრად გაიზრდება როლი საერთაშორისო ხელშეკრულებათა შესრულების კონტროლის სფეროშიც. ასევე გადაუდებელ ამოცანადაა აღიარებული ეროვნულ ნიადაგზე წარმოქმნილ კონფლიქტთა რეალური მიზეზების ობიექტური შესწავლა. ეს კი აღმოფხვრის ამა თუ იმ ქვეყნის მიერ ინიცირებულ ეთნიკურ კონფლიქტებს.

სასურველია, თუ კავკასიაში და სწორედ საქართველოში განთავსდება და მოეწყობა სახელმწიფოთა უსაფრთხოების, ერების კულტურათა, უფლებებისა და თავისუფლებების, დაცვისა და მსოფლიოში მშვიდობისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფის „მსოფლიო ერთა ანსამბლეა“, რამდენადაც საქართველოს, როგორც მსოფლიოს გეოგრაფიული და პოლიტიკური ცენტრის „კავკასიური სახლის“ ქვეყანას, სახელმწიფოს ისტორიული, გეოპოლიტიკური მნიშვნელობიდან გამომდინარე და ეროვნული სულის მეოხებით ძალუძს, ეზიაროს ჭეშმარიტად საღვთო საქმეს და განახორციელოს მსოფლიოს სახელმწიფოთა მშვიდობიანი ურთიერთობისა და თანამშრომლობისათვის აუცილებელი გარანტის როლი. იგი, როგორც მსოფლიოს ცენტრი უნდა გახდეს მედიატორი სახელმწიფო, აღმოსავლეთსა და დასავლეთს, ქრისტიანულ, მუსლიმურ და სხვა რელიგიათა სამყაროებს შორის, რაც მისი ოდინდელი ისტორიული მისიის დაბრუნება იქნება.

მსოფლიო ქვეყნების სახელმწიფოებრიობის დონის ამალღებისა და აღორძინების მიზნით, ახალი რეალობიდან გამომდინარე, სასურველია დაიხვეწოს საერთაშორისო ხელშეკრულებათა აქტები უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა განხრითაც, რათა ახალ საუკუნეში სახელმწიფოებმა და ხალხებმა იცხოვრონ მშვიდობიან, განვითარებად, მსოფლიო თანამეგობრობისა და ურთიერთპატივისცემის გარემოში. უნდა ჩამოყალიბდეს შესაბამისი პოლიტიკური წყობა, დაფუძნებული თვითთველი ქვეყნის მოქალაქეთა თავისუფლებებისა და თანასწორობის კანონებზე.

მონინავე ქვეყნები უნდა ადასტურებდნენ ერთა თანასწორუფლებიანობის, საკუთარი ბედის განმგებლობის უფლების პატივისცემის საყოველთაო მნიშვნელობას, რაც აუცილებელია სახელმწიფოთა შორის მეგობრული ურთიერთდამოკიდებულების განვითარებისათვის. უნდა გამოირიცხოს ამ პრინციპის დარღვევა ნებისმიერი ფორმით. მართალია ისტორიულ ეტაპებზე ხდებოდა ღირებულებათა გადაფასება, მაგრამ მისი მუდმივობის ცვალებადობა ფაქტობრივად არ ხდება.

მიგვაჩნია, რომ ეს საკითხები სიღრმისეულად არის დაკავშირებული მსოფლიო წესრიგის ახალ მსოფლმხედველობასთან, მის პრინციპებთან და დღეს, უმწვავესი საჭიროებით, ჰაერივით სჭირდება დღევანდელ მსოფლიო საზოგადოებრიობას, თავად მსოფლიოს ხალხებსა და კაცობრიობის მომავალს.

აქედან გამომდინარე, საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა და მისი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მთავარი მიზანია დაანახოს და გააცნოს საქართველოსა და მთელ მსოფლიოს ქვეყნის და კავკასიის მოწყობის მისეული ხედვა. პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური სტაბილურობის მიღწევის, განათლებული სამოქალაქო და სოციალური სოლიდარული საზოგადოების ჩამოყალიბების, ჭეშმარიტი ეროვნულ-სახელმწიფოებრივი აღორძინების, დამოუკიდებელი, თავისუფალი, დემოკრატიული სახელმწიფო წყობილების შექმნა-განმტკიცების რეალური გეგმა. ამ გზით მოხდება საქართველოსა და კავკასიის სახელმწიფოთა მიერ ადამიანის პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური, კულტურული, რელიგიური, ეროვნული, სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების ცხოვრებაში გატარება, რომელიც დაფუძნებული იქნება სახელმწიფოებრიობის, სამოქალაქო საზოგადოებისა და სოციალური ჰარმონიის პრინციპებზე. დაცული იქნება ეროვნული თვითმყოფადობის, დემოკრატიისა და თვითმმართველობის იდეალები და გატარდება საომარი კონფლიქტების, გათიშულობისა და კონფრონტაციის თავიდან აცილების სამშვიდობო ცივილიზებული პოლიტიკა. საქართველოსა და კავკასიის სახელმწიფოთა ერთობის ამოცანა იქნება ახალი რეგიონის პოტენციალის მაქსიმალური გამოვლენა, ეროვნული ინტერესების დაცვა და მსოფლიო ცივილიზაციაში ქართველი ერისა და სრულიად კავკასიისათვის ღირსეული ადგილის დამკვიდრება. ამ ფუძემდებლურ პრინციპებს კი აშკარად მივყავართ მომავლისაკენ, სადაც წარმატების კრიტერიუმი შრომა, ნიჭი და მსახურება იქნება, სადაც მთავარია შესაძლებლობა, პასუხისმგებლობა და სოციალური სოლიდარობა. საქართველომ და კავკასიამ პირუთვნელად უნდა აღასრულოს თავისი სულიერი მისია კაცობრიობის წინაშე.

ვთვლით, რომ დროა ბოლო მოეღოს ყოველგვარ სახელმწიფოებრივ პრობლემებსა და დაბრკოლებებს, რათა „საქართველოს ჰელსინკის კავშირი - ეროვნულ აღორძინებამ“, როგორც ყველა ადამიანის უფლებებისა და ძირითად თავისუფლებათა ორგანიზაციებმა, ასევე, ყველა ეროვნულმა ძალებმა და ორგანიზაციებმა აღიდგინონ ჩვეული სახელმწიფოებრივი ფორმა, აღიარებული და ჩვეული ფუნქცია მათი მიზნებისა და ამოცანების სრულ ამოწურვამდე და აღორძინდნენ. ვგრძნობთ რა ჩვენს ვალდებულებასა და შესაძლებელ ძალას, ვაცხადებთ მზადყოფნას და უდიდეს სურვილს ყოველივე ზემოთთქმულში, ყველა შესაბამისი ფუნქციის მქონე ორგანიზაციათა ურთიერთშორის მუდმივი და უცილობელი კავშირისა და ურთიერთდამოკიდებულების გაღრმავებაში, რომელიც დადასტურდება ბუნებასა და საზოგადოების შემეყენებისა და ურთიერთთანამშრომლობის პროცესში, რისთვისაც ყველას ვთხოვთ შესაბამისსა და შესაძლო კონსულტაციებსა, თუ დახმარებებს ერთიანი სრული ძალით სახელმწიფოებრივ ამოქმედებაში. შესაბამის საერთაშორისო ორგანიზაციებთან ერთად მნიშვნელოვანია ფორუმში მონაწილე სახელმწიფოთა როლიც. მონაწილე ქვეყნებმა პატივი უნდა სცენ ადამიანის უფლებებსა და ძირითად თავისუფლებებს: აზრის, სინდისის, რელიგიისა და შეხედულებათა თავისუფლებების ჩათვლით ყველასთვის, განურჩევლად რასისა, სქესისა, ენისა თუ რელიგიისა. სახელმწიფოებმა ხელი უნდა შეუწყონ და განავითარონ სამოქალაქო, პოლიტიკურ, სოციალურ, კულტურულ და სხვა უფლებებსა და თავისუფლებების ეფექტურ განხორციელებას, რომელიც გამომდინარეობენ ადამიანის პიროვნების ღირსებებიდან და არსებით პირობას წარმოადგენენ მისი სრული და თავისუფალი განვითარებისათვის. მონაწილე ქვეყნები ამით აღიარებენ ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების საყოველთაო მნიშვნელობას, რომელთა პატივისცემაც არის არსებითი ფაქტორი მშვიდობისა, სამართლიანობისა და კეთილდღეობისა, მეგობრული ურთიერთდამოკიდებულებებისა და თანამშრომლობის განვითარებისათვის. ამით ისინი აღიარებენ პიროვნებათა უფლებებსაც საკუთარ უფლებამოვალეობათა ცოდნისას ამ სფეროში და მათ შესაბამისად მოქმედებას. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა სფეროში მონაწილე ქვეყნები იმოქმედებენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების, მიზნებისა და



პრინციპების, ასევე ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის შესაბამისად. ამასთან შეასრულებენ თავიანთ ვალდებულებებს იმისდამხედვით, თუ როგორ არიან ისინი დადგენილი საერთაშორისო დეკლარაციებში და შეთანხმებებში, ადამიანის უფლებათა საერთაშორისო პაქტების ჩათვლით. მონაწილე ქვეყნებმა ასევე პატივი უნდა სცენ ერთაშორის თანასწორობას და მათ უფლებას. აგრეთვე უნდა იმოქმედონ საერთაშორისო სამართლის ნორმების შესაბამისად, იმ ნორმების ჩათვლით, რომელნიც ეხება სახელმწიფოთა ტერიტორიულ სამართლებრივ მთლიანობას. მონაწილე ქვეყნები ამით დაადასტურებენ ერთა თანასწორუფლებიანობის საყოველთაო მნიშვნელობას, საკუთარი ბედის განმგებლობის უფლების პატივისცემას და ეფექტურ განხორციელებას, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს ყველა სახელმწიფოთა შორის მეგობრული ურთიერთდამოკიდებულების განვითარებისათვის. ისინი ყოველივეთი შეახსენებენ ურთიერთს აგრეთვე იმის მნიშვნელობას, რომ უნდა გამოირიცხოს ამ პრინციპის დარღვევა ნებისმიერი ფორმით;

კავკასიური ერთობის - ახალი რეგიონალური გაერთიანების შესაქმნელად კი, რომლის საფუძველი იდეაში ყოველთვის არსებობდა, საჭიროა მკაფიო და მკაცრი, თანმიმდევრული მსოფლიო პოლიტიკური კურსის შემუშავება, რაც საჭიროების შემთხვევაში როგორც კავკასიური სახლის, ასევე მსოფლიოს სახელმწიფოთა უსაფრთხოების დამცველ მექანიზმად ამოქმედდება. ცხადია, კავკასიური სახლი არ გულისხმობს საქართველოს საგარეო პოლიტიკის ერთი მიმართულებით განვითარებას. ასეთი პოლიტიკა განსაზღვრულია საქართველოს და მსოფლიოს კეთილდღეობის ინტერესებით და ოთხივე მიმართულებით უნდა წარიმართოს. მნიშვნელოვანია ურთიერთობების გაღრმავება ამერიკის შეერთებულ შტატებთან, ევროკავშირის რეგიონალურ ქვეყნებთან და მომავალში შესაძლო ახალ რეგიონალურ გაერთიანებებთან, ასევე - ახლო აღმოსავლეთის რეგიონალურ ქვეყნებთან, მათ შორის: თურქეთთან, ისრაელთან და შესაძლოდ სხვა ქვეყნებთან, ევროპის ქვეყნებთან, მათ შორის საბერძნეთთან, იტალიასთან, ესპანეთთან, საფრანგეთთან, დიდი ბრიტანეთის ქვეყნებთან, ირლანდიასთან, ისლანდიისა და ყველა დემოკრატიულ ქვეყნებთან ახლო მეგობრული კავშირების გაღრმავება. ასევე, მნიშვნელოვანია მეგობრული ურთიერთობების ჩამოყალიბება ჩრდილო აფრიკის ქვეყნებთან: ეგვიპტე და სხვა პროგრესულად განვითარებად ქვეყნებთან. ასევე მნიშვნელოვანია ურთიერთობების დამყარება მცირე აზიის ქვეყნებიდან დაწყებული, შუა აზიის ქვეყნებთან, ინდოეთთან, ჩინეთთან და სხვა ქვეყნებთან ურთიერთობების გაღრმავება, არაა გამორიცხული მსოფლიოს სხვა მიმართულებების ქვეყნებთან შესაძლო მეგობრული ურთიერთობების დაწყება. კვლავ გავმეორდებით, რომ გადაუდებელ ამოცანადაა აღიარებული ეროვნულ ნიადაგზე წარმოქმნილ კონფლიქტთა რეალური მიზეზების ობიექტური შესწავლა, რაც ბოროტ იმპერიულ ძალებს საშუალებას აღარ მისცემს თავიანთი ეგოისტური ინტერესებიდან გამომდინარე პერმანენტული ხასიათი მისცენ ეთნიკურ კონფლიქტებს. „ახალი მსოფლიოს“ პროცესივე უნდა იქცეს ეროვნულ უმცირესობათა უფლებების დაცვისა და ერთა თვითგამორკვევის გარანტიად, რომელიც საერთაშორისო სამართლის ნორმების მიხედვით განუყოფელია საზღვრების ურღვევობის ფუძემდებელი პრინციპებიდან გამომდინარე;

ვინაიდან, საქართველოს ისტორია ნათლად მეტყველებს, რომ ქართული ფენომენისათვის ყოველთვის დამახასიათებელი იყო ეროვნული, რელიგიური თავსებადობა და რომ ჩვენს ქვეყანაში საუკუნეების მანძილზე ეთნიკური და რელიგიური კონფლიქტების გარეშე გვერდი-გვერდ ცხოვრობდნენ სხვადასხვა ეროვნების, განსხვავებული პოლიტიკური შეხედულებებისა და რელიგიური აღმსარებლობის წარმომადგენლები.

ვინაიდან, საქართველო თავისი გეოგრაფიული მდებარეობით, ძველი ერის მტკიცე სახელმწიფოებრივი და კულტურული ტრადიციების გამო ყოველთვის მიზანმიმართულად ახერხებდა მოწინავე აზრის, კულტურის ექსპორტირებას მეზობელ მონათესავე ტომებში. ამ მოვლენას კი თავის დროზე ნოციერი ნიადაგი ასაზრდოებდა - იბერიულ-კავკასიური სამყაროს არსებობა, რომელიც უძველესი და უნიკალური ცივილიზაციის პოლიეთნიკურ და ამავე დროს ერთიან გეოპოლიტიკურ, კულტურულ, ეკონომიკურ სივრცეს, დასავლეთსა და აღმოსავლეთის, ჩრდილოეთისა და სამხრეთის გზაჯვარედინს წარმოადგენს, ვინაიდან, საქართველოს კავკასიელ მეზობლებთან სარწმუნოებრივი სხვადასხვაობის მიუხედავად, ისტორიულად მუდამ ჰქონდა მთლიანი კავკასიური სამყაროსადმი კუთვნილების, საერთო წარმომავლობის, ბიოგენეტიკური ნათესაობის გრძნობა, ეროვნული ნიადაგიდან აღმოცენებული, ერთმანეთისაგან განსხვავებულ მეზობელ ცივილიზაციებთან შემაჯერებელი საერთო მენტალიტეტი, კულტურული, მორალური და ბნეობრივი ღირებულებები.

არსებული კრიზისული მდგომარეობიდან საქართველოს გამოსახსნელად ერთადერთი გზაა მშვიდობიანი და სამართლებრივი გზით საქართველოს დამოუკიდებელიდან თავისუფლებისაკენ



სავალ გზაზე ეროვნულ-სახელმწიფოებრივი - ეროვნულ-სარწმუნოებრივი აღდგენა-აღორძინება და განვითარება. ცივილიზაციათა გასაყარზე, ეთნოსოციალური მეხსიერების ფორმირების საკითხისათვის, წარმართულ ცივილიზაციაში ქრისტიანობის გავრცელებამ ძირეული გადატრიალება მოახდინა კაცობრიობის მსოფლმხედველობაში, კულტურაში, ეთიკაში, პოლიტიკაში, მაგრამ ამ ყველაფერს წინ უძღოდა კაცობრიობის ცნობიერების შემოტრიალება ახალი სარწმუნოებრივი იდეალებისკენ.

ასევე, მნიშვნელოვანი და აღსანიშნავია, რომ ეთნოსოციალური მეხსიერების წინააღმდეგობრივი გამოვლინება ამ ფენომენის ანგაჟირებულობითაცაა განპირობებული. ერის სოციალური მეხსიერება რთული და მრავალკომპონენტიანი მოვლენაა, რომელიც სავალდებულო პირობაა ნებისმიერი საზოგადოების არსებობისა, ეფუძნება დაგროვებას, შენახვას და სოციალურად მნიშვნელოვანი ინფორმაციის ტრანსლირებას. ეთნოსოციალური მეხსიერება, როგორც ქვესისტემა სოციალური მეხსიერების, სპეციფიკური ფორმის აკუმულირებისა და სოციალურ-ეთნიკური გამოცდილების ტრანსლირებას განსაზღვრავს. ამ მეხსიერების შემადგენელ საფუძველს კი ერის კულტურული გენოფონდი შეადგენს, რომელიც თავისთავში მოიცავს ეთნიკური კულტურის ელემენტებს: ენა, ხალხური ხელოვნება, ერის მატერიალური კულტურა, ნაციონალური ჩვეულებანი და ტრადიციები, ხალხური ფილოსოფია და ტრადიციული აღზრდის სისტემა, ხალხის ეთიკა და რაც მთავარია რელიგია.ამათგან ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორი და შესაბამისად ადამიანის ეროვნულ-სარწმუნოებრივი მსოფლმხედველობის განმსაზღვრელი არის ერის ენა და რელიგია, რომელიც ყველაზე უფრო მეტად ახდენს აკუმულირებას ერის ეთნოსოციალურ მეხსიერებაში. ფრიად მნიშვნელოვანია ეთნოსოციალური მეხსიერების რელიგიური დატვირთვა. იგი ეროვნული თვითშეგნებისა და იდენტიფიკაციის ჩამომყალიბებელია, რადგან ერი არის ერთი ეთნიკური წარმოშობის მატერიალური და სულიერი კავშირის მქონე მკვიდრი მოსახლეობა, რომლის წევრებიც, გარდა ხორციელ-სულიერი ერთობისა, აგრეთვე ერთმანეთთან შედუღებულ-შეკავშირებულნი არიან ისტორიით. ქართველი ხალხის ეთნიკური თვითშეგნება კი სწორედ ამდაგვარად ყალიბდებოდა. ეთნოსოციალური მეხსიერების მთავარი ფუნქციონალური მახასიათებელია ეროვნული თვითმყოფადობის, თვითიდენტობის შენახვა და გადაცემა. არ არსებობს ისტორია, სადაც არ ყოფილიყო სახელმწიფოთაშორისო ომები და ეროვნებათშორისი კონფლიქტები, უსამართლობა და წყენა, მაგრამ ცალსახაა, წარსულის მოვლენათა ანალიზი ნაციონალური ტოლერანტურობის პოზიციით უნდა განხორციელდეს. ეს კი, იმას ნიშნავს, რომ თუ რა ისტორიული კონტაქტები ამდიდრებდა ხალხებს, აახლოებდა მათ და არა ის, რაც ყოფდა აშორებდა და ანსხვავებდა. ჩვენი ღვთის ძეობა, სარწმუნოების აღსარება, ეკლესიურობა არის კულტურა, რომლისგანაც ჩვენ დავალებული ვართ იმ ცხოვრების წესით, რომლის ჩარჩოებში ჩვენ ვიმედოვნებთ არა მარტო გადარჩენას, არამედ სრულფასოვან ცხოვრებას. ამავე დროს იგი არის ჩვენი კუთვნილება საკუთარ ხალხთან, რომელსაც თავისი ისტორიული გზა აქვს, რომლის შენარჩუნებაში, თუ შეცვლაში, ჩვენ ასე თუ ისე ვმონაწილეობთ. საქართველოს სახელმწიფოებრივი აღორძინება, მისი დამოუკიდებლობის სრული აღდგენა ვერ მოხერხდება ეროვნულ-სარწმუნოებრივი, ზნეობრივი აღორძინების გარეშე და ყოველივე ამას ადასტურებს საქართველოს წარსულიცა და აწმყოც.

აქვე, ნიშანდობლივია იმის აღნიშვნა, რომ დღევანდელი საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი - ეროვნულ-სახელმწიფოებრივი - ეროვნულ-სარწმუნოებრივი მოძრაობა, ეს არა სხვადასხვა, განსხვავებული, არამედ ერთიანი, თავისი შინაგანი არსით ეროვნულ-სარწმუნოებრივი მოძრაობაა, რამდენადაც იგი არ გულისხმობს მხოლოდ ეროვნულ-პოლიტიკური მიზნების განხორციელებას, არამედ უპირველეს ყოვლისა ითვალისწინებს ზნეობრივ აღორძინებას ქრისტიანულ რწმენასა და ცნობიერებაზე დაყრდნობით.

სახელმწიფო და ეკლესია არ უნდა ერეოდნენ ურთიერთის საქმიანობაში, მათ ერთობლივად უნდა უზრუნველყონ საერთო და საეკლესიო ცხოვრების მთლიანობა, რომელიც იმავედროულად პოლიტიკური სისტემისა და ეკლესიის ურთიერთდამოკიდებულებას დაემყარება.

უცილებელია დავუბრუნდეთ მამა-პაპეულ გზას, ავადღორძინოთ დამოუკიდებელი და თავისუფალი სახელმწიფო და საქართველოს დაუბრუნდეს ღირსეული ადგილი მსოფლიოს ერთა თანამეგობრობაში. დღეს, ეკლესია, სამწუხაროდ, საზოგადოებაზე გავლენის მხოდენას მხოლოდ კულტურული, რელიგიური და ეროვნული სიბრტყიდან ცდილობს, მხოლოდ ამ ფასეულობების დასაცავად და ისიც ზერელედ იწყებს მოსახლეობის გააქტიურებას, მათთვის არასასურველი იდეების გამავრცელებლებთან საბრძოლველად.

საქართველოს მფარველი ანგელოზი თვით ზეციერი დედოფალია. ეს უდიდესი წყალობაა, მაგრამ მიწიერ სიბრტყეზე, ეს არის საღმრთო მოწოდება ღვანლისა და თავდადებისაკენ.

ჭეშმარიტად მორწმუნე სულისა და სიკეთის მსახურთ კი, მუდამ გვფარავდეს სიკეთითა და სათნოებით სავსე უფალი ჩვენნი.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა და „საქართველოს ჰელსინკის კავშირი - ეროვნული ალორძინება“ თავის ერთმნიშვნელოვან ამოცანად მიიჩნევს ერთა თანაარსებობის ზემოთ მითითებულ ტრადიციებზე დაყრდნობით ხელი შეუწყოს სახელმწიფოს მიერ რელიგიური თვითმყოფადობის დაცვას. თავსებადობის ამ პრინციპთა ცხოვრებაში გატარება ქართული სახელმწიფოებრიობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მახასიათებელი უნდა გახდეს (მით უფრო, რომ ეროვნულ უმცირესობათა ეთნიკურ, კულტურულ, ენობრივ და რელიგიურ თვითმყოფადობის დაცვის პრინციპებს კონსტიტუციური კანონის ძალა აქვს), რაც მისი საერთაშორისო ავტორიტეტის გარანტირებას იქცევს.

ასევე, ყველამ ვიცით, რომ საქართველოში, უმთავრესად, როგორც მთელს კავკასიაში ძალიან მძიმე დემოგრაფიული პოლიტიკაა. მნიშვნელოვნად კლებულობს მოსახლეობის რაოდენობა, მეტად არასახარბიელოა დემოგრაფიული განვითარების მაჩვენებელი და სულ უფრო მწვავედება დემოგრაფიული პრობლემები. უპირველეს ყოვლისა, ჩვენთვის საინტერესოა კავკასიის მოსახლეობის დემოგრაფიული ბალანსი უკანასკნელ წლებში, რომელიც საგრძნობლად დაირღვა. კავკასიის მოსახლეობის დემოგრაფიული ბალანსი ძირითადად დაირღვა სწორედ საქართველოს ხარჯზე. კავკასიაში მოსახლეობის რიცხოვნობით, დაახლოებით ნახევარი მილიონით აღვემატებოდით ამერბაიჯანელებს და მილიონნახევრით - სომხებს. დღეს ამერბაიჯანის მოსახლეობა ჩვენზე ორჯერ მეტია და სომხებიც სადაცაა, გაგვისწრებენ. ესაა უბედურება. ჩვენ ახლა პოზიციებს არამარტო პოლიტიკურად ვკარგავთ, არამედ, ფაქტობრივად დემოგრაფიულადაც და მომაკვდავი ვართ გახდით. წერილობითი წყაროებით ცნობილია, რომ მის ზოგიერთ ისტორიულ პროვინციაში მრავალრიცხოვანი ქართველური ტომები ცხოვრობდნენ. საქართველოს მოსახლეობა ისტორიულად ყველაზე მრავალრიცხოვანი მე-XIII საუკუნის პირველ ნახევარში იყო. ამ დროს ჩატარებული აღწერის მიხედვით საქართველოს სახელმწიფოს მოსახლეობა 8 მილიონ კაცს აღწევდა. ეს იყო შედეგი იმ უძლიერესი მე-12-ე საუკუნისა, რომელსაც დავითისა და თამარის მეფობის ხანას უწოდებენ. გამუდმებული შემოსევების შედეგად მე-18 საუკუნეში საქართველოს მოსახლეობა 8 მილიონიდან 761 ათასამდე შემცირდა. მე-19 საუკუნის დასაწყისში კი ქვეყანაში შავი ჭირის გავრცელების გამო მოსახლეობა თითქმის განახევრდა და 400 ათას კაცს შეადგენდა. ასეთი მცირე რაოდენობით მოსახლეობა საქართველოში მთელი მისი ისტორიის განმავლობაში არასოდეს ყოფილა, ხოლო მე-19 საუკუნის ბოლოს საყოველთაო აღწერის შედეგად საქართველოს მოსახლეობა იმდროინდელ საზღვრებში 2 მილიონზე მეტს შეადგენდა, ანუ ერთ საუკუნეში 5-ჯერ გაიზარდა. უკანასკნელ წლებში, საქართველოს მოსახლეობა ყველაზე მრავალრიცხოვანი 1989-1992 წლებში იყო და 5 მილიონ 400 ათასს შეადგენდა. ამ დროიდან მოყოლებული, საქართველოს მოსახლეობა განუხრელად მცირდება და ბოლო მონაცემებით, 4 მილიონ ნახევარს არ აღემატება. მიუხედავად ბოლო წლებში შობადობის მცირედი ზრდისა, საქართველოში ბუნებრივი მატება არ შეინიშნება. პირიქით, საქართველოში დემოგრაფიული პრობლემები დღითიდღე მწვავედება. მსოფლიოს არაერთი ქვეყანა დგას დემოგრაფიული პრობლემის და ამ პრობლემებით გამოწვეული შედეგების საფრთხის წინაშე. გაეროს მონაცემებით, საქართველო მსოფლიოს იმ 20 ქვეყანას შორისაა, სადაც მოსახლეობის დეპოპულაცია მიმდინარეობს. შობადობის მიხედვით კი საქართველო მსოფლიოს 196 ქვეყნიდან 164-ე ადგილზეა. ნეგატიური გავლენა საქართველოს დემოგრაფიულ მდგომარეობაზე ემიგრაციამაც იქონია. მეტად ინტენსიური გახდა გარე მიგრაციულ პროცესები, ძირითადად მძიმე ეკონომიკური პირობების გამო უკანასკნელ წლებში ქვეყანა მილიონ ნახევარზე მეტმა ადამიანმა დატოვა და ფიზიკური არსებობისათვის სახსრის საშოვნელად საცხოვრებლად სხვა ქვეყნებს მიაშურა. ყოველივე ამის შედეგად მთელ მოსახლეობაში მცირდება ახალგაზრდა ასაკობრივი ჯგუფი და იზრდება 60 წელზე უხნესი მოსახლეობის წილი ე. ი. მოსახლეობა დემოგრაფიულად ბერდება. ეს პროცესები განსაკუთრებით გამოიკვეთა უკანასკნელ წლებში და ყველაზე მეტად თავი იჩინა ქართულ მოსახლეობაში. ვითარება იმდენად რთულია, რომ ეკონომიკური პირობების არსებითი გაუმჯობესების შემთხვევაშიც კი, ახლო მომავალში მდგომარეობის გამოსწორებას არ უნდა მოველოდით. დიახ, ქართველი ვრთი ფიზიკური წყვეტის, გადაშენების საშიშროების წინაშე აღმოჩნდა. ერთიდაიმავე რაოდენობით თაობათა განახლება სულ უფრო ძნელი ხდება, რაც სულიერი უწყვეტობის პროცესის საგრძნობ შენელებასთან შედარებით ბევრად უფრო სახიფათოა. აქტიური დემოგრაფიული პოლიტიკის გატარების შემთხვევაში, რომელიც ხანგძლივი პერიოდზე იქნება გათვალისწინებული მხოლოდ შეიძლება შენელდეს ეს პროცესი და საკმაო დროის გავლის შემდეგ მიღწეული იქნეს სასურველი შედეგი. დღეს მსოფლიოში გლობალიზაციის პროცესი ისე სწრაფად მიმდინარეობს, რომ ძალიან უჭირთ,

განსაკუთრებით მცირე ერებს, ეროვნული ადამ-წესებისა და ტრადიციების შენარჩუნება, რაც ჩვენნიანი პატარა ერების ეროვნულ დემოგრაფიულ მდგომარეობაზეც მწვავედ აისახება.

დემოგრაფიული პრობლემის გადაჭრის გზად აუცილებელია ყოვლისმომცველი დემოგრაფიული პროგრამების შემუშავება. აუცილებელია, სახელმწიფოს მიერვე, საქართველოში შეიქმნას სახელმწიფოს დემოგრაფიული განვითარების ფონდი, მაღალკვალიფიციური სპეციალისტებისგან უნდა დაკომპლექტდეს და ჩამოყალიბდეს სპეციალური ინსტიტუცია, რომლებიც ერის გენოფონდის გადარჩენის გზებს შეიმუშავებს. ამდაგვარი ინსტიტუციის მიერ უნდა შემუშავდეს დემოგრაფიული უსაფრთხოების კონცეფცია, რითაც უზრუნველყოფილუნდა იქნას გლობალიზაციისა და ეროვნული ინტერესების შეხამება. ეს თანამედროვე მსოფლიოში ისედაც ურთულესი პრობლემაა. დემოგრაფიული პრობლემის მოსაგვარებლად კიდევ უფრო მეტი ძალისხმევა გვმართებს, რათა თავიდან ავიცილოთ ჩვენი ეროვნული სულიერების მსხვერვა და ქართული სულიერი სამყაროს გადაგვარება.

დღეს საქართველოში უმძიმესი დემოგრაფიული ვითარებიდან გამომდინარე, უპირველეს ყოვლისა, საფრთხე ემუქრება ქვეყნის ფიზიკურ არსებობას და ამ პრობლემის მოსაგვარებლად აუცილებელია საზოგადოებისა და ხელისუფლების ერთობლივი მუშაობა. დემოგრაფიული ვითარების გამოსწორების ღონისძიებათა სისტემაში უპირველესია სახელმწიფოს ჩარევა დემოგრაფიული პროცესების მსვლელობაში.

უმნიშვნელოვანესია იმის სწორი გაგება, რომ 1991-1993 წლების სახელმწიფო გადატრიალებამ, რამაც, ყოველმხრივ, კიდევ უფრო მეტი სავალალო შედეგები მოიტანა, ამ ბოლო 30 წლის განმავლობაში წარმოებულმა ყველა სახის ომებმა, დევნილების გაჩენამ და, რა თქმა უნდა, სოციალურმა პრობლემებმა და ავადმყოფობის მაღალმა კოეფიციენტმა დემოგრაფიულ რეგრესს მისცა „რევოლუციური“ ხასიათი, რაც იმას ნიშნავს, რომ მოსახლეობის შემცირების ტემპი არის კატასტროფულად მაღალი. ოფიციალური სტატისტიკა გვიჩვენებს, რომ მოსახლეობა იზრდება, მაგრამ ეს არარეალურია, რამეთუ, ცნობილია, რომ მოსახლეობის მატება ხდება ორი ფაქტორით - ბუნებრივით, ან მიგრაციით, საქართველოში კი ორივე მაჩვენებელი კლებისკენაა. ასევე არასწორად ხდება გარდაცვლილთა დაფიქსირებაც.

უნდა გამოცხადდეს გონიერი დემოგრაფიული პოლიტიკის გატარების დეკლარაცია და ერთ-ერთ პრიორიტეტად იქცეს ეს საკითხი. სწორედაც, გონიერი და ძლიერი დემოგრაფიული პოლიტიკით უნდა შევამციროთ მოსახლეობის კლება. აქაც მნიშვნელოვანია სახელმწიფო ღონეზე ჩართულობა. სწორი დემოგრაფიული პოლიტიკის წარმოება საწინდარი იქნება ურთულესი დემოგრაფიული სირთულეების დაძლევისა და სახელმწიფოებრივი აღორძინებისა.

მსოფლიოს ქვეყანათა სახელმწიფოებრიობის ღონის ამალღებისა და აღორძინების მიზნით, ახალი რეალობიდან გამომდინარე სასურველია დაიხვეწოს საერთაშორისო ხელშეკრულებათა აქტები ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვისა და მსოფლიო კოლექტიური უსაფრთხოების უზრუნველყოფის განხრითაც, რათა ახალ საუკუნეში სახელმწიფოებმა და ხალხებმა იცხოვრონ მშვიდობიან, განვითარებად მსოფლიო თანამეგობრობისა და ურთიერთპატივისცემის გარემოში. მსოფლიო სახელმწიფოებსა და პოლიტიკურ ძალებს უნდა ჰქონდეს პოლიტიკურ მოვლენათა შორის მუდმივი და უცილობელი კავშირი და ურთიერთდამოკიდებულება, რომელიც დასტურდება ბუნებასა და საზოგადოების შემეცნების პროცესში.

უნდა ჩამოყალიბდეს ჭეშმარიტად შესაბამისი ახალი მსოფლიო პოლიტიკური ურთიერთობების წყობა, რომლის დროსაც, მთელს მსოფლიოში, დამყარებულია და პრაქტიკაში ხორციელდება ხალხის ხელისუფლების საშუალებები და ფორმები, რომლებიც გამაგრებული იქნება ქვეყნის მოქალაქეთა თავისუფლებებისა და თანასწორობის კანონებში.

სახელმწიფოთა სამართლებრივ ურთიერთობათა ჩამოყალიბებისათვის ასევე აუცილებელია: აღიარება, სინანული, მონანიების გზით უნდა მოხდეს სრული, ჭეშმარიტი თანხმობა და შერიგება სახელმწიფოებრივ ურთიერთობათა აღდგენა-აღორძინებისა და განვითარების ძირითად პრინციპებზე დაყრდნობით, რომელიც საჭიროა დაფიქსირდეს როგორც სახელმწიფოთა ძირითად კანონში - კონსტიტუციაში, ასევე სახელმწიფოთა ურთიერთთანამშრომლობის დიდ ჩარჩო ხელშეკრულებებში და იგი უნდა წარმოადგენდეს ერთადერთ სავალდებულო პოზიციას სახელმწიფოთა ყველა მოქალაქისათვის, პოლიტიკური, თუ არაპოლიტიკური ორგანიზაციებისათვის;

სასურველია შემუშავდეს, მომზადდეს და რეფერენდუმის გზით მიღებულ იქნას სახელმწიფოს ახალი სახელმწიფოებრივი კონსტიტუცია, სადაც ასევე აღნიშნული იქნება სახელისუფლო კანონიერებისა და მისი სამართლებრივი უწყვეტობის საკითხი, რითაც ერთხელ

და სამუდამოდ გადაიჭრება ქვეყნის სამართლებრივი, პოლიტიკური და იურიდიული მოწყობის სამართლიანობა და კანონის უზენაესობა და იქნება გარანტი სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობის ხელშეკრულებათა ნამდვილობისა და უწყვეტობისა.

თავისუფლებისა და დემოკრატიის პრინციპების შესაბამისად გადასინჯული იქნას ყველა ის ხელშეკრულებანი, რომლებმაც განსაზღვრული დაბრკოლებები შექმნა სახელმწიფოთა ურთიერთთანამშრომლობის განვითარების სფეროებში.

ერთა თანაარსებობის ზემოთ მითითებულ ტრადიციებზე დაყრდნობით სახელმწიფოების მიერ ხელი უნდა შეეწყოს რელიგიური თვითმყოფადობის დაცვას. თავსებადობის ამ პრინციპთა ცხოვრებაში გატარება ქართული სახელმწიფოებრიობის, როგორც კავკასიური ახალი გაერთიანების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მახასიათებელი უნდა გახდეს (მით უფრო, რომ ეროვნულ უმცირესობათა ეთნიკურ, კულტურულ, ენობრივ და რელიგიურ თვითმყოფადობის დაცვის პრინციპებს კონსტიტუციური კანონის ძალა აქვს), რაც მისი საერთაშორისო ავტორიტეტის გარანტიაც იქცევა.

სახელმწიფო უნდა იბრძოდეს ადამიანის უფლებების დარღვევის ნებისმიერი გამოვლინების წინააღმდეგ, სახელმწიფოს სახელისუფლებო კანონიერებისა და ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა-შენარჩუნებისათვის, მისი მკვიდრი მოსახლეობის პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და ეკოლოგიური კატასტროფის წინააღმდეგ, დემოგრაფიული ექსპანსიის შესაჩერებლად, ეროვნული თანხმობისა და ერთიანობისათვის. მაქსიმალურად უნდა იქნეს უზრუნველყოფილი ყველა ის ძირითადი უფლებანი, რომელიც განსაზღვრულია საერთაშორისო სამართლის ნორმებით. აღიარებულია, რომ არ არსებობს ადამიანის სამართალი. სახელმწიფოებს კი აუცილებელია ჰქონდეს შეფარდებითი სამართალი, რომელსაც საფუძვლად დაედება სულიერ ღირებულებათა უპირატესობის აღიარება. დრო სწორედ სულიერ ღირებულებებს ვერ ხელყოფს, რადგან მისი დაგროვება და სრულყოფა ხდება მხოლოდ დროში.

მთავარი ამოცანაა ყველა სფეროში სახელმწიფოთა პოტენციალის მაქსიმალური გამოვლენა, მათი ეროვნული ინტერესების დაცვა, ერის თვითმყოფადობის, მეცნიერებისა და კულტურის აღორძინება, ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების დამკვიდრება, საკუთარი იერსახის შენარჩუნება-განვითარებით მსოფლიო ცივილიზაციაში ყველა სახელმწიფოთა ღირსეული ადგილის დამკვიდრება;

ამრიგად, სახელმწიფოს კეთილდღეობა უმაღლესი კანონია და მისთვის თავდადებული ზრუნვა ყოველი ეროვნული ღირსების მქონე ადამიანისათვის აუცილებელი და საჭიროა. ეროვნული ღირსების იდეა ერისა და ეროვნებების ძირითადი მსოფლმხედველობის პრინციპს უნდა წარმოადგენდეს, რითაც უნდა მოხდეს ხელმძღვანელობა როგორც თეორიულ მსჯელობაში, ასევე საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ეროვნული და სახელმწიფოებრივი ღირსების ამაღლება - ერის, სახელმწიფოს სულიერი და მატერიალური განვითარების გარანტი უნდა იყოს.

უმნიშვნელოვანესია, რომ საქართველოს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი - ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მოღვაწეობის ისტორიულობა და მისი ეგზისტენციალური დრო არ შეწყვეტილა. იგი გაგრძელდება, მანამდე, სანამ საქართველო თავის თავისუფლებაში არ განმტკიცდება ყველა ასპექტით: ეკონომიკური, პოლიტიკური და გეოპოლიტიკური. შესაბამისად უწყვეტია ისტორიულ-თემატური დრო და ამ ყოველივეს დამწყები პიროვნების როლი. მის მიერ დატოვებულია კვალი ამ ისტორიულ-თემატურ დროში, რომელიც გრძელდება მომავალში. საერთოდ პიროვნებები, რომლებიც ისტორიას ქმნიან მათი მოღვაწეობა არ მთავრდება ეგზისტენციალური დროის დასრულებით. მათი მოღვაწეობა სიუჟეტურ დროში გრძელდება და ყველა სიუჟეტი, რომელიც მათ ერს შესთავაზეს განსაკუთრებული დატვირთვა ეძლევა. ამ დროს, მნიშვნელოვანია პირველადი განმარტება: საქართველოს სახელმწიფოებრივი სამართალმემკვიდრეობისა და კანონიერების აღდგენა უპირველეს ყოვლისა ნიშნავს - სახალხო მოთხოვნით საქართველოს რესპუბლიკის ლეგიტიმური მთავრობის მიერ სამართლებრივი საკანონმდებლო ბაზისა და მის საფუძველზე ქვეყანაში განხორციელებული კანონიერი საკონსტიტუციო წესრიგის აღდგენას.

„საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის“ მიზანია დაანახოს და გააცნოს საქართველოსა და მთელ მსოფლიოს მისი ხედვა ქვეყნის მოწყობის, მისი სრული პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური სტაბილურობის მიღწევის, ერთიანობის უზრუნველყოფის, განათლებული სამოქალაქო და სოციალური სოლიდარული საზოგადოების ჩამოყალიბების გზით ჭეშმარიტი ეროვნულ-სახელმწიფოებრივი აღორძინების, რეალურად დამოუკიდებელი, თავისუფალი, დემოკრატიული სახელმწიფო წყობილების შექმნა-განმტკიცებისა და მისი კანონიერი რეალიზაციის, მსოფლიოში თავისუფლების, სამართლიანობისა და მშვიდობის, დემოკრატიული და სამართლებრივ სახელმწიფოთა

მშენებლობის, მათი მშვიდობიანი თანამშრომლობის ფუძემდებლური, ყოველმხრივი აღორძინების რეალური გეგმა და გზები, რომლითაც მოხდება სახელმწიფოს მიერ ადამიანის პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური, კულტურული, რელიგიური, ეროვნული, სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების ცხოვრებაში გატარება, ადამიანის ღირსებების უზრუნველყოფა და რომელიც დაფუძნებული იქნება სახელმწიფოებრიობის, სამოქალაქო საზოგადოებისა და სოციალური ჰარმონიის პრინციპებზე, მნებობის პრიმატისა და პასუხისმგებლობის გაცნობიერებით დაიცავს და დაამკვიდრებს ეროვნული თვითმყოფადობის, დემოკრატიისა, სამართლებრივი სახელმწიფოსა და თვითმმართველობის იდეალებს, პატივს სცემს ხალხთა თანასწორუფლებიანობას, საკუთარი ბედის გამგებლობას, მხარს დაუჭერს საომარი კონფლიქტების, გათიშულობისა და კონფრონტაციის თავიდან აცილების სამშვიდობო ცივილიზებულ პოლიტიკას. სახელმწიფოს ამოცანაა ყველა სფეროში ერის პოტენციალის მაქსიმალური გამოვლენა, ეროვნული ინტერესების დაცვა, ერის თვითმყოფადობის, მეცნიერებისა და კულტურის აღორძინება, ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების დამკვიდრება, საკუთარი იერსახის შენარჩუნება-განვითარებით მსოფლიო ცივილიზაციაში ქართველი ერისათვის ღირსეული ადგილის დამკვიდრება.

ლეგიტიმური ხელისუფლება, არის და მუდამ იქნება ნამდვილი (ერის ნების გამომხატველი) რეალური ხელისუფლება და მთავრობა. ნებისმიერი ერი მხოლოდ მაშინაა თავისუფალი ერი საკუთარ მიწაზე, როცა მას ჰყავს საკუთარი ინტერესების გამომხატველი და მსახური ხელისუფლება, წინააღმდეგ შემთხვევაში ერი თავად ხდება მსახური, ნიჰილისტური ფსიქო-ინტოქსიკაციითა და ტერორით იქცევა ვიტალისტურ მასად, რომელსაც არ გააჩნია ეროვნება და, აქედან გამომდინარე, არც – სამშობლო. ლეგიტიმური ხელისუფლების მიერ შექმნილი სამართლებრივ-პოლიტიკური ბაზა არის ნამდვილი საშუალება და გასაღები საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღსადგენადაც. ეს მომენტი უაღრესად მნიშვნელოვანია სოციალური ფსიქოლოგიის თვალსაზრისითაც,

საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის შინაგანი დინამიკა უნდა იყოს „ახალი მსოფლიო წესრიგის“ არქიტექტონიკაში კავკასიის გეოპოლიტიკური სივრცისა და მისი ღერძული სახელმწიფოს – საქართველოს სუვერენობის საკითხის უცილობელი ჩასმა და აღდგენა და იმ ბარბაროსული კოსმოპოლიტური ოკეანედან გამოსვლა, სადაც პოსტინდუსტრიული ცივილიზაციის გენეზისის ეპოქაში ქართული ეროვნულობა შთაინთქა იმპერიალისტური ძალების არასამართლებრივი დროებითი გარიგებებით. უნდა გვახსოვდეს ასევე, რომ მთავარი არგუმენტი და უმოკლესი გზა მთელი კავკასიის რეკოლონიზაციისაკენ, დამოუკიდებელი და თავისუფალი კავკასიის, როგორც მსოფლიო ახალი რეგიონის ჩამოყალიბებისაკენ, საქართველოს სამართლებრივ და კანონიერ დამოუკიდებლობასა და თავისუფლებაზე გადის.

ამასთანავე, დავძენთ, რომ ჩვენ არ უნდა გვამოძრავედეს შურისძიების გრძნობა, თუ არა ქვეყნის გადარჩენის წმიდათანმიდა იდეა, რაც გვაგალებს, მოვთხოვთ გზააბნეულთ – ბურგი შეაქციონ მორიგ პოლიტიკურ ავანტიურას, საქართველოს განადგურებით რომ ემუქრება და აღიარონ საჯაროდ, ქართველი ერის წინაშე ჩადენილი შეცდომები. მათ, ვინც გაითავისებს კანონიერი ხელისუფლების აღდგენის მოთხოვნას, მიეცემა ტრიბუნა, თავისუფლების ტრიბუნა და შანსი საქმით გამოისყიდონ შეცდომები იმ ადამიანების გვერდით, ვისთვისაც თავისუფალი საქართველოს იდეა პირველადია და შეუცვლელი!

აი, სწორედ ასე გვესახება ეროვნულ-სარწმუნოებრივი მსოფლმხედველობის, ეროვნული იდეოლოგიისა და საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციის საფუძველზე საქართველოს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მიმართულების ახალი ვექტორით სვლა და ურთიერთ შეთანხმების საფუძველზე მზადა ვართ ხელი მოვანეროთ ერთობლივ ჩარჩო-მემორანდუმს.



ამრიგად, ახალი რეალებიდან გამომდინარე:

1. ამ ამოცანების შესრულებისათვის აუცილებელია სახელმწიფოს შიგა სპეციალური სამართლებრივი კანონების საფუძველზე განმსწვნი აქტი - სრული პოლიტიკური, სამართლებრივი და ასევე, მორალურ-ზნეობრივი ლუსტრაციის განხორციელება.

საჭიროებისამებრ, დემოკრატიული, ლეგიტიმური და თავისუფალი ქვეყნის მიერ უნდა ჩატარდეს ასევე ურთიერთშეთანხმებითი, სახელმწიფოსა, თუ ნებისმიერ ორგანიზაციითა მიერ, ნებისთ, თუ უნებლიეთ დაშვებული შეცდომებისა და არასწორი გადაწყვეტილებების უთუო და აუცილებელი გამოსწორებისათვის სრული პოლიტიკური და სამართლებრივი ლუსტრაციის განხორციელება, რაც თავისთავად ხელს შეუწყობს როგორც სახელმწიფოს შიგნით, ასევე მთელს ცივილიზებულ სამყაროში ორმხრივი სინანულის, საჭიროებისამებრ მონანიებისა და თანხმობა-შერიგების გარდაუვალ პროცესებს;

2. აუცილებელია სამართლებრივი, კანონიერი და ეროვნულ-სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის აღდგენის იდეა და მისი ეროვნულ-სახელმწიფოებრივი აღორძინების კონტექსტში გააზრება;

3. ამ ახალ ეტაპზე, კანონიერი კონსტიტუციის თანახმად, საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის - საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის კანონიერი უფლებამოსილება და ვალდებულება ისაა, რომ იგი ამიერიდან სათავეში უნდა ჩაუდგეს დამოუკიდებლობიდან თავისუფლებისაკენ მიმართულ ბრძოლას, რამდენადაც მას ენიჭება დუალისტური ფუნქცია - ის თავის კანონიერ და სამართლებრივ სტრუქტურებთან (ინსტიტუციებთან) ერთად წარმოადგენს როგორც ლეგიტიმურ ხელისუფლებას, ასევე კონსტიტუციურად საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წარმმართველ ცენტრსაც, ფაქტობრივ არალეგიტიმურ გარემოში ეროვნული დაუმორჩილებლობის მთავარ იურიდიულ ინსტიტუტს;

4. საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის, საქართველოს რესპუბლიკის მთავრობისა და „საქართველოს ჰელსინკის კავშირი - ეროვნული აღორძინების“ სამართლებრივი და კონსტიტუციური სტატუსითა და ეგიდით, ქვეყნისთვის მოსალოდნელი კატასტროფის თავიდან აცილების ნაკლებად სარისკო უალტერნატივო გზაა სახელმწიფოს სამართალმემკვიდრეობისა და კანონიერების აღდგენა, მისი თანამედროვე დროში გასათვალისწინებელი ყველა სამართლებრივი ნიშნით, მცირე გარდამავალი პერიოდის გამოცხადება, სამართლებრივი, ლეგიტიმური, კანონიერი, საყოველთაო არჩევნების დანიშვნა-ჩატარება და მომავალი ხელისუფლების სამართლიანი, ლეგიტიმური გზით არჩევა, ანგაჟირებულად და დესტრუქციულ მხარეებად დაყოფილი საქართველოს ერთხელ და სამუდამოდ გამთლიანება, სინანულის, მონანიებისა და რეალური ეროვნული თანხმობის მიღწევის შესაძლებლობა. ამასთან, ეს გზა დაკარგული ტერიტორიების დაბრუნების, ქვეყნის საბოლოო, საერთაშორისოდ აღიარებული სამართლიანობისა და გადარჩენის ერთადერთ გზად რჩება.

ეს ყოველივე საქართველოს სახელმწიფოებრიობის რეალური დამოუკიდებლობისა და თავისუფლების სამართლებრივად სწორ გზაზე დაყენების ერთადერთი მექანიზმია. ამ გზის დაუსაბუთებელი უარყოფა კი, მხოლოდ კონფრონტაციის, ქვეყნის გათიშულობის, ტერიტორიული მთლიანობის არაკეთილმოსურნე და საკუთარი პოლიტიკური ამბიციების დაკმაყოფილების მსურველ ძალებს აწყობს. საჭიროა, კანონიერი და ფიქტიურ-ფაქტობრივი ხელისუფლების თანხმობის შემთხვევაში, ან საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მშვიდობიანი პოლიტიკური გეგმით, ფაქტობრივი ხელისუფლების საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ სახელმწიფო გადატრიალების დღიდან დღემდე პერიოდი უნდა გამოცხადდეს უკანონოდ, სამართლებრივი და ლეგიტიმური საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის მიერ დაინიშნოს და ჩატარდეს მრავალპარტიული, დემოკრატიული და საყოველთაო არჩევნები.

ამასთან, არჩევნებისათვის უნდა ჩამოყალიბდეს ახალი ლეგიტიმური ცენტრალური საარჩევნო კომისია, სამართლებრივად შეთანხმებული საარჩევნო კანონის მიხედვით, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, ყოველივე ეს განხორციელდეს საერთაშორისო თანამეგობრობის სახელმწიფოებისა და შესაბამისი საერთაშორისო ორგანიზაციების კეთილი ნებისა და თანხმობის პირობებში.

აქედან ნათლად ჩანს, რომ აუცილებელია, მოხდეს სამართლებრივი, კანონიერი და კონსტიტუციური წესრიგის აღდგენა, რის შემდეგაც ქვეყანამ უნდა აირჩიოს ახალი ლეგიტიმური ხელისუფლება. სწორედაც კანონიერი ხელისუფლების (საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის) მიერ დანიშნულმა დემოკრატიულმა, მრავალპარტიულმა ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ უნდა ჩაატაროს არჩევნები. მხოლოდ ამ არჩევნების შედეგად მოსული ხელისუფლება იქნება სამართლებრივი, კანონიერი, ლეგიტიმური, ასევე, უფლებამოსილი და ვალდებულიც, რომ იხელმძღვანელოს სამართლებრივი ბაზით;

5. საქართველოს სახელმწიფომ უნდა გამოიყენოს გეოპოლიტიკური უპირატესობები და მსოფლიო თანამეგობრობის ქვეყნებთან შეთანხმებით დამოუკიდებელი პოლიტიკურ დიპლომატიური აქტიურობანი;

6. უნდა შესრულდეს 1975 წლის ჰელსინკის საერთაშორისო ხელშეკრულების მისიის სამართლებრივად სწორი დასრულება და მასთან შესაბამისი მემკვიდრეობით ფუნქციის მექანე ახალი რიგი მიზნებისა და ამოცანების დასახვა;

ამასთან, აუცილებელი თუ არა, სასურველია, დადგეს 1975 წლის ჰელსინკის საერთაშორისო ხელშეკრულების დეკლარაციაზე ხელისმომწერი სახელმწიფოების პასუხისმგებლობის საკითხი. ამ საკითხის მოგვარება ხელს შეუწყობს ასევე რიგ ქვეყნებში რეალური სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა-თავისუფლების დამკვიდრებისა და ამ გზით მათი ეროვნულ-სახელმწიფოებრივი თვითმყოფადობის განვითარების უზრუნველყოფას.

აქედან გამომდინარე, საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა და „საქართველოს ჰელსინკის კავშირი - ეროვნული ალორძინებას“ მიაჩნია დაისვას შემდეგი საკითხები:

ა) 1975 წლის ჰელსინკის დეკლარაციაზე ხელისმომწერი სახელმწიფოების პასუხისმგებლობის საკითხი, მსოფლიოს ხალხებისა და ერების თვითმყოფადი განვითარების უზრუნველყოფის, ანუ ჰელსინკის საერთაშორისო დეკლარაციაში სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობების ვექტორით მოცემული გარანტიების აღსრულების საქმეში;

ბ) საკითხი, საქართველოს, როგორც კავკასიის პოლიტიკური რეგიონის, ცენტრისა და ევრაზიული გზაჯვარედინი ქვეყნის საერთაშორისო მისიის შექმნისას და ამასთან მისი ორგანიზაციული დაფუძნებისას, საკუთარი წვლილის გაღებისათვის მსოფლიოში სამშვიდობო ცხოვრების უზრუნველყოფის საქმეში, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვისა და მსოფლიო კოლექტიური უსაფრთხოების უზრუნველყოფის განხრით იურიდიული და სამართლებრივი საერთაშორისო ხელშეკრულებათა აქტების დახვეწის გარდუვალობა და თანხმობა-შერიგების პროცესის აუცილებლობა;

7. უნდა აღდგეს და აღორძინდეს საქართველოსა და კავკასიის მოსახლეობის დემოკრატიული ბალანსი;

8. უნდა აღსრულდეს მსოფლიოს ისტორიული მისია და ჩამოყალიბდეს განახლებული მსოფლიოს ერთა ანსამბლეა - ახალი გაერთიანებული ერთა ორგანიზაცია;

9. მპგ „საქართველოს ჰელსინკის კავშირი - ეროვნული ალორძინება“ შემოდის თქვენს წინაშე ინიციატივით უახლოეს, ყველაასათვის მისაღებ დროს, ნებისმიერ ერთობლივად შერჩეულ ადგილას ჩატარდეს „ახალი ეროვნული ფორუმი“ - ადამიანის უფლებათა და

*ძირითად თავისუფლებათა მსოფლიო საერთაშორისო ორგანიზაციების, მათ შორის არსებული „ჰელსინკის ორგანიზაციების“ წარმომადგენელთა „მსოფლიო ფორუმი ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვისა და მსოფლიო უსაფრთხოების საკითხებში“, საერთო, ერთობლივი ღონისძიებების, ურთიერთობების დამყარებისა და შემდგომი მოქმედებების შემუშავების მიზნით, მნიშვნელოვანია, დროულად დაიწყოს მსჯელობები აღნიშნულ საკითხთან მიმართებაში და დაისახოს შესაბამისი ღონისძიებები. „ახალი მსოფლიოს ფორუმის“ მონაწილეთა ისტორიული მისიაა საფუძველი ჩაუყარონ თვისობრივად ახალ ინსტიტუტს, რომლის უზენაესი მისია იქნება, ადამიანის უფლებათა დაცვასთან ერთად, მსოფლიო კოლექტიური უსაფრთხოების უზრუნველყოფაც. მასთან, კავკასიის როგორც მსოფლიოს მშვიდობიანი ერთობის განმსაზღვრელი ახალი რეგიონალური გაერთიანების შიგა მონესრიგების პრინციპი კი ისტორიულ-ეთნიკური პროცესების განვითარებამ, მისმა ღრმა ფესვებმა უნდა განსაზღვროს, რაც საქართველოს იბერიულ-კავკასიურ ტომებთან ნათესაობით და ასევე შემდგომ თხი ზღვის (კასპის, შავი ზღვის, ამოვისა, ხმელთაშუა ზღვის და შესაძლოდ პლუს მინიმუმ ორი ოკეანის) აკვარტორიათა და ნავსადგურთა გარკვეული ნაწილის შემდგომი მათი არეალის გაფართოებით, თანამშრომლობითა და კონტროლით განსაზღვრულ უპირატეს მდგომარეობაში აყენებს მას.*

რა არის დღეის ამოცანა? კვლავაც ვიმეორებთ მრავალჯერ ნათქვამს: „- დღეის ამოცანა საკუთარი თავის ცნობაა. თავის ცნობისათვის საჭიროა ნათესავ-ტომობის ცნობა, ანუ იმის გარკვევა, ვინ რა გვარის სისხლ-ხორცისაგან და რა ტომის დედ-მამისაგან მოედინება. ვინც ამას გაარკვევს, იმასაც გაიგებს, შემდეგ რა გზით იაროს“ . . .

თუ ეროვნულ-პოლიტიკური ამბოვნება არ დაეფუძვნა ღვთის ჭეშმარიტ რწმენას, ეროვნულ-სარწმუნოებრივი და ჰუმანისტური ამბოვნების მსოფლმხედველობისა, თუ ტრადიციების აღორძინება-დამკვიდრების შეუვალ სურვილს, მნებრივ ფასეულობათა ერთგულებას, სამართლიანობისა და კანონის უზენაესობის პრიორიტეტს, ვეჭვობთ მივალწიოთ ერის დარღვეული შინაგანი წონასწორობის, სახელმწიფოებრივი ეროვნულ-სარწმუნოებრივი მსოფლმხედველობის, იდეოლოგიის, ტერიტორიული მთლიანობის, კანონიერების, სამართალმემკვიდრეობის აღდგენას, პოლიტიკურ-სოციალური სამართლიანობის დამკვიდრებას, კულტურისა და ეკონომიკის აღმავლობას!

ოღონდ, არ უნდა დაგვავიწყდეს, სამართალი და ისტორიული სამართლიანობის აღდგენა საქართველოში, ეს არის მთავარი კრედოც და მიზანიც.

**რამეთუ:**

- უსამართლობას შეიძლება მოვერიოთ მხოლოდ სამართლით!
- სიცრუეს შეიძლება მოვერიოთ მხოლოდ სიმართლით!
- უკანონობას შეიძლება მოვერიოთ მხოლოდ კანონით!

მპგ „საქართველოს ჰელსინკის კავშირი - ეროვნული აღორძინების“  
პრეზიდიუმი

2022 წლის 1 ნოემბერი

\* \* \*

თუ ფიქრობს ვინმე, -  
გავკმინდოთ ენა! -  
შენც არ მომიკვდე! -  
არა და ვერა!  
შოთა რომ არა!  
ვაშა რომ არა!  
თათო რომ არა! -  
კიდე, - ხო, მარა....  
ესენი რთა?!  
ესენი რთა! -  
ახლა კი დროა! -  
ახლა კი დროა! -  
სოლომონ რთა,  
კვლავ დაიქუხოს საქართველომა!

\* \* \*

ირიურაუებს.... დღე მოინევეს კრიალა,  
- თორთლა ცას შეასკება... იალა!..  
ჩირბვიანა,  
ჩიბიანა,  
ხიანა,  
ფოთლიანა,  
ღელიანა,  
ღყიანა,  
- დედაბინა ხარობს ყველაფრიანა!  
ნაკუნ-ნაკუნ-ნაკუნ-ნაკუნ კი არა!  
- გაუმარჯოს, გაუმარჯოს მთლიანად!  
- მიწიანა, კაცნიანა, ციანა,  
- საქართველოს მოთმინების ფიალას!

მუხრანო



საქართველოს უშიშროების კომიტეტის  
 განსაკუთრებულ საქმეთა მნიშვნელობის  
 უფროსი გამომძიებელი,  
 სახელმწიფო საზღვრის დაცვის  
 დეპარტამენტის შიდა ინსპექციის  
 უფროსი,  
 „ქვეყნის კლუბის“  
 ერთ-ერთი დამფუძნებელი,  
 ძალთაშორის სტრუქტურების ვიცე-პრეზიდენტი,  
 გადამდგარი პოლკოვნიკი

**ბ ბ ბ ბ ბ ა ი ს უ რ ა ძ ე**

**დეტექტივ-გამომძიებლის ჩანაწერებიდან  
 (ისტორიის რამდენიმე ფურცელი)**

\* \* \*

როცა მესმის, რომ აფხაზეთი შევარდნაძის მმართველობის დროს დაგვარგეთ, მწარედ მეცინება, რადგან ეს კუთხე ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის არსებობის დროსაც სანახევროდ დაკარგული გვექონდა, რესპუბლიკური ხელისუფლების კონტროლიდან თითქმის გასული იყო, ტიპური გურულის შინაგანი პათოსით მიმტკიცებდა ჩემი კოლეგა ილია ბარამიძე. სანამ მიზეზებზე რამეს გეტყვოდა, ასეთ ფაქტს გავიხსენებო: „ გასული საუკუნის ოთხმოციანი წლების დასაწყისში საქართველოს უშიშროების კომიტეტის ცენტრალურ აპარატში ქვეგანყოფილების უფროსად ვმსახურობდი. მოსკოვიდან მოვიდა ბრძანება, სასწრაფოდ წარდგვედგინა ანგარიში რესპუბლიკაში ინტელიგენციასა და ახალგაზრდობაში არსებული ოპერატიული მდგომარეობის - (განწყობების) შესახებ. დავალების შესრულება მე დამევალა. წესის დაცვით, დაუგზავნე წერილები უშიშროების ორგანოების რაიონულ, საქალაქო და ავტონომიების უფროსებს. აჭარიდან დაუყონებლივ მივიღეთ ინფორმაცია, სამხრეთ ოსეთიდან ცოტა დაგვიანებით და ისიც რამდენიმე სატელეფონო მარით შეხსენების შემდეგ, ხოლო აფხაზეთის უშიშროებიდან მთელი თვე ველოდით წერილზე პასუხს, მაგრამ ამაოდ. იძულებული გავხდი, აფხაზეთის უშიშროების მე-5 განყოფილების უფროს მაქსიმ ბარლანჯიასთვის დამერეკა და ცოტათი „შემეფუცხუნებინა“, ზემდგომი ინსტანციის დავალების შეუსრულებლობის გამო. მაქსიმმა მიპასუხა, რომ აფხაზეთის უშიშროების კომიტეტი პირდაპირ აგზავნის ყოველთვიურ მოხსენებებს მოსკოვში და საქართველოს უშიშროების კომიტეტი შუამავლად არ გვჭირდება. თქვენს მიერ დასმულ საკითხებზე წლიურ ანგარიშს რომ გამოგიგზავნით იქ აღნიშნულის თაობაზე ყველაფერს ნახავთ. აღნიშნულის თაობაზე მე გენერალ ნოდარ მაისურაძეს მოვახსენე, ასე მიპასუხა-მეთქი. შეეშვი მაგ თავნებას, უაფხაზეთოდ შეადგინე წერილი და მოიშორე თავიდანო, ბრძანა ბატონმა ნოდარმა და მეც ასე მოვიქეცი.



აფხაზეთის მმართველობის ორგანოების მსგავსი დაუმორჩილებლობა იყო ყველა დარგში, რაც ძირითადად, განპირობებული იყო შემდეგი გარემოებებით: აფხაზეთში შვებულებას ატარებდა საბჭოთა კავშირის პოლიტიკური თუ ადმინისტრაციული ელიტა, ხოლო აფხაზეთის ხელისუფლების უპირველესი ამოცანა იყო მათთვის კომფორტული პირობების შექმნა. აფხაზი ხელმძღვანელები მოსკოვის ხელისუფლების უპირველესი მასპინძლები იყვნენ, მუხლებზე ცოცავდნენ მათ წინაშე, ხშირად მეგობრობდნენ მათ და უკვე აღარ სჭირდებოდათ საქართველოს ხელისუფლების კეთილგანწყობა, რადგან მოსკოვთან პირდაპირი „ძმური“ კავშირი ჰქონდათ დამყარებული. ამის გარდა, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ აფხაზეთის მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი ამა თუ იმ ძალოვანი უწყების(ორგანოს) აგენტურულ აპარატში ირიცხებოდა. აფხაზეთში თავის აგენტურულ ქსელს მუდმივად აფართოებდა საკავშირო სუკი-ს მე-9 სამმართველო, სამთავრობო აგარაკების და დასასვენებელი სახლების გამო, სახელმწიფო საზღვრის დაცვის სამსახურები, არმიის განსაკუთრებული განყოფილება, სსრკ შინაგან საქმეთა სამინისტრო, ასევე ადგილობრივი ორგანოები და ეს ერთი მუჭა აფხაზი ხალხი ლამის აგენტურულ ერად იქცა. რატომ მაინც და მაინც აფხაზი? იმიტომ, რომ აფხაზისა და ასეთ მცირე ერების გადმოხიზება ძალიან ადვილი იყო, რადგან ისინი წითელი იმპერიის უერთგულესი ხალხები იყვნენ. რამდენადაც არ უნდა გვძულდეს რუსული იმპერია, უნდა ვაღიაროთ, რომ მან მცირერიცხოვან ერებს დიდი უფლებები მისცა და ფერებ - ფერებაში სულით გაარუსა ისინი. იმ ერისთვის, რომლის კულტურული განვითარების მწვერვალი დიმიტრი გულიაა (ნარმოშობით ქართველი), პუშკინისა და ტოლსტოის ერის შვილობა სათაკილო ვერ იქნებოდა.

თუ მეხსიერება არ მღალატობს, 1982 წელი უნდა ყოფილიყო. გენერალმა ნოდარ მაისურაძემ თავის კაბინეტში გვიხმო ორ განყოფილების უფროსს მე და დავით ბაზლაძეს, (მომავალ უშიშროების მინისტრის მოადგილეს და პარლამენტარს). ასევე უფროს თპერწმუნებულ რეზო ამბროლაძეს. სამთავეს გამოგვიცხადა, რომ მასთან ერთად სასწრაფოდ ქ. სოხუმში მივემგზავრებოდით. მას წასვლის მიზანი არ უთქვამს. სოხუმის აეროპორტში დაგვხვდა თბილისიდან დანიშნული აფხაზეთის უშიშროების სამინისტროს კონტრდაზვერვის განყოფილების უფროსი გივი ამნიაშვილი, რომელიც გამართული ქართულით ვარ საუბრობდა. ცოტა მოგვიანებით მან გამაფრთხილა, რომ ჩვენთან აფხაზეთის უშიშროებაში ქართულად ლაპარაკი მიღებული არ არის და სასურველია, რომ რუსულად ვისაუბროთო. კარგი-მეთქი, ვუპასუხე. უშიშროების კომიტეტის შენობაში გენერალმა გრიგოლ ქომოშვილმა მიგვიღო\*. (ეს ის გენერალია რომელიც აფსუებმა ქ. სოხუმში უმოწყალოდ აწამეს და დახვრიტეს). აი, მის კაბინეტში გავიგე ჩვენი იქ ჩასვლის მიზანი. თურმე, აფხაზეთის ქართველობის უდავო ლიდერის და ადმიანის უფლებების დამცველის, ზვიადისეული „ჰელსინკის კავშირის“ წევრის არკადი მარკოზიას სასამართლო პროცესი უნდა ჩატარებულიყო და ჩვენ იმიტომ მიგვიწვიეს, რომ სოხუმის ქართველთა მხრიდან საპროტესტო გამოსვლების შემთხვევაში, ადგილზევე მიგველო ზომები(!). მერე, ურთიერთ საუბარში, ჩასულებმა ერთმანეთშიც კი ვერ გავარკვიეთ, მაინც რა „ზომები“ უნდა მოგველო. სასამართლო პროცესი მეორე დღესვე გაიმართა. დარბაზში ათიოდე კაცი იჯდა. მათ შორის ჩვენ - სამი თბილისელი. გენერალი მაისურაძე ქომოშვილის კაბინეტში, წინასწარ დამონტაჟებული რადიოკავშირით ისმენდა „პროცესს“. დარბაზში მსხდომი დანარჩენი შვიდი კაცი მილიციის თანამშრომელი იყო.

არკადი მარკოზიას ბრალად ედებოდა იარაღის უკანონოდ ტარება, რომელიც ჩხრეკისას ავტომობილის ძარაში უპოვეს და აშკარად მილიციის მიერ უნდა ყოფილიყო ჩადებული. ასევე საწყობის გამგედ მუშაობისას სახელმწიფო ქონების დატაცება, რაც აღწერის შედეგად აღმოუჩინიათ თურმე. მარკოზია კატეგორიულად უარყოფდა წაყენებულ ბრალდებებს და სამართალდამცავებს იქეთ სდებდა ბრალს მის მიმართ პროვოკაციის მომზადებაში. მოსამართლემ პირველივე სხდომა შეწყვიტა და პროცესი გაურკვეველი ვადით გადადო. ჩვენ კიდევ რამდენიმე დღე დავრჩით სოხუმში სასამართლო პროცესის გაგრძელების მოლოდინში და რაკი საქმე არაფერი მქონდა, გადავწყვიტე ჩემი ხაზით ზედაპირული შემოწმება ჩამეტარებინა აფხაზეთის უშიშროების მე-5 განყოფილებაში, რომელიც სწორედ რეგიონში „ქართულ ნაციონალიზმს“ ებრძოდა და მაქსიმ ბარლანჯიას ვთხოვე, საბუთები ეჩვენებინა, რაზეც კატეგორიული უარი მივიღე. მოგვიანებით მაისურაძის პრინციპული მოთხოვნისა და ქომოშვილის ჩარევის შემდეგ მართლაც მანახეს არა პირველხარისისხოვანი დოკუმენტები და რამდენიმე კონფიდენცის პირადი საქმე, რომელთა შორის ერთ-ერთი აფხაზური ნაციონალიზმის იდეოლოგიის იური ვორონოვისა იყო. ვორონოვი სამოცდაათიანი წლების დასაწყისში გადაუბირებია უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილეს და ამავე დროს გაგრის საქალაქო განყოფილების უფროსს მარტიროსოვს. ვორონოვის შეტყობინებებში არ მინახავს რაიმე მწვავე სიგნალი, მაგრამ რასაც გავეცანი ისინი ქართველთა ზიზღით იყო გაჯერებული.

ასევე ქართველთა მიმართ მიზლით სავსე იყო სხვა წყაროების შეტყობინებებიც. მახსოვს, ერთი ასე იწყებოდა: „ მე ვარ ინტერნაციონალისტი და საბჭოთა პატრიოტი, მაგრამ ამავე დროს ვარ აფხაზი...“. ის ლაფით სვრიდა აფხაზეთის ქართულ ინტელიგენციას „ფაშისტობის“ გამო. ამ ტიპის ტენდენციური შეტყობინებების მიღება საბჭოთა უშიშროების ოპერმუშაკებს ეკრძალებოდათ, მაგრამ აფხაზეთის უშიშროებაში მას არ დაგიდებდნენ, იღებდნენ, აფორმებდნენ და მოსკოვიდან მათთან ჩასულ საკავშირო კგბ-ს მაღალჩინოსნებს აცნობდნენ.

რამდენიმე დღის შემდეგ თბილისში დავბრუნდი და მოგვიანებით გავიგე, რომ დახურულ სხდომაზე განსასჯელ არკადი მარკოზიასთვის სასამართლოს რამდენიმე წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსჯია. იმ ხანებში თბილისში „პრაქტიკული დახმარების აღმოსაჩენად“ ჩამოვიდა საკავშირო სუკის ერთ-ერთი მიმართულების უფროსი გენერალი პოდგაინი, რომელიც ჩემს სამუშაო კაბინეტში იჯდა რამდენიმე დღე და საბუთებში იქეჩებოდა. როგორც გაირკვა, ზვიად გამსახურდიას შესაძლო დაპატიმრების გარემოებებს სწავლობდა. მე-5 განყოფილების უფროსი რუსლან ქვარცხავა მის დაპატიმრებას ითხოვდა, მას პოდგაინი ეთანხმებოდა, ხოლო ალექსი ინაური და ნოდარ მაისურაძე თვლიდნენ, რომ დაპატიმრება ქვეყანაში ოპერატიულ ვითარებას დაძაბავდა... საჭირო გახდა საკითხის ცეკას პირველ მდივან ედუარდ შევარდნაძესთან შეთანხმება, რომელსაც პოდგაინი და მაისურაძე ეწვივნენ. უკან დაბრუნებული პოდგაინისგან შევიტყვე, რომ შევარდნაძე გამსახურდიას დაპატიმრების კატეგორიული წინააღმდეგი ყოფილა და პოდგაინი ხელცარიელი დაბრუნდა მოსკოვში. გენერალ პოდგაინის თბილისში ყოფნის პერიოდს დაემთხვა ერთი საინტერესო ფაქტიც: სამხრეთ ოსეთის გამომცემლობა „ირისტონმა“ რუსულ ენაზე გამოსცა წიგნი სახელწოდებით „ანახარსისი“. ანახარსისი ერთ-ერთ ანტიკურ წყაროში მსოფლიოს 7 ბრძენთა შორის იხსენიება და აღნიშნულია, რომ იგი წარმოშობით სკვითი ყოფილა. თვით ანახარსის ნაშრომები არ შემონახულა. მისი ბიოგრაფიაც ბუნდოვანია და სწორედ მაშინ იხელთეს დრო ოსმა სწავლულებმა და ანახარსისი თავის წინაპრად გამოაცხადეს, რამაც რუსი მეცნიერების გაღიზიანება გამოიწვია, რადგან რუსები, ოსების მსგავსად, თავს სკვითური კულტურის მემკვიდრეებად მიიჩნევენ. აი, როცა ოსების ამ „თავხედურ“ გამოხდომაზე ვმსჯელობდით პოდგაინიმ მითხრა, აფხაზთა პრეტენზიები გასაგებია რუსეთთან შეერთებაზე და ეს როდესმე ასეც მოხდება, მაგრამ გაუგებარია ამ საქართველოს ტერიტორიაზე ახლახან ჩამოსახლებულ ოსებს რა ამბიციები ამოძრავებთ...

ანახარსისზე წიგნი ახლაც ჩემს ბიბლიოთეკაშია და როგორც უკვე ვთქვი, მისი ნაშრომები არ შემორჩენილა, მაგრამ წიგნში ჩართულია მისი ცალკეული ბანალური ბრძანებები, დაახლოებით ასეთი: „შარვალი რომ არ ჩაგძვრეს, ქამარი შემოიჭირე“, „ლუკმა კარგად დაღეჭე, რომ ყელში არ გაგეჩხიროს“ და ა. შ.

P.S. - არა მარტო ცნობისმოყვარეობის, არამედ როგორც მკვლევარი, დავინტერესდი არკადი მარკოზიას ვინაობით და შემდგომი ბედით ვინაიდან ამ პიროვნების დაპატიმრება ქ. გაგრაში მოხდა ქ. სოხუმში ჩემი აფხაზეთის უშიშროების კომიტეტში უფროსი გამომძიებლის რანგში მუშაობის პერიოდში (1979 წ.) და ჩემს მიერ ეროვნებით აფხაზების ბაურ გინდიას და ჟორჟ (გიორგი) ხაშბას მიმართ სისხლის სამართლის პასუხისგებაში (ეროვნებათაშორისი შუღლის გაღვივებისთვის) მიცემის პარალელურად. სწორედ მაშინ, ჩემი გაგრელი კოლეგებისაგან შევიტყვე, რომ ა. მარკოზია წარმოშობით აბაშის რაიონიდან ყოფილა. ქ. გაგრაში ჰქონია საკუთარი კაფე-ბარი და მცირე მენარმეობას ეწეოდა. ამის პარალელურად ჩამოყალიბებული ჰქონია ილია ჭავჭავაძის სახელობის საზოგადოებრივი ორგანიზაცია. ის ვალერი ციგანკოვთან ერთად ხელმძღვანელობდა ამ ორგანიზაციას. მეგობრობდნენ მერაბ კოსტავასთან და ზვიად გამსახურდიასთან. გაგრის რაიონში პერიოდულად აწყობდნენ აფსუების მიტინგების საწინააღმდეგო მასობრივ აქციებს. რის გამოც აფხაზ ძალოვანებს დიდი ხნის განმავლობაში ყელში „ყავდნენ გაჩხერილი რევიონში სეპარატისტული გამოხდომების მხილებისა და პროტესტისათვის“. ა. მარკოზიას განეიტრალებისათვის(გასაჩუქმებლად) მავანთა სპეციალური დავალებით, მას გაგრის მილიციის მუშაკებმა მოუწყვეს პროვოკაცია და ავტომანქანის საბარგულში საბრძოლო იარაღი ჩაუდეს. ის პასუხისგებაში იქნა მიცემული ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შენახვა-ტარებისათვის. როდესაც ჩემს ზემდგომ ხელმძღვანელებს ამის შესახებ მოვახსენე და უკმაყოფილება გამოვთქვი, მათ არც დაუმაღლავთ და პირდაპირ განმიცხადეს: „გოგი, შენს მიერ აღძრულ საქმეს მიხედვე და ფრთხილად იყავი, არაფერი შეგეშალოსო... სხვა უწყებაში რა ხდება ეს შენი საქმე არააო!“.

საქართველოს უზენაეს საბჭოში მოსახვედრად ა. მარკოზიას აბაშის საარჩევნო ოლქში უყრია კენჭი და იქ გაუმარჯვებია.

როგორც ა. მარკოზიას ახლო გარემოცვიდან მაცნობეს. მან ტრაგიკულად დაასრულა სიცოცხლე საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას ერთგულებისათვის.

1992 წლის იანვრის პირველ რიცხვებში, როდესაც ე. თბილისში სამოქალაქო ომი მძვინვარებდა, საქართველოს უზენაესი საბჭოს წევრი არკადი მარკოზია თავისუფლების (ყოფილი ლენინის) მოედანზე ჯაბა იოსელიანის და თენგიზ კიტოვანის ე. წ. „მოპიკეტეებმა“ გააჩერეს.

საბუთების შემოწმების პროცესში, როგორც კი გაიგეს მისი ვინაობა, ავტომანქანიდან გადმოსვლა უბრძანეს და მისი თანმხლები პირების თანდასწრებით, იქვე ადგილზე დემონსტრაციულად დახვრიტეს...

აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით იყო თუ არა აღძრული სისხლის სამართლის საქმე და ჩატარდა თუ არა გამოძიება, მათთვის დღემდე არაფერია ცნობილი. მათი ვარაუდით, შესაბამის უწყებას საქმე რომ აღედრა უდავოდ ეცოდინებოდათ ვინაიდან როგორც ბოროტების თვითმხილველებს, მოწმის სახით მაინც დაჰკითხავდნენ...

ჩვენი მრავალი ჭირის მთმენი და საკუთარ თავზე გადამტანი პატივცემული საზოგადოების სამწუხაროდ, ასეთ არაერთ ფაქტს ჰქონდა ადგილი იმუამინდელ საქართველოში.

\* \* \*

### ლალი ხოჭოლავა

მათი ოჯახი ცხოვრობდა ე. გაგრაში, სოხუმის გზატკეცილის № 197 სახლში. მამამისი - გენადი ხოჭოლავა, პროფესიით მასწავლებელი, მსახურობდა დაბა ბზიფის სკოლის დირექტორად. გაგრის რაიონის საზოგადოება მას იცნობდა როგორც წესიერ, პატიოსან, დამსახურებული ავტორიტეტის მქონე პიროვნებას.

1991 წლის 31 მარტს გ. ხოჭოლავა არჩეული იყო სარეფერენდუმო უბნის თავმჯდომარედ. ამის კატეგორიული წინააღმდეგი იყვნენ ადგილობრივი აფსუა სეპარატისტები. მათი ფსიქოლოგიური ზეწოლის, მუქარის და შანტაჟის მიუხედავად, დაბა ბზიფში იმ უბანზე რომელსაც მამამისი ხელმძღვანელობდა, რეფერენდუმმა წარმატებით, ყოველგვარი დარღვევების გარეშე ჩაიარა. დამდგარ შედეგებში მისი დიდი დამსახურება იყო. რეფერენდუმის დამთავრების შემდეგ, დაახლოებით 21.00 საათისთვის, გ. ხოჭოლავამ გადათვლილი ბიულეტენები შესაბამის ოქმთან ერთად წაიღო და ჩააბარა ე. გაგრაში, ე. წ. კოლონადაში სადაც ფუნქციონირებდა ცენტრალური სარეფერენდუმო კომისია. ამის შემდეგ ის გაუჩინარდა. ცოტა მოგვიანებით ცნობილი გახდა, რომ იქედან შენობიდან გამოსვლისთანავე უცნობმა პირებმა ჩასვეს თეთრი ფერის ავტომობილ 'ვოლგაში' და გაურკვეველი მიმართულებით წაიყვანეს ... 35 დღის განმავლობაში გენადი ხოჭოლავას შესახებ არავისთვის არაფერი არ იყო ცნობილი. მისი გვამი შემთხვევით აღმოაჩინა მწყემსმა დასახლებულ პუნქტ „კირპინაია“-ს მისადგომებთან, მდინარეში მიუდგომელ ადგილას. მის გვამს აშკარად ეტყობოდა წამების კვალი. ხელებზე ფრჩხილები სულ მოცილებული ჰქონდა. თვითმხილველები იმსაც ამბობდნენ, რომ სიკვდილამდე მას სახეზე ქიმიური მჟავა უნდა ქონოდა შესხმული. პირადი ნივთები ხელუხლებელი იყო, მათ შორის მაჯის ოქროს საათი.

სისხლის სამართლის საქმის გამოძიება დავალებული ჰქონდა გაგრის პროკურატურის გამომძიებელს გოდერძი ძიმისტარაშვილს. დამნაშავე ელემენტები ძიების პროცესში ვერ იქნა დადგენილი ... როგორც მოგვიანებით გაირკვა, მოძალადე თანამოქალაქეები მისგან საარჩევნო უბანზე რეფერენდუმის ჩაშლას მოითხოვდნენ ან ჩატარების შემთხვევაში შედეგები აფსუა სეპარატისტებისთვის სასურველი უნდა ყოფილიყო. სკოლის მასწავლებლები ამბობდნენ, რომ რეფერენდუმამდე მოძალადეები მასთან სკოლაში მოდიოდნენ. მისი კაბინეტიდან ხმამაღალი მუქარანარევი საუბარი და კამათის ხმა გამოდიოდა. მომსვლელთა შორის სახელდებოდნენ ექსტრემისტები და კრიმინალი ელემენტები ვინმე ძიაფშ-იპა და ყაფში. მკვლელებისთვის ხელი არ შეუშლია იმას, რომ მათ ოჯახს აფსუებს შორის ბევრი გავლენიანი ნათესავები ჰყავდა. მისი ბებია მამის მხრიდან გაზრდილი ჰყავდა აფსუებს. ბებიაშის ორივე ძმას პასპორტში ეროვნება „აფხაზი“ ეწერა. ამ ნათესაურმა კავშირმაც ვერ შეაჩერა ისინი, რომ მამამისი გენადი ხოჭოლავა ასეთი სისასტიკით არ მოეკლათ...

ჩაწერილია გოგი მაისურაძის მიერ, 2022 წლის 17 იანვარი. ე. თბილისი.

### ვალერი ციგანკოვის შესახებ

ტელევიზორთან ვზივარ და ვისმენ ქ. თბილისში ხორავას ქუჩაზე ამა წლის 1 დეკემბერს დატრიალებული ტრაგედიის შესახებ რომლის ირგვლივ საქართველოს უზენაესი საბჭოს ყოფილი დეპუტატი, ბორის კაკუბავა აკეთებს კომენტარს. ის ცდილობს მკვლევების გამართლებას. უნებლიედ მესხიერებაში ძველი კადრები ამომიტივტივდა, რომლებმაც გულში ჩარჩენილი ტკივილი გამახსენა.

აფხაზეთშიც იგივე ბორის კაკუბავა გამოდიოდა და საჯაროდ აცხადებდა, რომ "... 1992 წლის 5 თებერვალს ქ. გაგრის მხედრონის მიერ ჩატარებულ სპეცოპერაციის დროს იძულებული გახდით ვალერი ციგანკოვის ლიკვიდაცია მოგვეხდინა, რომელიც პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას ედგა გვერდში ბუნკერში, როგორც ერთგული მებრძოლი, რომელმაც დაკავებისას შეიარაღებული წინააღმდეგობა გაგვინია..." . მისი სიტყვებით, თითქოს „... მან შეიტყუა მხედრონის ორი მებრძოლი საკუთარ სახლში, გამოკეტა ისინი შიგნით, თვითონ კი გარედან ხელყუმბართ ხელში, მათ ულტიმატუმს (რის თაობაზე არ უთქვამს?) უყენებდა. გარეთ ჩასაფრებაში მყოფი ჩვენი ბიჭები, იძულებული გახდნენ ციგანკოვი ადგილზე გაენადგურებინათ“.

ეს მტკნარი სიცრუე გათვლილი იყო ადგილობრივი მოსახლეობის თვალში გარკვეულ წილად გამართლებაზე მათ მიერ ჩადენილი მუხანათური მკვლელობის ფაქტებზე, და ამის გამო მათ მიმართ არსებულ უარყოფითი დამოკიდებულების განეიტრალებაზე. რეალურად კი ყოველივე ასე მოხდა: 1991 წლის აგვისტოში ქ. მოსკოვში ე. წ. გკჩპ-ე რომ დამარცხდა სსრკ-ის მასშტაბით, ამის პარალელურად საქართველოში რევანშისტული ძალები - წითელი ინტელიგენცია, კრიმინალები, კორუმპირებული კომუნისტები, გრუ-ს აგენტები გაერთიანდნენ და მოაწყვეს შეიარაღებული აჯანყება ახლად ჩამოყალიბებულ ქართული სახელწიფოს წინააღმდეგ. 1991 წლის სექტემბრის თვეში პირველი გასროლაც მოხდა.

როგორც ცნობილია, ქ. გაგრიდან საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას დასახმარებლად მოხალისეთა ერთი ოცეული ნაზიდა ქ. თბილისში, თუმცა მსურველები ბევრად მეტი იყო, მაგრამ ადგილობრივმა ხელმძღვანელობამ, რომელიც ორმაგ თამაშს თამაშობდა, არ ჩათვალა საჭიროდ მეტი ხალხის გაგზავნა. მხოლოდ ყველაზე პატრიოტულად განწყობილი მოხალისეები გაიგზავნა. მათ შორის იყო ვალერი ციგანკოვი. ამის პარალელურად, ქ. გაგრიდანვე ასევე წითელი ინტელიგენციის დაფინანსებით დედაქალაქში გაიგზავნა მხედრონის კრიმინალური დაჯგუფება. 1992 წლის 6 იანვარს რუსების დახმარებით, პუტჩისტებმა დაამხო რა საქართველოს კანონიერი ხელისუფლება, ქ. თბილისსა და დანარჩენ საქართველოში დაიწყო მოსახლეობის დარბევები. გაუჭირდათ მხოლოდ სამეგრელოს და აფხაზეთის ქართული მოსახლეობის დამორჩილება, სადაც იმართებოდა მრავალათასიანი მანიფესტაციები და მიტინგები...

14-15 იანვარს, რუსეთის ფედერაციის ქ. ადღერის სამოქალაქო აეროპორტში ქ. თბილისიდან ჩაფრინდა თვითმფრინავი, რომელმაც მხედრონის დაჯგუფების კბილებამდე შეიარაღებული ერთი ასეული ჩაიყვანა. მათ როგორც გამარჯვებულებს, ადგილზე დახვდნენ მანქანებით, ე. წ. წითელი ინტელიგენცია და ქვეყნის სხვა მოღალატეები. ისინი შემოუძღვნენ მათ ქ. გაგრაში და დააბანაკეს ზღვის პირას მდებარე სანატორიუმ „თბილისში“. მეორე დღესვე დაიწყო პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას მხარდამჭერთა აქტივისტების დაპატიმრებები, ოჯახებში შევარდნები და ა. შ.

რამდენჯერმე დაარბიეს კიდევ პატრიოტი ქართველების მიტინგები, დააპატიმრეს ორგანიზატორები. ისინი შეჰყარეს ა/მ „კამაზის ძარაზე“, მიაყენეს ზღვას, ძარა აწიეს და (იანვრის თვეში), სუყველა წყალში ჩაყარეს. თვითონ კი ავტომატებით შორი-ახლო დადგნენ, ჰაერში ისროდნენ და გამაოგნებელი ყოყინით არ აძლევდნენ მათ ზღვიდან ამოსვლის უფლებას. ამავე დროს მათ დასცინოდნენ, უშვერი სიტყვებით ლანძღავდნენ და აგინებდნენ. ხალხი მაინც არ ცხრებოდა მოითხოვდნენ კანონიერი ხელისუფლების აღდგენას. მათ შეუერთდნენ თბილისის ომიდან გადარჩენილი პატრიოტები, მიტინგი მიტინგზე იმართებოდა. ადგილობრივმა „მგვალი მაგიდის“ მოღალატე ხელმძღვანელობამ ხალხს ზურგი შეაქცია. უფრო მეტიც, ისინი პუტჩისტებს შეუერთდნენ. ზემოდან (თბილისიდან) პუტჩისტები რადიკალურ ზომებზე გადასვლას მოითხოვდნენ... ხალხის დასაშინებლად ჭირდებოდათ ერთი ე. წ. „ტრუპი“...

მოღალატეების მეშვეობით გაიგეს რა თბილისის სამოქალაქო ომიდან ვალერი ციგანკოვის გაგრაში დაბრუნების ამბავი, დაადგინეს მისი ადგილ-სამყოფელი და ღამის 12 საათზე მის მიმართ დაგეგმეს ე. წ. სპეცოპერაცია. ოცამდე შეიარაღებულმა მხედრონელებმა წინასწარ ალყაში მოაქციეს ვალერის სახლი. ორი შეიარაღებული მებრძოლი ემოს შესასვლელიდან მიადგა და დაუძახა. ვალერიმ ძაღლების ყეფაზე სარკმელიდან შენიშნა შეიარაღებული მხედრონელების

მოძრაობა. ის სახლიდან გავიდა და იქვე სიმინდის ყანაში დაიშალა. მოსულებს ვალერის მეუღლემ გააგონა. ის მათთან ეზოში გავიდა და უთხრა, რომ ვალერი სახლში არ იმყოფებოდა. ამის შემდეგ მომხდურები უკვე დაუკითხავად შევარდნენ ეზოში, დიასახლისთან ერთად შეცვივდნენ სახლში, რომელიც დროებითი, ფიცრული ორი ოთახისგან შედგებოდა. (ვალერის იმავე ეზოში ახალი სახლის მშენებლობა ჰქონდა დაწყებული). შეიარაღებულების დანახვისთანავე ლოგინში მძინარე 12 წლის შეშინებულმა ბავშვმა წივილ-კივილი მორთო. მომხდურებმა ბავშვის გასაჩუმებლად ავტომატის ჯერი ოთახში გაისროლეს. ეს რომ ვალერიმ გაიგონა ალბათ იფიქრა, რომ მის გამო ოჯახს მიწიოკებენო, მალევე გამოვიდა სამალავიდან სინათლის შუქზე და ეზოში დადგა. მან ხელებანეულმა მომხდურებს მიაძახა: „ოჯახს თავი დაანებეთ, მე აქ ვარო“. ოთახში მყოფებს დაბნეულობისგან დაუნყიათ ყვირილი. გარეთ ჩასაფრებაში მყოფებმა კარგად დაინახეს სინათლეზე მდგარი ხელებანეული ვალერი, რომელიც იმ მომენტში მათთვის არავითარ საშიშროებას არ წარმოადგენდა. თუმცა, ვისაც უშუალოდ ჰქონდა ვალერის მოკვლა დავალებული, მან არ დააყოვნა და ავტომატის ჯერით უსიტყვოდ ჩაცხრილა იგი ადგილზე. თავდამსხმელთა უმეტესობამ იცოდა, რომ ვალერი მხოლოდ უნდა დაეპატიმრებინათ. ამიტომ ბევრმა მათგანმა ვერ გაიგო, რატომ მოკლეს ასე ეს ადამიანი საკუთარი ცოლ-შვილის თვალწინ. ისინი ისე დაბნეულან, რომ მილიციის მანქანა, რომლითაც გადაადგილდებოდნენ იმ ღამეს ციგანკოვის სახლის წინ დაუტოვებიათ. ყველამ იცოდა ამ საზარელი მკვლელობის ამბავი, მილიციამაც და მხედრიონმაც. მაგრამ საქმე არავის გამოუძიებია და ამბავი არავინ აგო პასუხი. ...

იმ ავბედითი დროიდან მოყოლებული, დღესაც დაუსჯელობის სინდრომი სუფევს საქართველოში.

ჩაინერა გოგი მაისურაძემ

15 სექტემბერი 2018 წ.





## ЛЫХНЕНСКОЕ ОБРАЩЕНИЕ АБХАЗСКОГО НАРОДА В АДРЕС РУКОВОДСТВА СССР ОТ 18 МАРТА 1989 ГОДА

Генеральному секретарю ЦК КПСС, Председателю Президиума Верховного Совета СССР тов. М.С.Горбачеву

Копия:

Председателю Совета Министров СССР тов. Н. И. Ръжкову

Президенту АН СССР академику Г.И. Марчуку

Директору Института марксизма-ленинизма при ЦК КПСС академику Г.Л. Смирнову

Директору Института государства и права АН СССР академику В. Н. Кудрявцеву

Директору Института этнографии им. Миклухо-Маклая АН СССР академику

Ю. В. Бромлею

<https://news.myseldon.com/ru/news/index/206722466>

В то время, как по всей стране вопросы национальной политики обсуждаются в партийных комитетах, на собраниях коммунистов, в трудовых коллективах, средствами массовой информации, в кругах научной и творческой интеллигенции, в различных самодеятельных объединениях, в Абхазии этот вопрос фактически замалчивается.

Газета «Правда» от 15 марта с. г. сообщает, что ЦК компартий союзных республик, крайкомы и обкомы партии обобщили мнения различных слоев населения, специалистов и представили в ЦК КПСС аналитические материалы. И в этом плане руководством Абхазской республики не принято никаких конкретных мер. Именно этими обстоятельствами мотивирована необходимость безотлагательного проведения митинга, посвященного обсуждению предложений для Пленума ЦК КПСС по межнациональным проблемам.

Предстоящий Пленум ЦК КПСС по национальному вопросу призван решить одну из главных проблем перестроечного процесса – восстановить ленинские принципы равноправия народов и решительно отказаться от губительного наследия культа личности Сталина.

Затяжной кризис в области межнациональных отношений лихорадит страну. С глубоким сожалением приходится констатировать, что национальный вопрос в Абхазской АССР загнан в тупик. Борьба за выживание коренного населения автономной республики – абхазского народа, оказавшегося на грани этнической катастрофы, выливалась в неоднократные массовые выступления 1957, 1967, 1978 годов.

Как известно, Абхазия чуть ли не единственная республика, национально-государственный статус которой изменялся по воле Сталина от высших форм государственного устройства к низшим (ССР Абхазия – 1921г., договорная ССР Абхазии – 1922 г., Абхазская ССР – 1931 г.), в то время как изменение форм государственного развития других народов страны происходило по восходящей линии.

Исторически этот вопрос выглядел следующим образом.

Вслед за Бакинской коммуной Советская власть в Закавказье в 1918 году была установлена и держалась в течение 40 дней лишь в Абхазии, но была подавлена меньшевиками.

Вскоре после победы Советской власти в Абхазии руководители местного Ревкома В.Эшба, Н. Лакоба, П. Агнишвили, Н. Акиртава сообщили 26 марта 1921 года В.И. Ленину и И.В. Сталину основные пункты своего решения: «Первое: Абхазия должна быть объявлена Социалистической Советской Республикой. Второе: Советская Абхазия должна непосредственно входить в общероссийскую федерацию». В письме особо отмечалось всеобщее желание трудового народа «связать свою судьбу непосредственно с Советской Россией».

Позднее последователь Ленина, первый председатель Ревкома Абхазии Ефрем Эшба говорил по этому поводу: «И вот эта маленькая страна с маленьким населением оформлена в виде независимой Советской Социалистической Республики. Многие товарищи могут подумать, что здесь есть какое-то противоречие, но, конечно, это не так... Российская революция показала миру многое такое, что ему не снилось раньше.

Это есть самый характерный пример воплощения в действительность разрешения национального вопроса. Чем больше был обижен народ, чем больше он был угнетен, чем меньше он был, тем меньше была и его сила сопротивления, меньше самостоятельности, и тем большую возможность исправить эту историческую несправедливость дает этим народностям пролетарская революция».

О рождении независимой ССР Абхазии В. И. Ленину было сообщено радиogramмой 31 марта 1921 года, а спустя несколько месяцев, 21 мая, Ревком Грузии принял декларацию «О независимости Социалистической Советской Республики Абхазии». «Мы требовали и получили всамделишную, настоящую независимую Советскую Абхазию. Давая полную независимость – бить разъяснительными способами, делом и словом шовинизм, недоверие...», – говорил Е.Эшба.

Однако уже 5 июля 1921 года Кавбюро ЦК при активном участии Сталина и его окружения постановляет: «Партийную работу вести в направлении объединения Абхазии и Грузии в форме автономной республики, входящей в состав ССР Грузии».

Вмешательство Сталина, его нескрываемое раздражение по поводу статуса ССР Абхазии наиболее отчетливо выражено в записке, направленной 8 сентября 1921 г. во ВЦИК РСФСР и в Наркомфин республики (Абхазия составляет автономную часть независимой Грузии, самостоятельных представителей не имеет и не должна иметь, ввиду чего кредитов от РСФСР не может получить. Наркомнац И. Сталин». И все это происходит в момент, когда ССР Абхазии еще существует...

Грубый политический, экономический, финансовый бойкот независимой ССР Абхазии и командно-административный диктат в национально-государственном строительстве привели к тому, что она в феврале 1922 года на договорных федеративных началах объединилась с Грузинской ССР. В постановлении Президиума Кавбюро ЦК РКП (б) от 16 ноября 1921 года в полном соответствии со сталинской установкой отмечалось: «1. Считать экономически и политически нецелесообразным существование независимой Абхазии. 2. Предложить тов. Эшба представить свое окончательное заключение о вхождении Абхазии в состав федерации Грузии на договорных началах или на началах автономной области – в РСФСР».

Е. Эшба категорически возражал против такой постановки вопроса. «Я слышал, – говорил он, – что некоторые товарищи к таким республикам, как Абхазия, в особенности – как Абхазия, относятся так, что независимость республики – это пустая вывеска, что эта республика – вроде карточного домика, вроде игрушки для детей. Было бы очень плохо, если бы это было так, это было бы несчастье».

Предсказание подтвердилось. Суверенитет Советской Социалистической Республики Абхазии, имевшей свою Конституцию (1925 г.), государственные герб и флаг (1924 г.), попирался. В 1931 г. «особый союзный договор» с ССР Абхазией был расторгнут, и она была введена на правах автономной республики в состав Грузинской ССР. А в период разгула сталинско-бериевских репрессий (1937 – 1953 гг.) статус автономии фактически принял формальный характер.

Между тем, прямо противоположный процесс шел в других регионах страны. Так, из 16 ныне существующих в составе РСФСР автономных республик 11 ранее были автономными областями, а 4 из 15 союзных республик преобразованы из автономных республик.

Очень сложна в Абхазии и проблема исторической демографии, уродливых миграционных процессов, усиленных сталинско-бериевскими насильственными переселенческими акциями.

Как известно, абхазы – народ с древней культурой, самостоятельной историей, языком, совершенно

отличным от грузинского. Еще в VIII – нач. XI вв. возвысилось сильное феодальное государство – Абхазское царство, которое стояло на острие кавказской политики, сформировалась Абхазская феодальная народность.

В 1877 году «Тифлисский вестник» пришел к выводу: «Не подлежит сомнению, что этнографический, социальный, политико-экономический быт и мировоззрение абхазов резко отличают их даже от соседних народов».

Вплоть до 70-х годов XIX века эта страна состояла почти исключительно из однородного абхазского коренного населения.

Резкие изменения в этническом составе населения страны произошли, когда значительная часть абхазов вынуждена была покинуть родину и переселиться (махаджирство) в пределы Османской империи. Буквально за одно десятилетие здесь произошла самая настоящая этническая революция: появились грузинские, греческие, армянские, русские, немецкие, эстонские, болгарские и другие поселения.

По первой Всероссийской переписи 1897 года абхазы все еще составляли более половины (55,3%) всего населения края, в 1926 году их удельный вес сократился более чем вдвое (26,4 %), а по переписи 1979 г. уменьшился до 17%. В то же время грузинское население главным образом за счет механического прироста увеличилось с 25 тысяч человек в 1897 году до 213 тысяч в 1979 году, т.е. почти в десять раз, а его удельный вес за тот же период возрос с 24 до 44.

Как уже говорилось, массовое переселение в Абхазию из районов Западной Грузии началось в царское время. В 1917 – 1921 годах в этом направлении работало «демократическое» правительство меньшевиков Грузии, проводившее политику террора, национальной розни и огрузинивания абхазов. «За все время существования правительства грузинских меньшевиков, – отмечал известный государственный деятель Закавказья Ш.З. Элиава на III выездной сессии грузинского ЦИКа в 1926 году, – мы имели систематические попрания всяких прав абхазского народа и стремление правительства «демократической» Грузии превратить Абхазию в объект эксплуатации, управлять непосредственно, распоряжаться всеми фондами республики, землей, лесом, ценными имениями и в особенности земельными фондами для своей переселенческой политики». Дело грузинских меньшевиков наиболее успешно продолжил Берия.

В годы сталинских репрессий трагическая судьба постигла весь советский народ. Ужас этой политики испытал на себе и абхазский народ.

Когда вся страна жила еще под знаком Ежова, Грузия и Абхазия уже в 1937 году первыми ощутили на себе когти грядущей бериевщины. Буквально в одну ночь из абхазских сел были уведены сотни крестьян. Им предъявлялись фантастические обвинения. Вырезалось все лучшее в народе. Писатели, ученые, инженеры, врачи, учителя – практически вся только что народившаяся абхазская интеллигенция вырубалась под корень.

Были уничтожены видные государственные и общественные деятели Абхазии. Для такого малочисленного народа, как абхазы, это были невосполнимые потери. Страшным свидетельством этой человеко-ненавистнической политики стало то, что абхазы, насчитывавшие всего 18 процентов населения автономной республики, в 1939 году из общего числа репрессированных здесь составили 80 процентов.

Репрессии обрушивались не только на людей. Репрессиям подвергались абхазский язык, абхазская история и культура, национально-государственный статус республики, исконные географические названия, абхазский алфавит...

После расправы над Нестором Лакоба и другими видными деятелями республики сталинско-бериевский аппарат развернул широкую кампанию по огрузиниванию абхазов и Абхазии. В 1937 – 1939 годах вводятся новый абхазский алфавит и шрифт на основе грузинской графики. С 1940 года во всех официальных документах абхазский народ перестали называть «абхазским народом», стараясь обезличить его, лишить своего имени и представить как одну из грузинских народностей.

С 1937 по 1953 годы проводилось массовое насильственное переселение в Абхазию из районов Грузии. Даже во время войны, в 1941-1942 годах, это плановое переселение, на которое затрачивались огромные народные средства, не только не прекратилось, а наоборот, усилилось. За счет такого неестественного механического прироста численность грузинского населения в Абхазии между переписями 1939-1959 годов увеличилась почти на 70 тысяч человек, в то время как коренного абхазского – всего на 5 тысяч.

В послевоенные годы шовинисты упразднили абхазские школы и ввели в них преподавание на грузинском языке. Находясь в 1948 году в Сухуми, Сталин как-то сказал: «Абхазы гораздо ближе нам, грузинам, чем сваны. Бедняга Лакоба не понимал этого...». Самой грубой фальсификации подвергались история и культура народа. Ему запрещалось говорить на родном языке. Происходило извращение кадровой политики, абхазов практически не было в руководящих партийных и советских органах. Готовилось выселение абхазов.

Трагическая участь постигла и другие народы, жившие в Абхазии. В первую очередь это относится к грекам и туркам, тысячи которых были депортированы в 1949 году из Абхазии в Казахстан, а их дома заняли новые переселенцы из Грузии.

Не остался в стороне и такой вопрос, как переименование абхазских топонимических названий и замена их грузинскими. Началом топонимической экспансии и ассимиляторской политики, направленной против суверенитета автономной республики, явилось постановление ЦИК СССР от 17 августа 1936 года «О правильном начертании названий населенных пунктов», по которому столица Абхазской АССР город Сухум переименовывался в «Сухуми», т.е. опять-таки давался в грузинской транскрипции.

Только с 1948 по 1951 годы в Абхазии на соответствующий лад были переименованы 147 названий. До сих пор около 50% населенных пунктов лишены исконных имен.

Несмотря на бесчинства и беззаконие, находились люди, открыто выступавшие против попрания прав трудящихся автономной республики. Еще 25 февраля 1947 года молодые представители абхазской научной интеллигенции Г. А. Дзидзария, Б. В. Шинкуба, К. С. Шакрыл обратились с письмом к секретарю ЦК ВКП (б) А. А. Кузнецову, в котором подробно рассказали о положении в республике. В последнем, 13-м пункте, говорилось: «Для трудящихся Абхазии 4 марта – День установления Советской власти в крае – был большим традиционным праздником. Но в последнее время эта знаменательная дата в жизни трудящихся Абхазии не отмечается. Не была отмечена она даже в 1946 году – на 25-м году существования Абхазской Автономной Советской Социалистической Республики. В этот день, День 25-й годовщины Советской Абхазии, в Сухуми – столице республики – даже газеты не вышли».

После ареста А. А. Кузнецова авторов письма стали преследовать как «буржуазных националистов».

В результате такой политики и насильственной ассимиляции численность абхазского народа к 1939 году оказалась ниже уровня первой Всероссийской переписи 1897 года. Так, например, только в Гальском районе абхазское население к 1939 году уменьшилось вдрут, по сравнению с 1926 годом, более чем на восемь тысяч и составило 1786 человек.

О фактах извращения истории Абхазии указывалось в письме председателя Совета Министров Абхазской АССР и секретаря Абхазского обкома партии (А. М. Лабахуа и М.К. Тарба), направленном в 1957 году в адрес Президиума ЦК КПСС. 23 октября 1954 года А. М. Лабахуа была составлена записка «О медленном исправлении ошибок и извращений, допущенных в национальной политике Абхазии». В том же году в ЦК КПСС с письмом «О помехах в дальнейшем развитии культуры, просвещения абхазов» обратился и народный поэт Абхазии Д. И. Гулиа. В 1977 году этот вопрос был вновь поднят в письме представителей общественности Абхазии.

Только XX съезд спас абхазский народ от уничтожения как этнос.

Сегодняшнее состояние межнациональных отношений в стране и, в частности, в Абхазской АССР наводит на мысль о необходимости радикальных перемен в этой сфере. Еще в 1978 году абхазский народ неоднократно требовал и добивался включения в проект Конституции Абхазской АССР специальной статьи о праве свободного выхода автономной республики из состава Грузинской ССР. Однако бывший во времена застоя секретарем ЦК КПСС И. В. Капитонов, выступая в Сухуми на многотысячном собрании, заявил, что решение этого вопроса в какой-либо форме представляется нецелесообразным.

Перестройка, демократизация и гласность обнажили запретные зоны в национальных отношениях, всколыхнули и подняли на поверхность целый ряд, казалось бы, несуществующих проблем. Используя сложившуюся благоприятную обстановку, оживили свою деятельность националистически настроенные элементы. Так, в настоящее время в Тбилиси и некоторых других городах Грузинской ССР идет открытая пропаганда «национал-социалистских» идей под флагом грузинских меньшевиков с требованием огрузинить не грузинское население республики. Газета «Литერатури Сакартвело» («Литературная Грузия») вещала, например: «В Грузии не грузинского ничего не должно быть. Не грузин тоже грузин в Грузии, он должен уметь говорить, писать и читать по-грузински, должен воспитываться на грузинской литературе, должен быть сочувствующим грузинскому духу и, наконец, не должен считаться гражданином Грузии, если всего этого нет у него».

В том же духе высказываются и многие другие.

Под прикрытием различных хозяйственных нужд и сейчас продолжается процесс переселения в автономную республику. И это несмотря на то, что плотность населения Абхазии многократно превышает республиканский и общесоюзный уровень.

Как и прежде, продолжается ставшая традиционной фальсификация истории абхазского народа. Если раньше тенденциозная грузинская историография не признавала абхазов автохтонным населением или же называла их грузинами, то теперь эти ученые «изобрели» теорию о двух коренных народах (грузины и абхазы) в Абхазии, что является вопиющей подтасовкой фактов. На этой основе они стали выступать с демагогическими заявлениями, призывают к «дружбе» с абхазами, начисто забывая при этом о русских, греках, армянах, эстонцах, евреях, татарах и других народах, проживающих в автономной республике.

Нельзя не сказать и о том, что за время существования Абхазской автономии она была практически лишена возможности самостоятельно управлять экономикой, решать хоть какие-нибудь значительные хозяйственные вопросы региона. Союзная, союзно-республиканская и республиканская системы управления сдерживают социально-экономическое развитие Абхазии.

Обращает на себя внимание тот факт, что подведомственные Совету Министров республики предприятия составляют 7,7%.

Дальнейшее социально-экономическое и культурное развитие Абхазской АССР находится в прямой зависимости от расширения ее политических прав.

Только с переводом Абхазской АССР в иное положение – превращение ее в Советскую Социалистическую Республику – станет возможным развитие ее народного хозяйства в полном соответствии с принципами общесоюзного разделения труда. Это позволит рационально и комплексно использовать уникальные природно-климатические условия, материальные и трудовые ресурсы, обеспечить более эффективное функционирование регионального народно-хозяйственного комплекса, отдавая предпочтение развитию перспективных отраслей экономики.

Пора, наконец, решительно приступить к реорганизации не оправдавших себя политических институтов. До каких пор будет существовать средневековая иерархия, делящая целые народы на ранги, подчиняющая одни республики другим? Даже во внутрипартийной структуре сложилось такое положение, которое ставит Абхазскую Областную парторганизацию в замысловатую систему двойного подчинения.



Эти и многие другие наболевшие проблемы Абхазии подробно изложены абхазской общественностью в Письме от 17.06. 1988 г. Президиуму XIX Всесоюзной партконференции, которое и по сей день остается без внимания.

Сегодня жизненно важной задачей является необходимость оздоровления межнациональных отношений, укрепления дружбы и братства между абхазским, грузинским, всеми народами, проживающими в Абхазии. Это может быть достигнуто лишь путем возвращения Абхазии политического, экономического и культурного суверенитета в рамках ленинской идеи федерации.

Единственно правильное решение этого вопроса Ефрем Эшба видел в необходимости объявления Абхазии самостоятельной Советской Республикой. Шестьдесят с лишним лет тому назад он пророчески говорил: «Вот оружие, которым мы быстро справимся со всякими раздувателями национальной розни. Вот средство, через которое мы восстановим быстро братское доверие между крестьянами абхазами и грузинами!..» Эти слова актуальны и сегодня.

## ПОСТАНОВЛЕНИЕ

абхазского народа и его подписи

В соответствии с решениями XXVII съезда КПСС, XIX Всесоюзной партийной конференции, требованиями ЦК КПСС, а также рекомендациями Центрального Комитета партии по организации широкого обсуждения предложений к предстоящему Пленуму ЦК КПСС по межнациональным отношениям в Абхазской АССР в историческом селе Лыхны состоялось собрание с участием более 30 тысяч человек. На собрании принято Обращение в адрес Генерального секретаря ЦК КПСС, Председателя Президиума Верховного Совета СССР тов. М. С. Горбачева, Председателя Совета Министров СССР тов. Н. И. Рыжкова, руководителей ряда научных центров.

Собрание отметило, что в марте 1921 года была провозглашена независимая Советская Социалистическая Республика Абхазия, о чем было сообщено В. И. Ленину. Однако под нажимом Сталина и в результате принятых им практических мер статус ССР Абхазии последовательно сводился от высших форм национально-государственного устройства к низшим (ССР Абхазия – 1921 г., договорная ССР Абхазия – 1922 г., Абхазская АССР – 1931 г.), в то время как изменение форм государственного развития других народов страны шло по восходящей линии. При этом все последующие годы происходило постоянное и целенаправленное размывание конституционных прав автономной республики.

В настоящее время в ряде политических, экономических, правовых, культурных и других аспектов взаимоотношений с Грузинской ССР Абхазская АССР по своим правам находится на уровне городских и районных административно-территориальных единиц.

Весь многолетний опыт вхождения Абхазии на правах автономной республики в Грузинскую ССР показал невозможность их равноправного сосуществования без восстановления изначальных ленинских принципов советской федерации, союза республик, обладающих реальным суверенитетом во всех сферах государственной жизни.

Учитывая вышеизложенные факты, а также требования участников собрания, высказанные при обсуждении данного Обращения, собрание постановляет.

1. Одобрить текст Обращения в адрес Генерального секретаря ЦК КПСС, Председателя Президиума Верховного Совета СССР тов. М. С. Горбачева, Председателя Совета Министров СССР тов. Н. И. Рыжкова, руководителей научных центров.
2. Просить ЦК КПСС, Верховный Совет СССР, Совет Министров СССР восстановить статус Советской Социалистической Республики Абхазии, каковой она была провозглашена в 1921 году при жизни В. И. Ленина.

3. Пересмотреть многоступенчатую систему неоднородных государственных образований, подрывающую ленинские принципы равноправия народов СССР.

18 марта 1989 г. Лыхнашта, Абхазская АССР

Подписи

1. Б. В. Адлейба – первый секретарь Абхазского обкома партии, депутат Верховного Совета СССР, член бюро Абхазобкома.
2. В. О. Кобахия – Председатель Президиума Верховного Совета Абхазской АССР, депутат Верховного Совета ГССР, член бюро Абхазобкома.
3. К. К. Озган – председатель Верховного Совета Абхазской АССР, депутат Верховного Совета Абхазской АССР, первый секретарь Гудаутского райкома партии.
4. В. М. Цугба – первый заместитель Председателя Совета Министров Абхазской АССР, депутат Верховного Совета ГССР, член бюро Абхазобкома.
5. С. Р. Таркил – секретарь Абхазобкома, член бюро.
6. Н. Г. Сакания – чаевод села Дурипш, член бюро Абхазобкома, Герой Социалистического Труда, депутат Верховного Совета Абхазской АССР.
7. Б. В. Шинкуба – народный поэт Абхазии, депутат Верховного Совета СССР, Герой Социалистического Труда.
8. Х.К.Айба – председатель колхоза села Лыхны, депутат Верховного Совета СССР, Герой Социалистического Труда.
9. Ю. Т. Квициния – секретарь Президиума Верховного Совета Абхазской АССР, депутат Верховного Совета Абхазской АССР.
10. В. А. Ашхацава – зам. Председателя Совета Министров Абхазской АССР, председатель Госплана Абхазской АССР, депутат Верховного Совета Абхазской АССР.
11. Ш. М. Шакая – зам. Председателя Совета Министров Абхазской АССР, депутат Верховного Совета Абхазской АССР.
12. В. Д. Пилия – первый секретарь Гагрского горкома партии, депутат Верховного Совета Абхазской АССР.
13. Д. Г. Пилия – первый секретарь Ткварчельского горкома партии, депутат Верховного Совета Абхазской АССР.
14. Ш. Н. Лакоба – министр юстиции Абхазской АССР, депутат Верховного Совета Абхазской АССР.
15. А. Ш. Хокерба – министр ЖКХ и БОН Абхазской АССР.
16. П. Х. Барциц – председатель Госкомитета Абхазской АССР по охране природы и лесного хозяйства, депутат Верховного Совета Абхазской АССР.
17. Ш. Х. Пилия – председатель Госкомитета по телевидению и радиовещанию Абхазской АССР, депутат Верховного Совета Абхазской АССР, член Союза писателей СССР.
18. Н. Н. Ашуба – министр культуры Абхазской АССР, депутат Верховного Совета Абхазской АССР.
19. Ш. А. Пачалиа – директор Абхазского государственного драматического театра им. С. Чанба, народный артист СССР.
20. А.Н.Гогуа – главный редактор журнала «Амцабз», член СП СССР, лауреат Госпремии Абхазской АССР им. Д.И. Гулиа и Госпремии ГССР, председатель Правления Народного фронта Абхазии, кандидат в народные депутаты СССР.
21. А. А. Гварамия – ректор Абхазского госуниверситета, доктор физико-математических наук, кандидат в народные депутаты СССР.
22. М. М. Аргун – председатель Верховного суда Абхазской АССР, депутат Верховного Совета Абхазской АССР.

23. Э. Т. Аршба – управляющий трестом «Абхазстрой», депутат Верховного Совета Абхазской АССР.
24. Ю. С. Цвижба – бригадир колхоза села Члоу, кавалер орденов Октябрьской Революции и Трудового Красного Знамени, лауреат Государственной премии СССР.
25. Р. М. Барциц – директор турбазы г. Гагра, Герой Советского Союза.
26. В. Д. Авидзба – зав. идеологическим отделом Абхазобкома, депутат Верховного Совета Абхазской АССР.
27. Л. Д. Бганба – министр торговли Абхазской АССР, депутат Верховного Совета Абхазской АССР.
28. Т. И. Когония – министр народного образования Абхазской АССР, депутат Верховного Совета Абхазской АССР.
29. В. Т. Миканба – министр местной промышленности Абхазской АССР, депутат Верховного Совета Абхазской АССР.
30. Н. П. Усов – ветеран войны, Герой Советского Союза.
31. Р. М. Чалмаз – председатель Правления Абсоюза, депутат Верховного Совета Абхазской АССР.
32. С. В. Багапи – первый секретарь Очамчирского райкома партии, депутат Верховного Совета Абхазской АССР.
33. К. Н. Думава – зав. общим отделом Абхазобкома, депутат Верховного Совета Абхазской АССР.
34. Ш.М. Аджинджал – председатель Госкомитета по печати Абхазской АССР, лауреат Госпремии Абхазской АССР им. Д. И. Гулиа, член СП СССР, депутат Верховного Совета Абхазской АССР.
35. А. А. Миквабия – второй секретарь Сухумского горкома партии.
36. Р. К. Хикуба – первый заместитель министра ЖКХ и БОН Абхазской АССР.
37. И. К. Тарба – секретарь Совпрофа Абхазии, лауреат Госпремии Абхазской АССР им. Д. И. Гулиа и Совета Министров ГССР, член СП СССР.
38. З. Х. Авидзба – зам. председателя правления Абхазской организации общества «Знание», доцент, депутат Верховного Совета Абхазской АССР.
39. Д. Ш. Губаз – председатель Сухумского городского Совета народных депутатов, депутат Верховного Совета Абхазской АССР.
40. И. Д. Лакоба – председатель Гудаутского районного Совета народных депутатов.

Всего более 30 тысяч подписей. Среди них люди разных национальностей (абхазы, грузины, русские, армяне, греки и другие), представители рабочего класса, крестьянства и интеллигенции Абхазии.

После опубликования Обращения на страницах областных газет «Апсны капшь» и «Советская Абхазия» от 24 марта 1989 года подписи продолжают поступать в адрес Правления Народного фронта Абхазии «Айдгылара» («Единение»).

На снимках: Голосование (обеими руками!) на Всеабхазском народном собрании – референдуме, плебисците – о восстановлении независимого суверенитета Абхазского государства – ССР Абхазии, каковой она была до сталинских репрессий – волюнтаристского её включения в состав унитарной Грузинской ССР в 1931 году на правах бесправной автономной республики... На исторической, царско-дворцовой площади Лыхнашга, 18 марта 1989 года.

2 июня (с судьбоносного для абхазского народа доклада на Первом съезде народных депутатов СССР в Москве) и 15-16 июля 1989 года (с отправкой в Сухум внутренних войск МВД СССР, спасших Абхазию и её народ от агрессии Грузии) Владислав Григорьевич Ардзинба стал подлинным лидером национально-освободительной борьбы абхазского народа в новейшей истории Абхазии... 2 июня 1989 года, Москва – Кремль.

# საკუთარი ხალხის ღალატი

## „დიადობი მსოფლიო კულტურასთან მხოლოდ კულტურის ენაზე შეიძლება“ ვაჟა ბობოხიანი

არავისთვის საიდუმლოებას არ წარმოადგენს ის ფაქტი, რომ აფხაზური სეპარატიზმის გააქტიურებას დასაბამი სკკპ XX ყრილობამ მისცა. ი. სტალინის კულტის დაგმობამ, ხოლო შემდგომ ლ. ბერიას მოცილებამ უშუალოდ მოამზადეს ფართომასშტაბიანი ანტიქართული გამოსვლები აფხაზეთში.

ისიც ყველასთვის ცნობილია, თუ როგორ დამთავრდა პირველი და მომდევნო გამოსვლები. მართალია ცალკეულ ექსცესებს ჰქონდა ადგილი, თუმცა მასობრივ ხოცვა-ჟლეტამდე არ მისულა. როგორღაც ხერხდებოდა კონფრონტაციის განელება, მაგრამ იგრძნობოდა, რომ ეს განელება პრობლემის გადადებას უფრო ნიშნავდა...

თუ კარგად გადავხედავთ მაშინდელ საბჭოურ პრესას, თვალში გვეცემა ერთი ვითარება: რატომღაც „პერესტროიკის“ წინამძღვრად თუ პარალელურად კვლავ მოჰყვა (რუსულ და აფხაზურ პრესაში) ანტი სტალინური, ანტი ქართული ლაშქრობა, რამაც ძალიან დაძაბა ვითარება; თითქმის საკავშირო მასშტაბით სტალინისა და ბერიას გამო ქართველებს „თავის მართლება“ დასჭირდათ. არადა, თავიდანვე სწორად რომ შეფასებულყო სტალინ-ბერიას დანაშაული (ასეთი კი ნამდვილად არსებობდა), ყველასათვის ცხადი უნდა გამხდარიყო, რომ ქართველები აქ არაფერ შუაში იყვნენ.

ფაქტი ფაქტად რჩება და აფხაზმა სეპარატისტებმაც კარგად აუღეს ალღო ახალ ვითარებას. კვლავ, ამჯერად უკვე გადამწყვეტი იერიში წამოიწყეს ქართველთა წინააღმდეგ რუსეთის საამებლად. აი, ამ დროს შეიქმნა ე. წ. „აფხაზური წერილი“, რომელიც დაიგზავნა კავშირის ყველა ინსტანციაში და საქართველოს ხელისუფლებაში. ის, რაც დღეს აფხაზურ-ქართულ კონფლიქტად იწოდება, უშუალოდ ამ წერილის შედეგია. მას მოყვა დღემდე შეუნყვებელი სისხლის ღვრა. ამ წერილში დაფიქსირებულია „აფხაზური კრედო“, მას ხელს აწერდა და დღესაც მოაწერს ყველა აფხაზი სეპარატისტი. ამ კრედოს ადრინდელი აქციების დროს ჩაეყარა საფუძველი, როდესაც კომუნისტური იდეალებით აღფრთოვანებულმა აფხაზმა ლიდერებმა „ოკეანეში პირდაპირ დახრჩობა ამჟობინეს პატარა მდინარეში ჩაძირვას“. მე აქ აფხაზ სეპარატისტებზე ვლაპარაკობ და არა პატიოსან აფხაზ ხალხზე, რომლებიც სეპარატისტებმა განირიეს.

ჩვენ მოწმენი ვართ იმისა, რომ თბილისში სტუმრად გვეწვია ვლადისლავ არძინბა, ინიციატორი უკიდურესი დაძაბულობის მომზადებისა და გაუგონარი გენოციდისა, რაც მან ქართველებს მოუწყო. ამას წინ უძღვოდა სოხუმში ქართველ ჟურნალისტებთან მიცემული ინტერვიუ. არც აქ და არც სოხუმში არ უკითხავთ მისთვის მთავარი: რა მიზეზით თუ საბაბით დაიწყო მან ეს საშინელი კონფრონტაცია. თვითონ კი მეთოდურად გაურბოდა ამ კითხვას და აიცილა კიდეც. მაშინ ალბათ დამშვიდებულიც კი გაფრინდა აფხაზეთში.

ეს კითხვა კი აუცილებლად უნდა დაისვას და მასზე გარკვეული პასუხი მოეთხოვოს პირველ სეპარატისტს.

რა მიზანს ისახავდა ე. წ. აფხაზური წერილი“ - აი კითხვა, რომელზე პასუხიც მოეთხოვება ყველა სეპარატისტს.

ვინც ამ წერილს გაეცნობა, ყველა დამეთანხმება იმაში, რომ ამ წერილით ბრალი ედება ქართველობას აფხაზთა შევიწროებაში, რომელიც საბოლოოდ თითქოს აფხაზთა გენოციდს ისახავდა მიზნად. ეს მიზანი სათავეს თურმე კრემლში იღებდა სტალინთან და ბერიასთან. მათ ბევრი დანაშაული ჩაიდინეს პატარა ხალხების მიმართ, აყარეს ისინი თავისი მიწა-წყლიდან და გადაასახლეს შორეულ მხარეებში. თითქოს მსგავსი რამ აფხაზების მიმართაც ჰქონიათ ჩაფიქრებული, მაგრამ საბჭოთა ხელისუფლებისათვის თავდადებულ და ერთგულ ხალხთან ეს არ გამოსვლიათ, სამაგიეროდ უფრო ვერაგული გზა მოუნახავთ: უნდა გადმოესახლებიათ ქართველობა აფხაზეთის მიწაზე, მეთოდურად შეექმნათ „ხელოვნური სიჭარბე“ და უპირატესობა,

რის შედეგადაც განხორციელდებოდა ჩანაფიქრი - აფხაზთა გენოციდი. თითქოს, ასე შეიქმნა ქართველთა 47 % -იანი უპირატესობა აფხაზეთში.

ჩვენ შევეცდებით ვაჩვენოთ იმ პრობლემის სიყალბე, რომელიც წერილშია დაყენებული. კერძოდ:

1) მართლა ქართველთა მიზანდასახული გადმოსახლების შედეგად შეიქმნა ქართველთა სიჭარბე, თუ მანამდეც, გაცილებით უფრო ადრე, სტალინისა და ბერიას სახსენებელიც რომ არ იყო ამ ქვეყანაზე, პირველნი ყოველთვის რიცხოვნობად მეტნი იყვნენ აფხაზებზე?

2) ამ წერილში ერთი სიტყვაც არაა თქმული იმის შესახებ, თუ ქართველთა 47 % - იდან რა რაოდენობას ქმნიან ე. წ. მიზანდასახულად გადმოსახლებულნი.

3) ასევე გვერდი აქვს ავლილი იმ ფაქტს, რომ აფხაზეთში აფხაზებზე მეტნი არიან სომხები და რუსები. მათ შესახებ არც ისაა ნათქვამი, რომ ამ უპირატესობით ისინი აფხაზებს ავინროვებდნენ და არც ის, თუ „რა მიზნით“ შეიქმნა ეს უპირატესობა. ალბათ, გულისხმობენ, რომ მათ აფხაზეთში დასახლებას არაფერ არ არეგულირებდა წინასწარი განზრახვით.

4) აფხაზეთში მიმდინარე ბოლო დროის მოვლენები გვაიძულებს ისეთი კითხვაც დავაყენოთ: აფხაზებს უყვართ „ეთნოსებზე“ ლაპარაკი, მაგრამ ერთხელაც არ მოსვლიათ აზრად განეცალკევებინათ 47% ქართველი „შემაჯინროებელი“ მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობა მაშინ მათ ეს არ აწყობდათ“- 47 % ყველა ქართველი იყო და ყველა აფხაზთა თანაბრად „შემაჯინროებელი მტერი“. როცა თავის მიზანს მიაღწიეს ახლა ცდილობენ ერთმანეთს დაუპირისპირონ ეს ეთნიკური ჯგუფები, რათა 47 % ქართველმა „პირი არ შეკრან“. სამწუხაროდ ზოგიერთნი ამ ანკვსზე ადვილად ეგებიან. გავშიფროთ „აფხაზურ წერილში“ მოცემული პრობლემის სიყალბე პუნქტუალურად.

1) არსებობს უამრავი სტატისტიკური მონაცემები იმის დასადასტურებლად, რომ ისტორიის „თვალხილულ“ მონაკვეთში, თვით 1917 წლის რევოლუციამდე ქართველები აფხაზეთში ყოველთვის მეტნი იყვნენ. სასაცილოა ის არგუმენტი, რომ სტალინისა და ბერიას აბრალებენ ამ უპირატესობის მოპოვებას...

2) კი, ნამდვილად ჰქონდა ადგილი ქართველთა ჩასახლებას აფხაზეთში (1937 -1949 წ. წ.), მაგრამ ...

ა)ეს პროცესი მიმდინარეობდა მთელი საქართველოს მასშტაბით და არა მხოლოდ აფხაზეთში. მცირემიწიანი რაიონებიდან მოსახლეობა გადაჰყავდათ შედარებით ნაკლებად დასახლებულ და ნაყოფიერ მიწიან მხარეებში: (კახეთი; ქართლი; მესხეთი; ნაწილობრივ სამეგრელოს კოლხიდის ზონაში).

ბ) არის სტატისტიკური მონაცემები იმის შესახებ, რომ ამ მიზანდასახული გადასახლებით აფხაზეთში ქართული მოსახლეობა ასე „უსაშველოდ“ არ გაზრდილა - ქართველი მოსახლეობის 47 % -დან „მიზანდასახულად მოსულებს“ სულ რაღაც 8-9% ეკუთვნით.

ბუნებრივად აღიძვრის კითხვა: სტალინ -ბერიამდე „ვინ ავინროვებდა“ აფხაზებს. მენშევიკებს ყველაფერი შეიძლება დააბრალო, მაგრამ ხალხი მათ არ ჩამოსახლებიათ. მაშ, ამაზეც უნდა უპასუხოთ არძინბამ!

3) ვერ დარჩება პასუხის გარეშე კითხვაც:

თუ ქართველთა რიცხოვნობა უპირატესობა ხელოვნურად შეიქმნა იმისათვის, რომ შემდეგ მასობრივად შეევიწროებინათ აფხაზები და განეხორციელებინათ მათი გენოციდი, რატომ მსგავსი შედეგის დაფიქსირება არ შეიძლება მაშინ, როდესაც ასეთ უპირატესობას ფლობენ სომხები და რუსები? მოტივი, რომ ეს უპირატესობა ხელოვნურად არ შექმნილა, ვერ გამოდგება პასუხად, ვინაიდან „ხელოვნურობის“ გარეშე არსებული ქართველთა უპირატესობა მაინც „ანტიაფხაზურ“ ვითარებადაა მონათლული. მეორეც, არც ისე „უცოდველად“ და „არახელოვნურადაა“ მოპოვებული სომეხთა უპირატესობა. დღესაც ყველას კარგად ახსოვს, თუ როგორ მიზანდასახულად განაწილდა ლიბანიდან მარშალ ბაგრამიანის ინიციატივით ჩამოსული სომხური დიასპორა. ამ დიასპორის 3/5 აფხაზეთს ერგო წილად და ბევრი მისი წარმომადგენელი ახლაც ბაგრამიანის ბატალიონის შემადგენლობაში იბრძვის. ამასაც პასუხი სჭირდება და არა სრული მიკიბ-მოკიბვით.

კიდევ უფრო მტკივნეულ პრობლემას ეხება „აფხაზური წერილის“ სიყალბის გახსნის (გამოაშკარავების) მე-4 პუნქტი. აქ უნდა იქნეს ნაჩვენები აფხაზ სეპარატისტთა ერთი ვერაგული ჩანაფიქრი: ჯერ შეცდომაში შეიყვანონ „მსოფლიო აზრი (უკეთ, დაარწმუნონ თავის უცოდველობაში „მშობლიური“ რუსეთი“), ხოლო „მიზნის მიღწევის“ შემდეგ „გახსნან კარტები“, რუსებთან ერთად გული იჭერონ ქართველთა შიდა დაპირისპირებით და გათიშვით.

რაშია საქმე? მე მტკივნეული ვუნოდე ამ პრობლემას იმიტომ, რომ ზოგჯერ სიმართლის თქმასაც შეიძლება გაუგებრობა მოყვეს... ამიტომ წინდანინ (თუმცა საბოლოოში არაფერია!) მაინც



ბოდიშს ვიხდი ჩემს მეგრულ ძმებთან და დებთან. ვთქვამთ სიმართლე: აფხაზეთში 47 % ქართველობიდან (სიზუსტეზე თავს ვერ გამოვიდებ) ალბათ 40 % მეგრელობაა. აქედან ცხადია: თუ ასე შევიწროებული იყვნენ აფხაზები ქართველებით, უბრალო მათემატიკა-მეგრელებით! კონფლიქტის იმ ეტაპზე, როდესაც დავმარცხდით აფხაზეთში, საერთოდ დაღუპული ქართველებიდან პროცენტულად შესატყვისი რაოდენობა მეგრელებზე მოდის. ზემოთ აღწერილი ვითარების მიხედვით ეს ესეც უნდა ყოფილიყო. საკითხავია - რა კუჭის წვა აუტყდათ ამ ბოლო დროს აფხაზებს? რა საერთო ენას ეძიებენ ისინი მეგრელებთან? ამდენი მსხვერპლის შემდეგ ნუთუ კიდევ ვინმე ენდობა არძინბას? „შუმი არძინბას აფხაზეთიდან“ - გუდაუთადან ასეთი ხმაც ჩამოდის (ავრცელებენ?): რაჭველების გარდა ყველას დავაბრუნებთო! სანყალი გულუბრიყვლო რაჭველები, თქვენი მიაშიტობის ამბავი რომ ვიცი, მართლა „სიამაყით“ არ დაიჭერთ, რომ თურმე მხოლოდ თქვენ ავიწროებდით აფხაზებს!

არძინბა ყველაფერს კადრულობს და იკადრებს თავისი ბატონის გულის გასახარად-ანთხილს გესლი ქართველთა შორის. ამდენი გამოცდილების შემდეგ, რაც ჩვენ ისტორიამ შემოგვინახა, ნუთუ კვლავ ვინმე წამოგება მსგავს ანკესს? არამც და არამც! ნუ „აცუნდრუკდებით“ სხვის ხმაზე 47 % - თ ქართველო! აქეთ უტყუარად მდიდარი, საამაყო ქართული კულტურაა, იქით - „პირმოღებული ოკიანე“, რომელშიც სიამოვნებით მიერეკებიან აფხაზებს...

დიალოგი მსოფლიო კულტურასთან მხოლოდ კულტურის ენაზე შეიძლება. სიყალბითა და თვალთმაქცობით „ოკიანეში“ ადგილს ვერავინ იპოვის. ნამეტანი განირეს თავი ე. წ. „აფხაზებმა“!... მივმართავ პატიოსან, ბრძენ აფხაზ ხალხს: მოეგეთ გონს, ქართველებზე ერთგულ მეგობარს ნუ ეძებთ. თქვენ ერთმა მუჭა სეპარატისტებმა გაგწირეს დასაღუპად. მათ გილალატეს თქვენ. ოკეანეში ხსნას ნუ ეძებთ. დავდგეთ ერთად და პასუხი მოვთხოვთ საკუთარი ხალხის მოლალატე სეპარატისტებს!

P.S. ამ წერილის ავტორი თვალსაჩინო ქართველი ფილოსოფოსი, ფილოსოფიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ვაჟა გოგობერიშვილია. მთელი მისი დიდი ოჯახი აფხაზეთში, გუდაუთის რაიონის სოფელ ახალსოფელში ცხოვრობდა.

ბატონი ვაჟა მუდამ სითბოთი და სიყვარულით საუბრობდა ამ კუთხის შესახებ და „აფხაზი“ მისთვის განსაკუთრებულ ღირებულებას წარმოადგენდა. თითონ წარმოშობით რაჭველი, თითქოს „აფხაზობდა“ კიდევ. მისი კოლეგები ეხუმრებოდნენ მას ამის შესახებ...

აფხაზებსა და ქართველებს შორის მომხდარი კონფლიქტი მისთვის თავზარდამცემი იყო. იგი გაოგნებული დადიოდა და ამ საკითხზე საუბარს ერიდებოდა... რადგანაც იმედგაცრუება იყო უდიდესი. მომხდარმა ტრაგედიამ უცბად გატეხა ეს ჯან-ღონით სავსე კაცი. იგი მოულოდნელად გარდაიცვალა და თან წაიღო დიდი დარდი, დედასამშობლოსთან აფხაზეთის დაბრუნების ზეიმს რომ ვერ მოესწრო.

გარდაცვალების შემდეგ, მისმა მეუღლემ მის პირად არქივში აფხაზეთზე სიკვდილის წინ დაწერილი ეს წერილი იპოვა, რომელსაც მკითხველ საზოგადოებას ვთავაზობთ იმ იმედით, რომ მასში ბევრ საგულისხმო, ავტორისათვის დამახასიათებელი ბრძნულ აზრებს ამოიკითხავს. იქნებ, რომელიმე აფხაზის ხელშიც მოხვდეს ეს წერილი. არა გვგონია არ დააფიქროს იგი მოვლენების ავტორისეულმა ხედვამ და საკუთარ თავს კითხვა არ დაუსვას: „რა ვქენით ეს, ვის აყვევით, რას ვშვრებით, როგორ ავიცილოთ კარს მომდგარი დაღუპვა“.

გოგი მაისურაძე  
2019 წლის 25 დეკემბერი.  
ქ. თბილისი.

## წედისის საეკლესიო ზარი

წედისის საეკლესიო ბრინჯაოს ზარი ვნახე 1969 წლის ზაფხულში ონის რაიონის სოფ. წედისის საბჭოს თავმჯდომარის შალვა მაისურაძის სამუშაო ოთახში. ის იდო ოთახის მარცხენა კუთხეში სკამ ქვეშ. როგორც მაშინ შევიტყვე, ბატონ შალვასთან საქმეზე მისულ სტუმარს თუ თანასოფელელს უნებლიედ თვალი მისკენ გაურბოდა. თამამი ცნობისმოყვარეები შალიკუნას (ასე ეძახდნენ შინაურები), ჯერ ზარზე ჩამოუკვებდნენ საუბარს და შემდეგ თავიანთ ძირითად სათქმელზე გადავიდოდნენ ...

მაშინ გახლდით რუსეთის შორეული აღმოსავლეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის 2-ე კურსის იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტი და ზაფხულის არდადეგებზე წედისში ჩავფიქრე ჩემი დიდი ხნის მონატრებული ნათესავების და ბავშვობის მეგობრების მოსახახულებლად. პირველი დღე მათთან შეხვედრებს დავუთმე ხოლო შემდეგ უბნის სანახშომე გასულმა, სოფლის ღირსშესანიშნავი ადგილების: ბედუბანი; გალაგანი, კლდუანი, სამჭედლო, კალოები; ბადელისის ჭალა; და სხვა, რომლებთანაც ჩემი ადრეული ბავშვობის საუკეთესო წლები და მოგონებები მაკავშირებდა, დავათვალიერე. სამჭედლოდან გამოსულს ბ-მა შალვამ მეორე სართულიდან გადმოძახა: „ ... გოგი, ჩემთან რატომ არ ამოდიხარო...“ მეც ბევრი არ მიფიქრია და უმალ მის „კაბინეტში“ აღმოვჩნდი. მან გულთბილად მომიკითხა მე და ჩემი მშობლები, გუდაუთელი მემობლები- ჩვენი საერთო ნათესავები. მან სტუდენტობა მომილოცა და მისურვა წარმატებები.

ჩემთან საუბარში ამაყად ხაზი გაუსვა იმას, რომ მისი სამივე ქალიშვილი\* სტუდენტია და მთხოვა დედაქალაქში რომ ვიქნები, მათაც შეხვედროდი, რითაც ისინი ძალიან გაიხარებენ. ამის შემდეგ მან მოიგონა ზაფხულის ერთ მშვენიერ დღეს როგორ „დაგვაპატიმრა“ მე, ჩემი უმცროსი ძმა ზურაბი, აგრეთვე ჩვენი სიყრმის მეგობრები: გოგი და კუკური, ჩვენსავით ზაფხულის არდადეგებზე ახლო ნათესავებთან ქ. ბათუმიდან სტუმრად ჩამოსულები. დაგვაკავა და სამუშაო ოთახში ჩაგვკეტა იმისათვის, რომ გალაგნის წყაროზე წყლით სავსე გრძელ გობში „დელფინებივით ვყვინთავდით და სოფლის ნახირს წყლის დაღვევის საშუალებას არ ვაძლევდით“ ... მაღლობა უფალს, რომ მაშინ ჩვენ ბ-ნი შალვას კლანჭებიდან მხსნელად თეთრხალათიანი, წითელი ჯვარ გამოსახული ადგილობრივი მედპუნქტის გამგე ნადია მამიდა მოგვევლინა. რა დამავიწყებს მის სიტყვებს: „ ... შალიკო, შე ოჯახქორო!.. ეს ბაღლები დაუყონებლივ გაათავისუფლე, წედისი არ შეაძლო, თორემ ვერ გადაამირჩებიო. ისინი შავ ზღვაზე არიან დაზრდილები და მზისგან დასიცხულებს ალბათ ზღვაში ნებივრობა მოენატრათ და გობის წყალში ჭყუმპალაობით ერთობიანო“ ... ეს სიტყვები მამიდაჩემმა ისეთი შემართებით და ტონით წარმოსთქვა, რომ შალვამ მხოლოდ ხელები გაასავსავა და თქვა: „ჩემო ნადია, დე, აღსრულდეს ნება შენის!... სოფელი ჩივის, მე ბიჭუნების (რაჭ. კილოკავი) მხოლოდ გაფრთხილება მინდოდა, თორე იმ ცელქობისათვის მართლა მილიციაში ჩაბარებას კი არ ვუპირებდიო... „ ეს ეპიზოდი რომ გავიხსენეთ, ორთავემ გულიანად ვიცინეთ. ამის შემდეგ ბ-ნი შალვას ყურადღება გადავიტანე დიდი ხნოვანების, ძველ დიდება შენარჩუნებულ, დრო ჟამისაგან ალაგ-ალაგ ფერშეცვლილ ბრინჯაოს ზარზე, რომელიც სკამ ქვეშეთიდან მართლაც ობლად და მიუსაფრად გამოიყურებოდა. მე მივედი ახლოს და ხელში ავიტაცე ის დიდებული ნახელავი. მაშინ ჩემი ყურადღება მიიქცია ზარზე ნატიფი ხელით ქართული ასო ნიშნებით ამოტვიფრულმა წარწერამ: „შესანიშნავად წმინდა გიორგის და მთავარანგელოზს გიორგი მაისურაძისაგან (ცხმორელი)“.

ბატონ შალვას ვთხოვე მოეთხრო ყველაფერი რაც კი მან იცოდა ამ მართლაც ისტორიული რელიქვიის შესახებ და აეხსნა თუ რატომ ინახავდა ასე გულმოდგინედ მის სამუშაო ოთახში. მან ერთი კი ამოიხვნეშა, თითქოს ამით მაგრძნობინა მერამდენედ უწევდა ამის თხრობა ჩემზე არანაკლებ დაინტერესებული ცნობისმოყვარეებისათვის, მაგრამ ხათრი ვერ გამიტეხა, გვერდზე გადადო პირადი თუ საზოგადო საქმეები და მთელი არსებით შეეცადა ჩემი (მამა პაპისეულ ისტორიულ სამკვიდროში სტუმრად ჩასული სტუდენტის) ცნობისმოყვარეობის დაკმაყოფილებას.

„... ეს ზარი დიდი სამამულო ომის (1941 - 1945 წ.წ.) დროს საქართველოს სახელმწიფოს ზემდგომი ორგანოების დირექტივის შესაბამისად, ონის რაიონში მდებარე ეკლესიებიდან მასობრივად იქნა ჩამოსხნილი. მათ შორის ს. წედისის ეკლესიებიდანაც ჩამოსხნეს და თითქოს ფრონტის საჭიროებისათვის გადასადნობად ქ. ონში შეაგროვეს... მათი დასაწყობების ადგილზე ის როგორც ს. წედისის ეკლესიის კუთვნილება ამოიციო ანთიმო მაისურაძემ (ხუციანთი) და მისი ახლო მეგობრის ხელშეწყობით გადაამალა. ომის დამთავრების შემდეგ მან ზარი ჩაიტანა სოფ. ჩორდში და იქ მდებარე სალოცავზე ჩამოკიდა. გარკვეული პერიოდის შემდეგ ს. ჩორდში დღეობაზე მიწვეულმა წედისელებმა იცნეს ეს ზარი და ჩორდელებისაგან მათი სოფლისთვის უკან დაბრუნება მოითხოვეს, რასაც ჩორდელები შეენინა აღმდგენენ...“

წედისელებმა: კოტე პავლეს ძე მაისურაძემ და ანგი ილიკოს ძე მაისურაძემ, შეარჩიეს სათანადო დრო და ს. ჩორდის სალოცავიდან ბარი მალულად ჩამოხსნეს და ს. წედისში წაიღეს, რასაც ორი სოფლის თემებს შორის დაპირისპირება მოჰყვა. იმ პერიოდში ს. ჩორდის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ყოფილა არქიფო გოგრიჭიანი. ერთ დღეს, სოფლის სასფლაოს შემოკავებით გართული ახალგაზრდებისათვის არქიფოს უთქვამს: „...ვინც წედისიდან იმ ბარს უკან სოფელში ჩამოიტანს, იმას ერთ ხბოს ვაჩუქებო“. ადგილობრივმა ვაჟკაცებმა იცოდნენ რა წედურების ახირებული ხასიათის შესახებ არაფერი უთქვამთ. მაგრამ მათ შორის თავი გამოუდგია ერთ ზესიძედ მოსულ იმერელ ახალგაზრდას (გვარსახელი უცნობია), რომელსაც დაუქადნია, რომ მე ვინამ ამ საქმესო. მართლაც რამდენიმე დღის შემდეგ, წვიმიან ღამეს, წედისის ეკლესიიდან ეს ბარი ჩამოუხსნია და ს.ჩორდში ჩაუტანია...

ამის შემდეგ, წედურებს ინდიკო პარმენის ძე მაისურაძეს და გრიშა ერასტის ძე მაისურაძეს დაუდგენიათ ბარის ს. ჩორდში წამლები. ქ. ონში დაუმართოხელებიათ და კარგად გამოუკითხავთ(დაუმუშავებიათ). მასაც უღიარებია ბარის ს. წედისიდან მოპარვის ფაქტი და მისი ადგილსამყოფელი.

წედისის თემს ბ-ნ შალვასთვის აღნიშნულის თაობაზე კატეგორიულად მოუთხოვია რაიონულ ადმინისტრაციულ ორგანოებში განცხადების შეტანა. რათა მართლმსაჯულების ორგანოებს დაედგინა იმ ბარის კანონიერი მფლობელი. მისი განცხადების საფუძველზე აღიძრა სისხლის სამართლის საქმე, რომლის გამოძიება დაევალა წარმომბობით ს. ჩორდიდან პროკურატურის გამომძიებელს ბ-ნ ნოდარ მაისურაძეს. მან ობიექტურად დაადგინა საქმის გარემოებები, რის შემდეგ ონის რაიონის სასამართლომ მოსამართლე ა.საბანაძის თავმჯდომარეობით სადავო ბარი წედისის ეკლესიას მიეკუთვნა. ამით მოდავე მხარეები თითქოს დაზავდნენ, თუმცა ჩორდელები წყენას მაინც ვერ მალავდნენ თავიანთ თანასოფელელ ნოდარ მაისურაძის მიმართ. რადგანაც მას ბრალს დებდნენ წედურებისადმი მიკერძოებში. საუბრის ბოლოს მე ვუთხარი ბ-ნ შალვას. კი მაგრამ სასამართლოს გადაწყვეტილების შემდეგ მაინც ბარს მის კუთვნილ ადგილზე რატომ არ ააბრძანებთ- მეთქი. მან აღმაცერად ამომხედა და ასე მიპასუხა: „ის აქ რომ არი, უფრო მშვიდად ვართ წედურები. აქედან დაუკითხავად მას ვერავინ წაიღებს. ეკლესიიდან კი შეიძლება ისევ მოიპარონ და ორ თემს შორის დაპირისპირება ისევ განახლდეს“. მე ის დავამშვიდე და ვურჩიე, სულთმოფენობის წინა დღეს სოფლის თავკაცებს ბარის „გორის სალოცავზე“ აბრძანება და მაღალ, მეტალის მსხვილ მილზე დაკიდება, რომელსაც სპეციალური ტექნიკის გამოყენების გარეშე ვერავინ ჩამოხსნიდა. თანაც დავსძინე, რომ სასამართლო განჩინების შემდეგ უკვე მას კანონი იცავდა და მართლმსაჯულება ნებისმიერს დასჯიდა ვინც ამ გადაწყვეტილების უგულველყოფას შეეცდებოდა...

ერთი წლის შემდეგ ს. წედისში მორიგი ასვლისას ჩემმა ახლობლებმა მომახარეს, რომ ბარი გორის სალოცავზეა და მაღალ რკინის ბოძზე კიდიაო. როდესაც იქ ავდივართ და მას ჩამოვკრავთ, მის შესახებ შენი მონაცოლი ისტორია გვახსენდებაო...

გავიდა წლები და ერთ მშვენიერ დღეს სოფელ წედისის ყველაზე დიდი გულშემატკივარის და ჭირისუფალის, ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი გამორჩეული პატრიოტის და მეცენატის, წარმომბობით წედისელი ამბროსი მაისურაძის თაოსნობით (ლევკვიჩაანთი) ქ. თბილისიდან ჩვენს ისტორიულ სოფელში სრულიად საქართველოდან ვისტუმრეთ მაისურაძეთა საგვარეულო კავშირის აქტივისტების ერთი ჯგუფი. სკოლის შენობაში შევხვდით წედისელებს, ვნახეთ სოფლის ღირსშესანიშნაობები, შემდეგ კი ტრადიცასამებრ ავედით გორის წმინდა გიორგის ეკლესიაში მოსალოცად... იქ ასულმა უმაღლ ჩემს ნაცნობ ბარს შევაავლე თვალი. როდესაც ბარის შემოკვრისათვის მის თოკს ჩაჭვიდე ხელი, სუმნათი ბ-ნი შალვას სიტყვები მომაგონდა... საუკუნენახევარი ხნის სამ ვებერთელა, თავმოწონედ მდგარ ურთხველის (უთხოვარი) ჩრდილ ქვეშ, მაისურაძეებმა ერთმანეთს ძმობა, ერთგულება, საკუთარი მამულისა და საგვარეულო ფესვებისადმი სიყვარული შევფიცეთ... ჩემდა უნებურად რატომღაც ჩემი მზერა ბარის რკინის ბოძზე მავანისგან მეტლმჭრელი ხელსაწყოთი მიყენებულმა ნაიარებმა მიიქცია. მართალია მაშინ ამის შესახებ არავისათვის არაფერი მითქვამს. თუმცა, რამაც მაშინ გონებაში გამიელვა უთქმელადაც კარგად მიმიხვდებით...

\*- მოგვიანებით (1990-1991 წ.წ.) ერთ-ერთი მათგანი ქ-ნი ლალი მაისურაძე, საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის - ზვიად გამსახურდიას უერთგულესი თანამებრძოლი და პირადი მდივანი გახლდათ ...

გოგი მაისურაძე (გოგილაანთი).  
ქ. თბილისი, 2016 წ. ღვინობისთვე.

## ეროვნული მოძრაობის მოთხოვნები:

(ზვიად გამსახურდიას ხელნაწერი ტექსტი, აღმოჩენილი სპს-ის არქივში)

1. სახალხო რაზმების შექმნა ცხინვალის ქართველების დასაცავად, ავტონომიის და როკის საკითხი, მილიციისთვის სროლის უფლების მიცემა თავდასხმის შემთხვევაში;
2. ოზგანის გამონწვევა, კობახიას გამონწვევა, სამხედრო მდგომარეობის გაუქმება;
3. გასანოვის, ანქვაბის, ემირიძის, კაბულოვას, მოვსესიანის, ბოკერიას, ფიდაინიანის, ნოდარიშვილის საკითხის სასწრაფოდ გადაწყვეტა;
4. ყავლაშვილის და მისი მათთვის ჩამოცილება ქალაქპროექტისაგან, კომისიისთვის უფლებამოსილების მიცემა;
5. ჩერნობილის ხორცის გატანა რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ;
6. ლიტვის წინააღმდეგ კამპანიის შეწყვეტა პრესასა და ტელევიზიაში;
7. ტელევიზიაში ცენზურის გაუქმება, ი. მესხიშვილის საკითხი;
8. საადგილმამულო ფონდისთვის შენობის მიცემა, (მ. კოსტავას სახელობის), ყოველგვარი ხელშეწყობა;
9. მონკავშირში მდგომარეობის ნორმალიზაცია, მოსახლეობისათვის სანადირო თოფების დაბრუნება;
10. ფოთის თავისუფალ სავაჭრო ზონად გამოცხადების ჩაშლა;
11. ვ. ვეკუას მკვლელობის საქმის თბილისში გადმოტანა;
12. ნ. იმნაძეზე თავდასხმების შეწყვეტა, თავდამსხმელთა დასჯა.
13. ქართველი პატიმრების გაყვანის შეწყვეტა ბაქოსა და რუსეთში, წაყვანილთა დაბრუნება საქართველოში. პოლიტპატიმარ რ. ა. გერლიანის („სკალა“) გადმოყვანა ხაბაროვსკიდან საქართველოში;
14. პროდუქტებით მომარაგება;
15. სომხეთში, ტიუმენში, მოსკოვში (მეტროს სადგურებისთვის), სლავუტიჩში და სხვაგან სამშენებლო მასალების გატანის შეწყვეტა. ჭავახეთში ჭავახებისათვის სახლების მშენებლობის დაწყება;
16. სამხედრო უწყებებისათვის მიწების გამოყოფის შეწყვეტა. გამოყოფილის დაბრუნება.

დოკუმენტის ორიგინალი ინახება ზემოთ მითითებულ არქივში.

მოიძია გოგი მაისურაძემ.

ქ. თბილისი, 2009 წ.

ქრისტიანული პოეზიები

10/3

1) სიხარული სიხარული სიხარული სიხარული

ქრისტიანული პოეზიები, სიხარული სიხარული სიხარული სიხარული

2) სიხარული სიხარული სიხარული სიხარული

3) სიხარული სიხარული სიხარული სიხარული

4) სიხარული სიხარული სიხარული სიხარული

5) სიხარული სიხარული სიხარული სიხარული

6) სიხარული სიხარული სიხარული სიხარული

7) სიხარული სიხარული სიხარული სიხარული

8) სიხარული სიხარული სიხარული სიხარული

9) სიხარული სიხარული სიხარული სიხარული

10) სიხარული სიხარული სიხარული სიხარული

11) სიხარული სიხარული სიხარული სიხარული

12) სიხარული სიხარული სიხარული სიხარული



# საქართველოდან ლაზების მიგრაცია

თამარ მაისურაძე

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივში ინახება საქმე, რომელიც ლაზების საქართველოდან მასობრივი გადასახლების გამომწვევ მიზეზებს შეეხება.

ლაზების საკითხის შესახებ წერილს იოსებ სტალინს ლაზური გაზეთის რედაქტორი ისკანდერ ციტაში წერს. ლაზური ორგანიზაციის წარმომადგენლებმა არაერთი წერილი დაგზავნეს, სადაც არსებულ პრობლემებზე მიუთითებდნენ. სწორედ ეს წერილებია დაცული შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივში, რომელსაც ჩვენ წარმოგიდგინთ.

წერილს საიდუმლო გრიფი ადევს და 1935 წლით თარიღდება.

ძვირფას, ამხ. სტალინს

ლაზები ძირითადად საბჭოთა კავშირის საზღვრებს გარეთ, თურქეთში ცხოვრობდნენ, სადაც მათი რიცხვი 200.000 სულს შეადგენდა. საქართველოს ტერიტორიაზე ლაზები XX საუკუნის პირველ ნახევარში გამოჩნდნენ და აჭარისა და აფხაზეთის მიწებზე დასახლდნენ. ამ რეგიონებში მათ, სპეციფიური ყოფის კულტურიდან გამომდინარე, გაუსაძლის პირობებში მოუწიათ ცხოვრება. ლაზმა გლეხებმა არაერთი ორგანიზაციისა თუ სახელმწიფო მოხელის მიმართ გაგზავნეს წერილები. ისინი სახელმწიფოსგან ხელშეწყობასა და ყოფითი პირობების გაუმჯობესებას ითხოვდნენ. მათი თხოვნები ძირითადად უპასუხოდ რჩებოდა. სწორედ, ეს გარემოება დაედო საფუძვლად ლაზების მასიურ მიგრაციას თურქეთში. თუ 1922 წელს აფხაზეთში ლაზების რიცხობრივი მაჩვენებელი იქ მცხოვრები მოსახლეობის 80% შეადგენდა, 1930 წლისთვის მათი რაოდენობა 60%-მდე დაეცა.<sup>1</sup>

ლაზები საქართველოს ტერიტორიაზე იჯარით აღებულ მიწებზე, სოფლის ნოყიერ ადგილებში მკვიდრდებოდნენ, ან ადგილობრივი მეგრელებისა და აფხაზების ე.წ. მენილები ხდებოდნენ. მეიჯარეები და მენახევრეები აფხაზეთის ლაზური მოსახლეობის 75%-ს შეადგენდნენ. ლაზები მიწას ამუშავებდნენ და თამბაქო მოჰყავდათ. მათი მთავარი პრობლემა, მიწების არასაკმარისი ოდენობა წარმოადგენდა. სწორედ ამიტომ, 1929 წელს, უპარტიო ლაზთა კონფერენციაზე ყველა დელეგატმა ერთხმად განაცხადა: „მოგვეცით მიწა...“<sup>2</sup>

1930 წლის 21-23 აპრილის გადაწყვეტილებაში, აფხაზეთის ცაკ-მა ლაზების მოთხოვნა დააკმაყოფილა. მათთვის მიწები ორ ადგილას – ბზიფის ხეობასა და კოლმეურნეობა „წითელ ლაზისტანში“ გამოიყო. ეს რა თქმა უნდა, ერთხელ და სამუდამოდ წყვეტდა ლაზებისთვის მიწის საკითხს, თუმცა გადაწყვეტილების გამოტანის შემდეგ, ცაკ-მა მისი შესრულების საკითხი არ გადაამოწმა. ანუ რეალურად, ეს გადაწყვეტილება არ შესრულდა.

ოდნავ მოგვიანებით, ლაზებს მიწები ოჩამჩირის რაიონის ს. სკურჩის ნავსაყუდელში, ტყიან და ჭაობიან ადგილებში გამოეყოთ. სადაც მათ ბუნების რთული პირობებიდან პელეგრასთან და მალარიასთან უწევდათ ბრძოლა, რაც ახალმოსახლეებს შორის სიკვდილიანობას იწვევდა. კოლმეურნეების მუდმივი თხოვნა, გადაეცათ მათთვის ამოსაძირკვი მანქანები, ასაფეთქებელი ნივთიერებები, მოემარაგებინათ ისინი სამშენებლო მასალებით, ქინაქინით და სხვა, ყველა ორგანიზაციამ უყურადღებოდ დატოვა. ტროპიკულმა დაავადებებმა და უსახლკარობამ შედეგი გამოიღო – კოლმეურნეობაში თითქმის იმდენივე საფლაავი გაჩნდა, რამდენი წევრიც იყო.<sup>3</sup>

ლაზების მიგრაციის მორიგი მიზეზი მათი დაუსაქმებლობა აღმოჩნდა. მცხოვრელები, კონდიტრები, აღმოსავლური ტკბილეულის სპეციალისტები, ხის ხელოსნები და მეთევზეები – უსაქმოდ იყვნენ დარჩენილნი. ამასთანავე, რუსებთან ერთად მეთევზეთა ბრიგადაში ყოფნა ლაზებში პროტესტის გრძობას იწვევდა. ისინი აცხადებდნენ: „რუსი სვამს, ილანძღება, ზღვაში არ გადის როცა საჭიროა, არც ჩემი ესმის, ვერც მე ვიგებ მის ენას“.

იმისთვის, რომ ლაზები სამეწარმეო საქმიანობაში ჩაერთოთ 1934 წელს შეიქმნა სასოფლო-სამეურნეო არტელი „ლაზეთი“. ამან ლაზი მრეწველებისა და ხელოსნების წარმოებაში ნაწილობრივ ჩართვას შეუწყო ხელი. დროთა განმავლობაში „არტელის“ თავმჯდომარემ მთელი ქონება და სახსრები მიითვისა, თანდათანობით კი წევრებიც გაყარა. აფხაზეთის სამრეწველო კავშირმა სხვა გამოსავალი ვერ ნახა და არტელი დახურა. „არტელში“ განევრიანებული ლაზები კი კვლავ უმუშევრად დარჩნენ.

<sup>1</sup> საქართველოს შსს-ს არქივი, (II) ფ. №14, ს. №210, ფურც. 11.

<sup>2</sup> საქართველოს შსს-ს არქივი, (II) ფ. №14, ს. №210, ფურც. 11-12.

<sup>3</sup> იქვე, ფურც. 12.

სპეციფიური გარემოებები დიდ როლს თამაშობდა ლაზების ყოფაში. ისინი ჩაკეტილნი იყვნენ, ერთის მხრივ გვაროვნულ წრეში, მეორეს მხრივ კი მუსლიმურ ყოფაში, რაც მნიშვნელოვან გავლენას ახდენდა მათ ცნობიერებაზე. გვაროვნულ ყოფას წინა პლანზე გამოყავდა სახალხო ხელმძღვანელი (იტდაპე ლაზურად). ეს შეძლებული ადამიანი იყო, რომელიც საკუთარი მდგომარეობით სარგებლობდა და თანამემამულეებს ექსპლუატაციაში ამყოფებდა. <sup>4</sup>

აღსანიშნავია ისიც, რომ თუკი ლაზურ დასახლებაში, ან დაბაში სხვა ეროვნების წარმომადგენლები მაგ: სომხები, ბერძნები და ა.შ. მკვიდრდებოდნენ, ლაზები ამ ადგილებს ტოვებდნენ: „მე გოგოები და ვაჟები მეზრდება, აქ კი უცხო ხალხია და ჩვენ ეს არ მოგვწონს“ – აცხადებდნენ ლაზები. ის ფაქტი, რომ ლაზი თავის ქალიშვილს ერთმორწმუნე თურქთან ქორწინების უფლებას არ აძლევდა, კიდევ უფრო ართულებდა ლაზების შეგუებას ახალ გარემოსთან. ყველაზე მძაფრი შეტაკებები კოლმეურნეობებში ხდებოდა. ცემათ, მუქარათ, სპეკულაციამ და აფიორობამ ფართო ხასიათი მიიღო. ეს ლაზების კოლმეურნეობიდან წასვლის ერთ-ერთ მიზეზად იქცა. <sup>5</sup>

ენობრივი ბარიერი ლაზების ყოფას კიდევ უფრო ართულებდა. ლაზ მოსახლეობას არავინ ელაპარაკებოდა მათთვის გასაგებ ენაზე. არ უხსნიდნენ საბჭოთა კანონებს, შესაბამისად, არ ჰქონდათ ინფორმაცია საბჭოთა და საერთაშორისო მასშტაბით მიმდინარე მოვლენების შესახებ. აჭარაში ყველაწიანი საქმიანობა ქართულ ენაზე წარმოებდა, აფხაზეთში კი აფხაზურ, რუსულ და ბერძნულ ენებზე. ლაზებმა ამ ენებიდან არცერთი იცოდნენ. ერთადერთ ნუგეშს აფხაზეთში, დიდი დაბრკოლებებით მოპოვებული ლაზურენოვანი სკოლა და დაწყებითი კლასების სახელმძღვანელოები წარმოადგენდა. ლაზი ხალხისთვის გასაგებ ენაზე დაბეჭდილი ეს პირველი წიგნები იყო.

გაუსაძლის საყოფაცხოვრებო პირობებს ისიც ემატებოდა, რომ ქემალისტების აგენტები ლაზ მოსახლეობაში აგიტაციას ეწეოდნენ. ისინი ლაზებს კვლავ თურქეთში გადასახლებისაკენ მოუწოდებდნენ. აგენტების ამოცანა ნათელი იყო – არ სურდათ ლაზების აქ დატოვება. მათ იცოდნენ, რომ ამ ტერიტორიაზე მასიურად დამკვიდრებული ლაზები დამწერლობას ლაზურ ენაზე შექმნიდნენ, ლიტერატურას დაბეჭდავდნენ, სკოლებს გახსნიდნენ, რაც თურქეთის ტერიტორიაზე მცხოვრებ ლაზებზე მოახდენდა გავლენას. <sup>6</sup>

1933 წელს საოლქო კომიტეტის წინაშე კვლავ წამოიჭრა საკითხი აფხაზეთში ლაზების შორის არსებულ მდგომარეობაზე. ინიციატორი ლაზური კომუნისტური გაზეთის, „მჭითა მურუნცხი~ს (წითელი ვარსკვლავი მეგრ.) ყოფილი პასუხისმგებელი რედაქტორი, ახალი ლაზური ანბანის ლაზური სექციის პასუხისმგებელი მდივანი ისკანდერ ციტაში გახლდათ. მას დახმარების დაპირდნენ და შესთავაზეს, წარედგინა გეგმა, საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის ორგანიზაციის საოლქო კომიტეტის ბიუროს გადაწყვეტილების საფუძველზე გასატარებლად. გავიდა რამდენიმე წელი, მაგრამ არაფერი შეცვლილა. ლაზები კი უშედეგოდ ელოდნენ გამომხმაურებას:

„არ გვეყო ამდენი ლოდინი? ალბათ უკვე 5 თვე გავიდა მას შემდეგ, რაც ამის შესახებ ამხ. ბერიას შევატყობინე, 1934 წლის 9 დეკემბრიდანაც საკმარისი დრო გავიდა, რაც ამხ. ფ. მახარაძესა და მ.ორახელაშვილს მოხსენებითი ბარათები გადავეცი (კპ ცკ), მაგრამ პასუხი არ არის. ლაზების ნაწილი საბჭოთა საზღვრებიდან გასასვლელად ემზადება, ჩვენ უნდა დავასწროთ რაიმე გადაწყვეტილების მიღება, რომ ისინი შევაჩეროთ. ნუთუ ეს გაზაფხულიც არ მოიტანს რაიმე ცვლილებას ლაზების ცხოვრებაში?“ – წერს ციტაში.

უყურადღებოდ დარჩენილი ლაზების ერთადერთი იმედი სტალინი იყო. მათ სწამდათ, რომ მხოლოდ სტალინს შეეძლო საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება და საბჭოთა ქვეყნიდან გასვლის შეჩერება. ლაზები სტალინისადმი გაგზავნილ წერილში საორგანიზაციო კომიტეტის შექმნას მოითხოვდნენ, რომელსაც მათი პრობლემების მოგვარება დაევალებოდა. ისკანდერ ციტაში იოსებ სტალინს წერს:

„პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციები თითქოსდა უნდა დაინტერესებულიყვნენ ამ მოვლენებით, რადგან შემთხვევითი ხომ არ იყო ჩვენი გაქცევა? მიუხედავად უამრავი შეტყობინებისა ჩვენი მხრიდან, ყველა ორგანიზაციას სძინავს. აი, ასეთმა მდგომარეობამ მაიძულა მომემართა პირადად თქვენთვის, რადგანაც ვიცი, რომ თქვენ რეაგირების გარეშე არ დატოვებთ ამ საქმეს და შესაბამის მითითებებსაც გასცემთ“. <sup>7</sup>

<sup>4</sup> საქართველოს შსს-ს არქივი, (II) ფ. №14, ს. №210, ფურც. 12-13.

<sup>5</sup> იქვე, ფურც. 13.

<sup>6</sup> იქვე, ფურც. 13.

<sup>7</sup> საქართველოს შსს-ს არქივი, (II) ფ. №14, ს. №210, ფურც. 15.

ამავე წერილშია აღწერილი ის რამდენიმე მიზეზი, რის გამოც ლაზები საბჭოთა კავშირის საზღვრებიდან წავიდნენ. მათ არ გააჩნდათ მეურნეობისთვის განკუთვნილი მიწის ნაკვეთები, არ იყვნენ ჩართულნი არც კუსტარულ, და არც სამეწარმეო საქმიანობაში. ლაზები არ იყვნენ დასაქმებულნი თევზსაჭერ ორგანიზაციებში. პარტიული და საბჭოთა საქმიანობა მათთვის გაუგებარ ენაზე წარმოებდა, მათზე კულაკები ბატონობდნენ.

ლაზებს სურდათ, აფხაზეთის გამომცემლობებს (Абриз და АБпартиздат-ს) ლაზურ ენაზე დაებეჭდათ: პარტიული, საბჭოთა, სასოფლო-სამეურნეო და მხატვრული ლიტერატურა. ისინი ითხოვდნენ, შექმნილიყო „ეროვნული კულტურის სახლები“, რომლებიც საქართველოში მცხოვრებ ლაზებს შორის როგორც მეცნიერულ, ასევე კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობას აწარმოებდნენ. კოლმეურნეობისათვის საჭირო მიწის ნაკვეთების ასათვისებლად, ლაზები სათანადო ტექნიკისა და სახსრების გამოყოფას ითხოვდნენ. სურდათ, ბზიფის ხეობაში ეროვნული სოფლსაბჭოს შექმნა და აფხაზეთისა და აჭარის სარაიონო საბჭოებიდან და ცაკ-დან კულაკების განდევნა, მათ ნაცვლად კი ლაზი მოსახლეობის წარმომადგენლობის ჩართვა.

„სიტყვა თქვენზეა, ძვირფასო ამხ. სტალინო, გელოდებით“<sup>8</sup> \_ ამ სიტყვებით სრულდება ისკანდერ ციტაშის წერილი.

ლაზების მიერ არაერთი თხოვნის შემდეგ გადაწყდა, შექმნილიყო დადგენილების პროექტი, რომელიც ლაზების პირობების გაუმჯობესებაზე იმუშავებდა. გეგმის მიხედვით, აფხაზეთის მიწის რესურსების სახალხო კომისარიატთან უნდა შექმნილიყო კომისია სახალხო კომისრის მოადგილის თავმჯდომარეობით, დაინტერესებული ორგანიზაციებისა და ლაზი მოსახლეობის მონაწილეობით. კომისიას უნდა შეესწავლა ლაზების ყოფა და სამშენებლო მასალებისა და საცხოვრებელ-სამეურნეო ტექნიკის შესაძენად საჭირო ხარჯვის ოდენობა უნდა შეედგინა. რაც შეეხება კულტურულ-საგანმანათლებლო საკითხებს, დადგენილების პროექტი ითვალისწინებდა, ლაზურ სკოლებში დაწყებითი კლასების ფარგლებში მშობლიურ ენაზე სწავლებას. აფხაზეთისა და აჭარის განათლების სახალხო კომისარიატებს უნდა უზრუნველყოთ სკოლები, როგორც პედაგოგებით, ისე სასწავლო სახელმძღვანელოებით მშობლიურ ენაზე. ლაზებში გაუნათლებლობის აღმოფხვრის მიზნით, უნდა დაარსებულიყო სასწავლო-სამკითხველო პუნქტები. ხელი უნდა შეეწყობოთ ლაზების ახალი (ლათინიზირებული) ანბანის შექმნის იდეისთვის, რისთვისაც საჭირო თანხებს აფხაზეთისა და აჭარის ცაკ-ი გამოყოფდა.<sup>9</sup>

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის შემსწავლელმა კომისიამ ლაზური მოსახლეობის მდგომარეობის ადგილზე გამოკვლევის შემდეგ მოხსენებითი ბარათი შეადგინა, რომელშიც ლაზების ყოფაა აღწერილი. მოხსენების მიხედვით, აფხაზეთისა და აჭარის ტერიტორიებზე ლაზების 2000-ზე მეტი კომლი ცხოვრობდა. მათი რაოდენობა აფხაზეთში 275-ს, ხოლო აჭარაში არაუმეტეს 1300 კომლს შეადგენდა. 1932 წლამდე ლაზი მოსახლეობა მასიურად გაედინებოდა აფხაზეთისა და აჭარის ტერიტორიებიდან. მიგრაციის შედეგად მათი რიცხოვნობა მაჩვენებელი 1500 მეურნედან 275-მდე შემცირდა. კომისია ადასტურებდა იმ მიზეზებს, რის გამოც დატოვეს ლაზებმა საბჭოთა კავშირის ტერიტორია.<sup>10</sup>

მოხსენებაში აღნიშნულია, რომ აჭარაში, სოფელ სარფში, ლაზურ სკოლაში სწავლა-განათლება ქართულ ენაზე მიმდინარეობდა, რასაც მოსახლეობაც მოითხოვდა, მაგრამ ბავშვები გამართულად მაინც ვერ მეტყველებდნენ. სოფ. მახოში კი ლაზები თურქულ ენაზე, თურქული სახელმძღვანელოებით სწავლობდნენ, რაც კომისიის აზრით, არც პედაგოგიური და არც ენობრივი თვალსაზრისით არ იყო მიზანშეწონილი.

აჭარის რამდენიმე სკოლაში სწავლა ლაზურ ენაზე მიმდინარეობდა, ზოგჯერ თურქულად, თურქული სახელმძღვანელოებით. ზოგიერთ სკოლაში კი სწავლა-განათლებას ბავშვები რუსულ ენაზე იღებდნენ. ამის შედეგად, ახალგაზრდობამ არცერთი ენა არ იცოდა. ლაზების გაუსაძლის პირობებზე ისიც მეტყველებს, რომ ლაზური სკოლის შენობები უვარგისი იყო, მათ არც აღჭურვილობა და არც სასწავლო სახელმძღვანელოები გააჩნდათ. გუდაუთის რაიონში ლაზურ სკოლას შენობა წაართვეს და ერთოთახიან ბინაში გადაიტანეს, სადაც რამდენიმე კლასი ერთდროულად მეცადინეობდა.<sup>11</sup>

კომისიის წევრებთან საუბრისას ერთ-ერთი ლაზი, კამილ სოფაროღლი, აღნიშნავს: „ყველა მხრიდან გვაგინოროვებენ რადგან ჩვენი წარმომადგენლები არ გვყავს რაიადმასკომში, ცაკ-ში, რომლებიც ჩვენ ინტერესებს დაიცავდნენ. საკუთარი ქონების გაყიდვა გვიწევს, რომ სახელმწიფოს გადასახადები დავფაროთ. განა ეს სამართლიანია? ერთადერთ გამოსავალს ამ

<sup>8</sup> საქართველოს შსს-ს არქივი, (II) ფ. №14, ს. №210, ფურც. 16.  
<sup>9</sup> იქვე, ფურც. 17-18.  
<sup>10</sup> საქართველოს შსს-ს არქივი, (II) ფ. №14, ს. №210, ფურც. 19.  
<sup>11</sup> იქვე, ფურც. 24.

მდგომარეობიდან აქამდე ჩვენ თურქეთში გამგზავრებაში ვპოულობდით, მაგრამ რადგან ახლა კომისია ჩამოვიდა, ვიშედოვნებთ, რომ ეს ასე აღარ გაგრძელდება და ყველა უსამართლობა აღმოიფხვრება”.<sup>12</sup>

კიდევ ერთი ლაზი, კაზანჯიში მ. ი. ამბობს: „პირდაპირ რომ ითქვას მინები არ ვარგა, მაგრამ რას ვიზამთ? უკეთესი არ გაგვაჩნია და არც არავინ გვაძლევს. ჩვენი მიზიდან მიღებულ შემოსავალს მთლიანად სახელმწიფოს ვაბარებთ სხვადასხვა გადასახადის დასაფარად, თვითონ კი არაფერი გვრჩება. შემოგვხედეთ, ჩვენ ბავშვებს არც ფეხსაცმელი და არც ტანსაცმელი არ გააჩნიათ, ფეხშიშველები არიან. ნუთუ სახელმწიფოს ჩვენი დახმარება არ შეუძლია, დანიოს გადასახადები და საშუალება მოგვცეს სახლები ავაშენოთ და მეურნეობასაც მივხედოთ”.<sup>13</sup>

კომისიის მოხსენებაში ვკითხულობთ: „ჩვენ გვინევდა ლაზურ მოსახლეობასთან საუბარი, მათთან ღამის გათევა და მათ საყოფაცხოვრებო პირობების გაცნობა. უნდა აღინიშნოს, რომ მათი ენა ძალიან ახლოს დგას მეგრულ ენასთან. ეს აკადემიკოს ნ. მარის ნაშრომებშიცაა აღნიშნული.”<sup>14</sup>

შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივში დაცულ ამავე საქმეში ინახება აკად. ნ. მარის ფრაგმენტი ნაშრომიდან, სადაც უფრო ვრცლადაა გადმოცემული მოსაზრება ლაზური და ჭანური ენების კავშირებისა და მსგავსების შესახებ: „ჭანური მეტყველება \_ ენაა თუ კილო? უნდა ვაღიაროთ, რომ ენა. შეხედულება ჭანურ ენაზე, როგორც მეგრულის შვილობილზე ანდა პირიქით, როგორც მშობელზე, სრულიად არამეცნიერულია. უფრო მეტიც, გვინევს უარის თქმა ადრინდელ შეხედულებაზე, რომ მეგრული ენა განხილული ყოფილიყო, როგორც ერთი ენის, ივერიული ენის ორი კილო. ლინგვისტური თვალსაზრისით, თვითონ „ივერიული“ \_ ენის ნაირსახეობაა: ის მხოლოდ მეგრულის ტოლფასოვანია, როგორც „ჭანური“ არის იმის ტოლფასოვანი, რასაც ეხლა ლაზურს ვუწოდებთ.

უდალა, რომ ჭანური და მეგრული არა მხოლოდ მონათესავე ენებია, არამედ ძალიან ახლოს არიან ერთმანეთთან: ისინი ერთმანეთთან უფრო მჭიდრო კავშირში არიან, ვიდრე ქართულთან. მეგრულის და ჭანურის ეს შედარებითი სიახლოვე უფრო აშკარა იქნებოდა, თითოეული მათგანი დიფერენცირებული რომ არ ყოფილიყო განსაკუთრებული მეზობლური გავლენით.

ამგვარად, თუკი გავითვალისწინებთ ჭანურ ენაზე სომხურის, ბერძნულისა და განსაკუთრებით კი თურქულის გვიანდელ გავლენას, მსგავსება ჭანურსა და მეგრულს შორის მნიშვნელოვანი იქნება, ისინი კიდევ უფრო მჭიდრო სიახლოვეში აღმოჩნდებიან ერთმანეთთან, რადგან ჭანური და მეგრული არა ერთი ენის კილოებია, არამედ ორი სხვადასხვა ენაა.

თუკი ამ საერთო მახასიათებელ ნიშნებს გავითვალისწინებთ (ისტორიული ურთიერთგავლენა, ქართული ენის ზეგავლენა), რომლებიც ჭანურ ენას უფრო მეტად აახლოებს მეგრულთან, წარმოგვიდგება ორი, დიდი ხნის წინ ინდივიდუალიზებული, ერთმანეთთან საკმაოდ ახლოს მდგარი, მაგრამ მაინც დამოუკიდებელი ენა.

თვითმყოფადობას ჭანურ ენას ისიც სძენს, რომ მას საკუთარი კილოები და კილოკავები გააჩნია. ხანდახან ჭანური ენის კილოები იმდენად განსხვავდება ერთმანეთისაგან, რომ თვითონ, ერთი მშობლიური ჭანური ენის ორ განსხვავებულ კილოზე მოლაპარაკე ლაზებსაც არ ესმით ერთმანეთის”.

ნიკო მარი ასკვნის, რომ `იაფეტური ლაზეთი მხოლოდ მეგრული წარმოშობით შეიძლება იქნას დაკავშირებული ქართველურ იაფეტურ ტომთან, ისევე როგორც პოლონელების რუსებთან ნათესაობაა ნავარაუდები. რაც შეეხება კულტურულ მხარეს, მუსლიმურ ლაზეთს ქრისტიანულ ქართველურ კულტურასთან კიდევ უფრო ნაკლები შეხების წერტილები გააჩნია”.<sup>15</sup>

ათი წლის განმავლობაში ლაზი მოსახლეობის რაოდენობა საქართველოს ტერიტორიაზე ყოველწლიურად კლებულობდა. 1923 წლისთვის, აფხაზეთში, სოფ. აშაყვარაში, პარჩანტაში და აბგარხუკში (ლაზებით დასახლებული სოფლები) არცერთი ლაზი აღარ ცხოვრობს.

1921- 1928 წლების განმავლობაში მართლ აფხაზეთის საზღვრებიდან თურქეთის ტერიტორიისკენ დაახლოებით 4.500 სულმა ლაზმა დაიწყო სვლა. გადასახლებული ლაზების რაოდენობა 1928-29 წლებში უკვე დაახლოებით 5.000 სულს შეადგენდა.<sup>16</sup>

დღეს კი არაოფიციალური მონაცემებით თურქეთის ტერიტორიაზე საქართველოდან გადასახლებული დაახლოებით ორ მილიონამდე ქართველი ცხოვრობს...

<sup>13</sup> იქვე, ფურც. 28.

<sup>14</sup> საქართველოს შსს-ს არქივი, (II) ფ. №14, ს. №210, ფურც. 24.

<sup>15</sup> საქართველოს შსს-ს არქივი, (II) ფ. №14, ს. №210, ფურც. 33-34.

<sup>16</sup> იქვე, ფურც. 11.

## ბადელა, თუ ბადელისი ?

( მორიგი ვერსია მაისურაძეთა სამკვიდრო-საცხოვრისის შესახებ)

„წყალნი წავლენ და წამოვლენ,  
ქვიშანი დარჩებიანო...  
(ხალხური)

საქართველოს სამხრეთით, სახელმწიფო საზღვართან, დღევანდელი თურქეთის ტერიტორიაზე, ფოსოფის ვილაიეთში მდებარეობს ერთი დასახლება უჩვეულო სახელწოდებით - თურქგოზუ, რაც ქართულად თურქეთის თვალს ნიშნავს.

არც თუ ისე შორეულ წარსულში, იქ ქართული სოფელი - ბადელა ყოფილა... ეს დასახლება ერთი გორაკის ჩრდილო-დასავლეთ ფერდობზეა შეფენილი და ვალეს სანახებიდან ძალზე ლამაზად გამოიყურება. ადგილობრივთა გადმოცემით, ადრე, თურმე, იქ ძირითადად ჩვენი სისხლხორცეული ნათესავები - მაისურაძეები ცხოვრობდნენ, რომლებსაც ისტორიულმა ბედუკულმართობამ (ვინ იცის მერამდენედ) ლტოლვილობა არგუნა წილად და საუკუნეებით ნაფერებ-ნალოლიავეები, ძირძველი სამკვიდრო, მომხდურმა მოძალადეებმა იძულებით დაატოვებინეს.

ღვთისა და ბედის ანაბარა, მთელს დუნიაზე მართოდ დარჩენილებმა, ფიზიკური განადგურებისაგან თავ დასაღწევად მტრისაგან ძნელად მისადგომ ადგილებს მიაშურეს. როგორც ვარაუდობენ, მათმა ერთ-ერთმა ნაკადმა რაჭის მთებს შეაფარა თავი. მესხური შეუპოვრობითა და სიბრძნით, შრომისმოყვარეობითა და გამჭრიახობით თავი გადაირჩინა. შემდეგ ისე მოშენდა-მომრავლდა ამ კუთხეში, რომ მთელი რეგიონიც კი „დაიპყრო“. უფრო მოგვიანებით, ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხეებში განსახლდა. დაბოლოს, ორაგულივით, „სხვაგან“ ნაშრომ-ნაჯაფი, გასული საუკუნის 50-იან წლებში ისევ მესხეთში დაბრუნდა.

ყოველივე ამის გამგონეს მესხიერებაში მსწრაფლ ამომიტივტივდა ჩემთვის მარადჟამს მოსაფერებელი და სათაყვანებელი ალაგი, ონის რაიონის მაღალმთიანი და ლამაზი სოფელი წედისი, სადაც ბედის ირონიით (აფხაზეთში ჩასახლება), ბავშვობის ერთი წელიწადი და პერიოდულად მხოლოდ ბაფხულის არდადეგები მქონდა გატარებული... სხვა ტოპონიმებს შორის, ბადელისიც გავიხსენე. ჩემი წედისელი ნეთესავები დღესაც ვერ ხსნიან, თუ რატომ „მონათლეს“ ეს ადგილი ჩვენმა წინაპრებმა ამ სახელით, ან რასთან შეიძლება იყოს დაკავშირებული ძველ რაჭულ „ორპირულ“ სიმღერაში „მაღლა მთას მოდგა, მაღლა მთას უცხო ფრინველი, ბოლოწითელი...რომელშიც მოიხსენებიან ვაჟკაცნი ბადელოვანნი!... ნუთუ უბრალო დამთხვევასთან გვაქვს საქმე?

თუ სოფელ ბადელას ჭალებს აცოცხლებს და ასაზრდოებს მდინარე ფოცხოვის წყალი, სოფელ წედისის ბადელისსაც ჩამოუდის მასზე მშრუნველი, შედარებით პატარა, მაგრამ დრო და დრო ნიაღვრად აშლილი წყალუხვი რუ, რომლის ტალღებში სოფლის გოგო-ბიჭებთან ერთად ბავშვობის ტკბილად მოსაგონარი დრო მეც გამიტარებია.

ბაფხულში, როგორც კი „მედუბანზე“ ან კალოებზე ფეხბურთის თამაშითა და თაკარა მზით გათანგულნი შევლონდებოდით, გასაგრილებლად ყველანი იმ რუს საგუბარს მივაშურებდით. ვერხვების ჩრდილში, წყალში ჭყუმპალით გონს მოსულები, რუს საპირისპირო მხარეზე გადავიდოდით და ბადელისის კალოებს შევუყვებოდით, სადაც მინდვრის მარწყვი, მოცვი, მაცვალი ან სხვა რამ სასუსნავი გვეკულებოდა. ხშირად სალოცავად და სანთლების ასანთებად ავდიოდით გორმოსის წმინდა გიორგის სახელზე მე-6 საუკუნეში აშენებულ ეკლესიაში, რომლის შემოგარენში, (სოფლის სასაფლაოზე), განისვენებენ ბრძოლებში და მძიმე შრომაში, სამშობლოს უმნიკვლო სამსახურში და სიყვარულში დამაშვრალი ჩვენი მამა-პაპანი...

ეკლესიის ეზოში ბარს ენერგიულად ვაგუგუნებდით, რითაც ჩვენს მტერ-მოყვარეს და სრულიად ქვეყანას ვაცნობდით ჩვენი ჰიმ-ჰილაგის მშობლიური მიწისადმი ერთგულებას.

ჩემი შეფასებით, თავისი გეოგრაფიული მდებარეობითა და რელიეფით წედისური ბადელისი ძალიანა ჰგავს დ. ვალეს შემოგარენიდან ჩემგან პირველად ნანახ ძველ ბადელას... ( მე სასურველი შეიძლება რეალობად მივიჩნიე და შესაძლებელია ტენდენციურიც კი ვიყო ჩემს მსჯელობაში, მაგრამ ვიმედოვნებ, რომ პროფესიონალი ისტორიკოსები და ეთნოგრაფები შეგვეშველებიან სწორი დასკვნების გაკეთებაში).



დ. ვალეში ისიც მიაბნეს, რომ 1944 წლამდე, თურქეთთან ჩვენი სახელმწიფო საზღვრებს იქეთ სულ ქართული დასახლებები იყო. მაშინათვე, როგორც კი საბჭოთა მთავრობამ ე. წ. „მესხეთელი თურქები“ შუა აზიის რესპუბლიკებში გადაასახლა, ამის საპასუხოდ, თურქეთის ხელისუფლებამაც ქართველობა აჰყარა თავისი ისტორიული ადგილებიდან და საზღვრიდან შორს ჩრდილო-აღმოსავლეთ ვილაიეთებში ჩაასახლათ, სადაც დღემდე მკაცრი კონტროლის ქვეშ ცხოვრობენ. (ამჟამად ანტალიასა თუ კაბადოკიაშიც კი სხვებთან ერთად შეხვდებით მაისურაძეების გვარის მატარებლებს). მათ ადგილებში თურქები და ქურთები ჩაასახლეს...

იმავ დღეს, ჩემი კეთილი მასპინძლის, -ახალციხის სასაზღვრო რაზმის მეთაურის, ბატონ თამაზ კილაძის დახმარებით, სოფელ ნაოხრების გავლით (სადაც არცერთი ქართული ოჯახი აღარ ცხოვრობს), ძველი, გრიბოედოვის ხიდად წოდებული, ამჟამად ისტორიული ძეგლი მოვიწახლეთე. ბატონი თამაზის განმარტებით, გასული საუკუნის 20-იან წლებში, მას შემდეგ რაც მდინარე ფოცხოვზე საქართველო-თურქეთის სახელმწიფო საზღვარი დადგინდა, 1944 წელს სოფელ ბადელაში ჩასახლებულმა მუსულმანებმა მათ მხარეს დარჩენილი ხიდის მეორე ნაწილი მოშალეს და მისი თლილი ბაზალტის ქვებით თავისი საკულტო ნაგებობა - მეჩეთი ააშენეს. თუ რამდენად სწორია ეს ამბავი, დაბეჯითებით ვერ ვამტკიცებ, მაგრამ ფაქტი ჯიუტია და ის - სახეზეა.

ყოველივე ამის გამგონებ ხელში უმაღლეს ფოტოაპარატი მოვიმარჯვე და ავაჩხაკუნე. რაც იმ წუთებში განვიცადე და დავაფიქსირე თქვენს სამსჯავროზე გამომაქვს.

აქვე მინდა აღვნიშნო, რომ ვალეს საბაჟო ტერმინალის ეზოში ჩემი ყურადღება მიიქცია ამაყად, მაგრამ ეულად მდგარმა ძირძველმა კაკლის ხემ (ასაკით დაახლოებით 200-250 წლის), რომელიც ჩვენი წინაპრების ისტორიულ მიწაზე მრავლის მომსწრე უტყუარ მტკიცებულებად შევიცანი. ოცნებებში გავერთე და იმ წამსვე ვინატრე: რა იქნებოდა სასწაული მომხდარიყო და ყოვლისშემძლე ღვთის განგების წყალობით ის დალოცვილი (კაკლის ხე) ერთი წუთით მაინც ამეტყველებულიყო. რამდენ საინტერესო ამბავს გვეტყოდა არამართო ჩვენს თანამედროვეებზე, არამედ ძველი ისტორიული წარსულიდან ფრიად საინტერესოს, მამა-პაპათა საგმირო, საარაკო, ურთიერთ ქიშპობის, ღალატის, ერის დაცემის და ამაღლების, მტერზე საერთო ძალისხმევით გამარჯვებებისა თუ სხვათა შესახებ... ყოველივე იმაზე, რაც გონს მოსასვლელ სიბრძნის გაკვეთილად გამოადგებოდა ჩვენს თანამედროვეებს, ახალგაზრდობას. განსაკუთრებით კი იმათ, რომლებსაც ისევ ბედის სიმუხთლის, ხელოვნურად შექმნილ გარემოებების თუ მერკანტილური მოსაზრებების გამო, გული შინ აღარ უდგებათ, თვალი დღენიადაც საზღვრებს იქით უჭირავთ და პირველი შესაძლებლობისთანავე თავქუდმოგლეჯით გარბიან, გარბიან სულმოუთქმელად და უკან მიუხედავად!...

გოგი მაისურაძე

ვალე-თბილისი 2002 წლის 09 მარტი

P.S. - ორიოდ თვეში, სამსახურებრივი მივლინებით კვლავ მოვხვდი ქ. ახალციხეში. დავინტერესდი, შეიძლებოდა თუ არა ჩემი ცნობისმოყვარეობის დაკმაყოფილება და თურქ კოლეგებთან მოლაპარაკება სოფელ ბადელას დათვალიერების თაობაზე. მეორე დღესვე დაზვერვის სამსხურის უფროსმა ედუარდ შარაჩიანმა გვიპატაკა, რომ ჩვენი თხოვნის შესრულება მისთვის სირთულეს არ წარმოადგენდა. დათქმულ დროს მე რამდენიმე კოლეგის თანხლებით რომელთა შორის იყო იმჟამად ადგილობრივი პოლიციის სამმართველოს უფროსის მოადგილე პოლკოვნიკი მიხეილ (მიშა) მაისურაძე პირველად დავდგი ფეხი უცხო ქვეყნის ტერიტორიაზე.

ვალეს საკონტროლო-გამშვები პუნქტიდან თურქი მესაზღვრეების თანხმობით გადავვდიო სოფელ ბადელაში სადაც ჩვენ თავისუფალი გადაადგილების საშუალება მოგვეცა. ჩემი ყურადღება მიიქცია ქართველი კაცის ნატიფი მარჯვნივთ აშენებულმა თაფლისფერმა ხის ოდა-სახლებმა. ზოგიერთ მათგანზე მიშენებული იყო რიყის ქვით და ცემენტის ბლოკით აივნები და სხვადასხვა სახის სათავსოები რომლებიც მიშენებლობის შესრულების სტილით და ხარისხით აშკარად სხვაგვარად გამოიყურებოდა და ხის სახლებს ჩვეულ იერს უკარგავდა. იმ სახლებში ძირითადად თურქი ეროვნების მოქალაქეები ცხოვრობდნენ.

სოფლის ცენტრში არსებულ წყლის ონკანთან იდგა დაახლოებით 3 მეტრის სიგრძის ალუმინის ე. წ. გობი რომელიდანაც ადგილობრივებს სასმელი წყალი მიჰქონდათ სახლებში და სოფლის ნახირი იკლავდა წყურვილს...

იქვე, ალუმინის გობისაგან სულ რაღაც ერთ მეტრში, იდგა ქართული ეროვნული ნიშნის მატარებელი ჩუქურთმებით შემკული ქვის გობი რომელიც ადგილობრივთა გადმოცემით ადრე წყლის ონკანის ქვეშ იდგა და იმის გამო, რომ ის შედარებით მცირე მოცულობის იყო

საუთნლისთვის წყლის დასალევად სოფლის თავკაცის განკარგულებით, მისი გვერდით გადანევა და უფუნქციოდ დატოვება გადაწყდა... (მასში სხვადასხვა სახის ინერტული მასალები უნესრიგოდ ყარა) !...

ალბათ ქართული ჩუქურთმებით შემკული და ჩვენი სულიერების მატარებელი ის ქვის გობი შესაძლოა ერთადერთი არ ყოფილიყო სოფელ ბადელაში, მაგრამ ყველა ჩვენგანი როგორც მისმა იქ ნახვამ გაგვახარა იმავდროულად გული ძალიან გვეტკინა მისმა ასეთ მდგომარეობაში ხილვამ...

უკან დაბრუნებისთანავე დავუკავშირდი ახალციხის რაიონის კულტურის განყოფილების მესვეურებს და ვუთხარი ყოველივე ჩვენს მიერ ს. ბადელაში ნანახზე. დავინტერესდი, შესაძლებელი იქნებოდა თუ არა იმ ქვის გობის თურქული მხრის მიერ ჩვენთვის გადმოცემის შემთხვევაში სამხარეო მუზეუმის ტერიტორიაზე განთავსება. მანამდე თურქული მხარე ჩვენმა მესამზღვრებმა დაიყოლიეს მის უსასყიდლოდ გადმოცემაზე.

როგორც მოგვიანებით გავიგე, სამხარეო მუზეუმის ხელმძღვანელობას უმსჯელია ჩვენს წინადადებაზე, მაგრამ გადაუწყვეტიათ, რომ მოხსენიებული ნივთი იქ მეტ სამსახურს უწევს ქართულ კულტურას და ხელოვნებას ვიდრე აქ მუზეუმის ტერიტორიაზე მოთავსებით შეძლებს!...

ღმერთმა იცის, როგორ ჯობდა. ფაქტი ერთია, რომ ქართველ მესამზღვრებს სამშობლოსადმი თავდადებასა და სიყვარულში ჩვენს ქვეყანაში ბადალი არ ყავთ! აფერუმ მათ ვაუკაცობას. ისინი ყოველთვის სამაგალითონი იყვნენ და მომავალშიც ასეთებად დარჩებიან... ბედნიერი ვარ, რომ მათთან ერთად სრული 5 წელიწადი ვიმსახურე.

### ქართველ დედებს

ედღვნება თბილისელ ჭაბუკს \_ გოგიტა კიკნაძეს და მასთან ერთად გაგრაში გმირულად დაღუპულ მის თანამებრძოლებს

სადა ხარ ბიჭო, გოგიტა  
ნეტაი მაცოდინაო,  
მტერთან ბრძოლაში გართულსა,  
დედა გელოდის შინაო

„კონფედერატებთან“\* ბრძოლაში,  
მამულს უჩვენე გმირობა  
ბარბაროსთ მუსრი გაავლე,  
გიქებდით გვარიშვილობას

ქართული დროშით შემართულს,  
ტყვია არ გეკარებოდა,  
გაგრაში ყველას გვიცავდი,  
შენ, მარცხი გეკადრებოდა?!

რუსმა ამძლავრა ურჯულო,  
თვენ მოგისიეს `კობრები,\*\*  
აფხზებმა და ოსებმა,  
ურცხვად განირეს მოყვრები.

მუხთალმა მტერმა დაგჰაბნა,  
არსიდან ჩანდა მაშველი,  
ვისი იმედიც შენ გქონდა,  
თვითონვე გახდა საშველი...(თბილისი)

ვინც მართვე ომში გაგზავნა,  
იყო კი ჭკუათმყოფელი?!  
ბატკანი მგლებთან რად მიგატოვა,  
რად მოიმდურა სოფელი?!...

ქრისტეს რჯულისთვის მებრძოლსა,  
მამული გედარდებოდა,  
წყალთა და ზღვათა ხელმწიფე,  
გულში შენს ჩაკვრას ელოდა.....

ნაბრძოლი, ღონემიხდილი,  
შავმა ზღვამ მიგიბარაო,  
ლურჯმა ტალღებმა აკვანში  
გიმღერეს იაგ-ნანაო...

ისე გიყვარდა სამშობლო,  
ვითა დემეტრეს თავდადებულსა,  
კვლავაც ეზარდოთ მგზნებარე შვილნი  
სათნო ასულებს ივერთ ქვეყნისა ...

საკითხავია მხოლოდ ერთი რამ,  
რით ვანუგეშოთ, შენი დედიკო,  
თვალზე ცრემლ შეუშრობელი  
`ტერემა~-ს დარი, ქველი ელიკო?

P.S. (დედებს)  
მძიმე ხვედრია გმირთა მშობლებო,  
უმრავლოთ მამულს გვარიშვილობა,  
საკუთარ პირმშოს მსხვერპლად შეწირვით,  
გსურთ დაამკვიდროთ ქვეყნად მშვიდობა!

გოგი მაისურაძე

2007 წლის 19 მაისი  
(ამბღღება) თბილისი

## დ ე დ ა ს

### ვუძღვნი მშობლიური მიწა-წყლიდან ვანდალურად აყრილ და საკუთარი ეზო -კარიდან ცინიკურად გამოძევებულ ჩემს დებსა და ძმებს

ფუძე მოწყვეტილს კაეშნის,  
გულს შემომანვა ლოდები,  
ჩემო სულტკბილო დედიკო,  
ვიცი, რომ დამელოდები  
შორეთში მისთვის გამგზავნე,  
სიბრძნეს რომ დაგწაფებოდი,  
რადგანაც გწამდა, ნასწავლი,  
ქვეყნისთვის გამოვდგებოდი.  
იქ დრო ფუჭად არ მიფლანგავს,  
უმიზნო ქეიფ-თრობებებში,  
სქელ-სქელ წიგნებთან ჭიდილში  
ვიძირებოდი ცნობებში...  
შინ დაბრუნებულს, ცხადია:  
გულით მენადა შენება,  
ვაგლახ! ვერაგ მხეცს, როგორც ჩანს,  
თურმე სულ სხვა რამ ენება...  
მე ბევრს ვეცადე დედაო,  
საფრთხე რომ არა გჩენოდა,  
შენს სათუთ თვალებს უდროოდ  
ცრემლები არა სდენოდა!

მშვიდობის დიალოგისთვის,  
ვერ მოვიპოვე თანხმობა,  
როგორც შემდგომში გაირკვა-  
მტერს სურდა „ვაზის“ გახმობა.  
შეძლო უძლებმა, მტარვალმა,  
გონის ამღვრევა შორიდან,  
შედეგად, - ჩვენმა „და- ძმებმა“  
შინვე მოგვიწყვეს „კორიდა“!...  
თურმე არავის ჰყოლია,  
ჩვენზე ბოროტი მტერია,  
აგვიწიოკა ქვეყანა-  
გაგვიჩანაგა კერია...  
პაპის ფუძიდან აგვშალა  
ამოგვიშანთა თვალები,  
ოდიდან გამოძევებულს-  
ამოგვიჭედა კარები...  
მიუსაფარი, დევნილი,  
წელში ველარ გავიმართე,  
მძლია მტერმა, მუხანათმა,  
სულის საუნჯე დაკარგე.

... თალხით მოსილ სოხუმიდან,  
 მომდის მწირი ცნობები,  
 ცრემლ ნაპკური წერილები,  
 სავსე თბილი გრძნობებით,  
 პწკარებს შორის მე ვკითხულობ  
 სევდას, სულში დაფარულს,  
 „...უთქვენოდ ველარ ვუკრავთო,  
 აფხიარცას და ფანდურს...“  
 „... ეკალ-ბარდმა დაფარაო  
 ახო, ზვრები, ბალები,  
 ვაზის ტევრიც გავერანდა  
 შენი ნაფერავები“ ...  
 ცხადში გხედავ დედილო,  
 მხრებში მოხრილს, დაღვრემილს,  
 ზღვის ტალღებთან მოფუსფუსეს,  
 ღვთის იმედად დარჩენილს...  
 სალოცავში სანთლით ხელში,  
 უფალს ჩვენ რომ გვავედრებ,  
 დღეს შენთვის რომ ველარ ვიბრძვი-  
 ამას მე არ... მაყვედრებ!

როგორა ძლებ მაგ ყოფაში,  
 ვინ თესავს ჩვენს ყანასა !?...  
 მანდ ველარავინ ჩასწვდება-  
 შენს ტკბილ იავ-ნანასა...  
 როდის დაგიბრუნდები,  
 ჯერ ვერ გიმხელ დედიკო,  
 ძუძუმტენი მომიკითხე-  
 ივერი და ვერიკო...  
 ვფიქრობ, მრავალ ნაცადი,  
 ძველი წესი, ადათი,  
 მემობლებს შეგვარიგებს,  
 „ა ლ ა მ ი ს ი ს“ \* კარნახით...  
 გწამს, ჩიხიდან გამოსვლის  
 გზა, ჯერ კიდევ უვალი-  
 შერიგება, შენდობა  
 სულის ხსნა გარდუვალი!...

გოგი მაისურაძე. 2002 წლის 27 სექტემბერი.

\*-ალამისი (აფხაზურად) - სინდისი, ნამუსი.

## მარიკა აბაიშვილი!



**ძვირფასო მეგობრებო!**

**ძალზედ სამნუხარო ამბავი უნდა გაუწყოთ!**

**მოულოდნელად გარდაიცვალა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის თავალსაჩინო წარმომადგენელი, ეროვნული ხელისუფლების მთავარი ბეჭდვითი ორგანოს - გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ მთავარი რედაქტორი, საქართველოს რესპუბლიკის დირსების ორდენის კავალერი, ყველასათვის პატივსაცემი და უსაყვარლესი პიროვნება - ქალბატონი მარიკა აბაიშვილი!**

**საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის, ახლობლებისა და მეგობრების სახელით ვიზიარებთ მნუხარებას ჩვენი უახლოესი, არაჩვეულებრივად თბილი პიროვნების გარდაცვალებასთან დაკავშირებით და მთელი გულით თანავუგრძნობთ, ქალბატონი მარიკას მთელს ოჯახს, მეუღლეს, შვილებს, შვილიშვილებს, ახლობლებსა და ნათესავებს.**

**ღმერთმა ნათელში ამყოფოს ქალბატონი მარიკას ალალე სული!**





# ჩვენი მარიკა

ისე ლამაზად ნავიდა ჩვენთან, რომორც ლამაზადვე შემოფრინდა ჩვენს ცხოვრებაში ...

ლალი, მხიარული, მოსიყვარულე, სამართლიანი, ბავშვური ხასიათის მქონე თკბილი ღიმილით დაგვემშვიდობა და ესევე დარჩა მარადიულობაში ... დღესაც, ვითომ მშვიდად, მაგრამ ყოველთვის მთის მდინარესავით მჩაქვარა და ადელვებული, მზადაა ქუ ლომივით ყალყზე შემდგარი ბანცდებსა და წინაღობებს შენებურად შეასკდე და ყოველთვის გამარჯვებულმა უბორო სითბოთი და სიყვარულით, ანკარად მოჩუხჩუხებ, დაუღლეად დაატკბო ყველანი ...

რაოდენ, შენგან დარჩა ღიმილი, სუფთა, ნათელი და მიმთვებელი ... არ მოიწყინო, ჩვენს მალე მოვალთ ... აბა, სად ნავალთ?! ...

მემობრებისა და ახლობლების სახელით  
თინა კანდელაკი

\*\*\*

ქალბატონი მარიკა აბაიშვილის წარმოდგენილი წერილი რომ დაინერა, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს შენობა უკვე გადამწვარი იყო და ქვეყანას სახელმწიფო გადამტრიალებლების კრიმინალური ბანდიტები მართავდნენ.

წარმოუდგენელი გამბედაობა იყო იმ დღეებში ასეთი მიმართვის გამოქვეყნება. ის საქართველო, რომელსაც მარიკა აბაიშვილი წარმოადგენდა, არ უნდა დამარცხებულიყო.

ლ.ვ.ა.

საქართველოს რესპუბლიკა  
საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს ორგანო

თბილისი, 2. სექტემბერი, 1992 წ.

ბეჭდვები: 09-02-20  
მთავარი რედაქტორი: 09-72-80  
საბჭო: 09-66-10

16. იანვარი 1992 წ. № 1

ს ა მ ბ ე რ ი მ ს ა ბ ქ ი მ წ ო რ ე ბ უ ლ ი ხ უ ნ ც ი ს  
ქ ვ ე მ შ ვ რ დ ო რ ი ს ა ი ნ ფ ო რ მ ა ყ ი ო მ ს ა მ უ ა ლ ე -  
ბ ე ბ ი ს მ ე ხ ვ ე უ რ ე ბ ს

საქინო უიზინია გერმანიაში "საქინაველის რესპუბლიკის" რედაქციის იერი მოუხდელი რიზები - მან შერეგვჩაყ შეიარაღებულმა ავანკადმა ქ. იოსელიანის, თ. კოკოშინის, ე. შევარცაძის, თ. სიგუასა და სხვათა რედაქციით იერიში მიიყენეს კანონიერ ბელისუფლებზე, თქვენი ბელისუფლებით მათ შეიტყნეს ურნალ-გაზეთების რედაქციებისა და გაომეგრებების ოკუპირება, სადაც ანჯაბად ბოგინობთ საკუთარ ბელისუფლებთან ერთად. ვინაიდან არ შეშვეს უნარი და ანჯა სურვილი გაიარნია ფიზიკური მინადლეგობა გავიწროო და თქვენსეუ ეყოლით ავღღო თქვენი თანეუი ვინალ-გაზეთების გაომეგრებობაში, არ შეიძლია ურნულეუო რედაქციის თანამშრომელთა და სხვათბის მუშაკთა უსაფრთხოება, იძულებული ვარ თაუი შევიკაუო რედაქციაში მოხელისაგან.

აზსთანავე გიყხებდით, რომ "საქართველოს რესპუბლიკის" მთავარი რედაქციის მოულოდბისაგან ანჯ საქართველოს რესპუბლიკის კანონიერ ბელისუფლებას გაუნწავისუფლებივარ და ანჯ თაუად რომისწინა პახუბისშვებობა. ამდენად, "საქართველოს რესპუბლიკის" გაომეგრება: მთავარი რედაქციის გაჩეუე ისევე ენინალდეგება კანონს, როგორც ბუნდის ყველა სხვა ეშვებება.

ენისაყ დაუსებნ, შეიარაღებული ბანდელეების სახსახუნში ჩამდგარი ლაქიების მუის ბანაუების გჭეზუნაყ დიდ პატივად ჩიჩაჩიშა შევენოთის, მაგრარ ამ დამომეგრე წახვალან: მათსულებს შეეშნლი ვითარებება.

"საქართველოს რესპუბლიკის" მთავარი რედაქციის მ. ს. ყ. აბაიშვილი (წერილი აბაიშვილი)

## ქართველისათვის უცხო სიტყვაა „მაშასადამე“!



საქართველოს პარლამენტის ეროვნული  
ბიბლიოთეკის  
საბიბლიოთეკო რესურსების დეპარტამენტის  
დირექტორი

**ლევან თაქთაქიშვილი**

ხშირად იმეორებენ ზურაბ ჟვანიას სიტყვებს: ვარ ქართველი და, მაშასადამე, ევროპელი!

მე არ განვიხილავ ამ ვილაცისთვის თეორემას, რომელსაც დამტკიცება სჭირდება, ვილაცისთვის აქსიომას და ვილაცისათვის მიუღებელ აზრს. ყველამ მიიღოს ისე, როგორც სურს!

მე სხვა საზოგადო ჭირზე ვწერ: ქართველისათვის უცხო სიტყვაა „მაშასადამე“! ქართველს არ უყვარს ეს სიტყვა! მას არ სურს დაფიქრება და გაფიქრებაც კი რაიმე მოვლენის მოხდენის შემდეგ, რომ თავის თავში თქვას – მაშასადამე?

არა! მას უყვარს: მე მინდა! ან უფრო დაბალი რეგისტრით: მე გამიხარდება! მე ვამბობ! მე მსურს! და არა მაშასადამე!

შუშანიკს არ უთქვამს არცერთხელ „მაშასადამე“, თორემ დაელოდებოდა ვარსქენს სახლში და მერე გააპროტესტებდა! ხუცესს დაუჯერა! როცა მიხვდა (ხუცესის სიტყვების გაგონებაზე – ჩვენი დედოფალი იყავით), რომ ის სასახლეში ვერ დაბრუნდებოდა და ტანჯვა ელოდა, მაშინაც ვერ თქვა: „მაშასადამე“ და ეს სიტყვა კითხვის ფორმაში ჩამოაყალიბა: „რაისა მკითხავ ამასო!“

რუსთაველს არ დაუწერია სადმე სიტყვა „მაშასადამე“! არა! წადი, იპოვნე, დაგელოდები, შეგეყრები, შემეყარე! სჯობს, გასტეხს, მოკლავს, ჰგონია! და არცერთი ნუთუ!

დავით აღმაშენებლის ისტორიკოსს არ მოჰყავს არცერთ ისტორიული გამარჯვების ამბავში ბიზანტიის დედოფალი მარიაში, მეფის მამიდა! არა! ყველაფერი დავითის მიღწევაა! ხახულის ხატზე ცენტრალურ ადგილას ბიზანტიის დედოფლის და მისი მეუღლის გამოსახულებით ტიხრული მედალიონია დამაგრებული, ხატი რომ დახურო, მხოლოდ ეს სახეები რჩება, მაგრამ საქართველოში არავინ იტყვის ამის დანახვისას: მაშასადამე!

შეიძლება ვცდები?! თემურ ლენგის არცერთი შემოსევის შემდეგ არ უთქვამს ქართველ ერს – „მაშასადამე“! დარწმუნებული ვარ, თემურ ლენგი მერვე შემოსევის შემდეგ უკან გაბრუნებული გაოცებული იკითხავდა – ალბათ ამ ხალხმა არ იცის სიტყვა: „მაშასადამე“!

ვახტანგ მეექვსის ირანში პატიმრობის დროს რომ გააგზავნეს სულხან საბა საფრანგეთის კარზე, მეფის განთავისუფლებაში საფრანგეთის დახმარების თხოვნით,



მაშინ, როცა ოსმალეთის მონინააღმდეგე იყო მთელი ევროპა და ვენაზე ალყა ჰქონდა ოსმალეთს, არავინ თქვა სიტყვა - „მაშასადამე“. საქართველო სთხოვდა ლუდოვიკოს, რომ ოსმალეთის ყველაზე დაუძინებელი მტერის - ირანის წინააღმდეგ კოალიცია შეეკრათ. საბა რომ ჩამოვიდა - თქვა სიტყვა: მაშასადამე დაგვიკიდეს! თმებით ითრიეს! ეს როგორ თქვიო! ნაზარალიხანს უყვარდა სიტყვა „მაშასადამე“ და ვერ ვიტანთ დღემდე. ერეკლემ თქვა: „მაშასადამე“ და დღემდე ამ მაშასადამეს ვერ ვპატიობთ. სტალინსაც! არცერთი პოეტი არ გვიყვარს - „მაშასადამეს“ მოყვარულები!

მთანმინდაზეა მუხრანი, დიდუბეშია მურმანი - „მაშასადამეს“ მოყვარული. ამ კანონზომიერებით გურამ დოჩანაშვილი მთანმინდაზე არ უნდა დამარხულიყო! არც დაიმარხა. ილია „მაშასადამემ“ შეინირა! დიმიტრი ყიფიანმა არათუ მაშასადამეთი იცხოვრა, არამედ რუს ეგზარხს მისწერა: მაშასადამე უნდა ნახვიდეთ. შეინირა ამ სიტყვას. ის პანთეონში არ დაუმარხავთ, შვილის გვერდით დამარხეს მთანმინდაზე, რომელიც შემდეგ გახდა პანთეონი. ილიაც დიმიტრის გვერდით დამარხეს ჯერ კიდევ უბრალო სასაფლაოზე. იაკობსაც არ უნდოდა მთანმინდა. იქ გადამარხეს შემდეგ, ვაჟაც, კოლექციისათვის. ჩვენ ფრენა გვიყვარს, მერანი, ლურჯა ცხენები, ალუდა ქეთელაური, ბატონები ზვიადი და მერაბი, არ გვიყვარს რეალობა. ტირილიც გვიყვარს. გაგვდის. ვაფრენთ გალაკტიონზე, ბარათაშვილზე, აკაკიზე, ტერენტი გრანელზე. გურამიშვილი გვლლის!

ამიტომ ვფიქრობ-მაშასადამე ჩვენი სიტყვა არაა, ის ებრაელებმა მოგვიტანეს. ქრისტეს კვართთან ერთად. სიღონიამ კვართი ჩაიხუტა და თქვა: მაშასადამე ქრისტე ... და ვერ დაასრულა. ერთი კი ჩანს: ვინც თქვა „მაშასადამე“ ამ ქვეყანაში ვერ გაიხარა, თვით ქვეყანაც როგორ უნდა იყოს წარმატებული, როცა არ უყვართ სიტყვა: „მაშასადამე“!

ხოდა ყველაფერი აქედან გამომდინარე, ვფიქრობ: ქართველთათვის უფრო გასაგები იქნებოდა, ზურაბ ჭვანიას რომ ეთქვა: ვარ ქართველი და მინდა, რომ ვიყო ევროპელი!

ეჰ, მგონი ტყუილად ვწერე ამდენი, გურამ დოჩანაშვილმა ყოველივე უფრო ლამაზად დაგვიხატა: „ჩამოიარა იმან, ერთ დროს საცოლემ, ეჰ, საიდუმლონარევი, შორეული სილამაზით აღსავსემ, როგორცაა სიტყვა ... „მოიისფრო“, გვერდით კი მოჰყვებოდა კაცი, ისეთი უსიამო გამომეტყველებით სახეზე, როგორცაა სიტყვა ... „გავძეხი“, და მე კი განზე ვიდექ, ზ ე დ მ ე ტ ი, როგორც სიტყვა „მაშასადამე“ ...“





საქართველოს რესპუბლიკის პირველი  
მონწივეს უზენაესი საბჭოს წევრი (1990-1991),  
საქართველოს დეპუტატთა კლუბი - 28 ოქტომბერის  
თავმჯდომარე

**გელა ჩორბულაშვილი**

**პოსტ-იმპერიული სუვერენიტეტის პროექტის კრახი  
(პოლიტიკური უპერსპექტივობა)  
და საქართველო“**

სიტყვას დავიწყებ დიდებული სიტყვებით გიორგი ლეონიძისა: „ღმერთო, შენი მაქვს იმედი!  
ფეხზე დააყენე ჩემი მამული! მოგვეც განახლების ძალთა გონიერება... ღმერთო შენ დაამხე მტერი,  
ქართველთყლაპია!“

რა გონიერებაა ის „გონიერება“ მეგობრებო, რომელიც ეროვნული განახლების ძალებს  
აღძრავს და საერთო გონებრივი სიმწიფითა და ცოდნით საქართველოს თავისუფლების  
გარანტიებს ქმნის. და რა სახით ვლინდება ამგვარი გონიერება?

თავისი არსით, 28 ოქტომბერი არის ეროვნული თავისუფლების, მე-19 საუკუნის დასაწყისში  
დაკარგული ეროვნული სახელმწიფოებრიობის დასაბრუნებლად, ერის სულიერი მარტვილობისა  
და ფიზიკურად სისხლის ღვრის გზის დასასრულისა და მისი განახლების დასაწყისის შეხვედრა, ეს  
არის დღე როცა დასრულდა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი  
უმნიშვნელოვანესი ეტაპი, როდესაც მრავალპარტიულ დემოკრატიულ არჩევნებში გაიმარჯვეს  
ეროვნულმა ძალებმა და დაიწყო „ახალი ხანა“ როცა საერთო გონებრივი სიმწიფითა და ცოდნით  
უნდა მიიღწეს „სრული სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა“. ესეა განმარტებული მიზანი და  
მისი მიღწევის გზა, საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციის პრეამბულაში. ამ პრეამბულის  
ტექსტი მიღებულ იქნა ორგანული კანონით „საქართველოს რესპუბლიკაში გარდამავალი  
პერიოდის გამოცხადების შესახებ“ 1990 წლის 14 ნოემბერს, პირველ სხდომაზე . საინტერესოა,  
რომ კანონის პროექტში „დაიწყო ახალი ხანა“ ეს ტერმინი მოცემული იყო სხვა ინტერპრეტაციით  
„დაიწყო გარდატეხის ხანა“! „ახალი ხანა“ , „გარდატეხის ხანა“ პოლიტიკური თვალსაზრისით,  
დაიწყო „გარდამავალი პერიოდით“, რომელ პერიოდშიც უნდა მომზადებულიყო საქართველოს  
სრული სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის სამართლებრივი საფუძვლები და დაიწყო კიდევ!!!

1992 წლის 22 დეკემბრამდე, როცა მიეცა გზა, დაიწყო ქართველი ერის ძარცვის  
მრავალწლიანი ოპერაცია, როცა ხალხს ეუწყა რომ დაწუნებული და უარყოფილია ის სტრატეგია,  
რასაც ეფუძნებოდა საქართველოს სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის მოთხოვნა, მისი (ერის)  
ნება, ეროვნულ-სახელმწიფოებრივი სისტემის კონსტრუქცია, რომელსაც უყრიდა რაციონალურ  
საფუძველს ამ საქმის თავკაცი ზვიად გამსახურდია და მისი პლატფორმის გარშემო გაერთიანებული  
მრგვალი მაგიდა!

ცალკე აღნიშვნის ღირსია ისიც, რომ დროის ამ მცირე მონაკვეთში (13 თვე), რომლის  
მანძილზე მოღვაწეობდა ეროვნული ხელისუფლება, გასაოცარია სამართლებრივი აქტების და  
პოლიტიკური გზავნილების სიმწიფობა და მოცულობა!

მინდა გავიხსენო ქართულის დიდი მესაიდუმლოს გრიგოლ რობაქიძის სიტყვები, რომლითაც  
ის აღწერს ილიას მკვლელობას (კიდევ ერთ გეშტალტს, რომლის დახურვასაც შეეცადა ზვიადი 26  
მაისს ლოკომოტივის სტატიონზე თავის ცნობილ გამოსვლაში, მერე კი თავად ზვიადის მკვლელობა  
იქცა ჩვენი ერის ფსიქოლოგიურ ტრამვად, როგორც ღია ჭრილობა, სისხლად რომ

წრეტს დღეს ერთგულ სხეულს). გრიგოლი აღწერს: „ქართველმა მოკლა საქართველოს მძლავრი მხედარი, ხოლო სისხლით შესვრილ ხელს რომ დახედა, მკვლელმა, საქართველოს სახე დაინახა!“ როცა ვაკვირდები, ვსწავლობ და ვაანალიზებ ზვიადის ორგანიზაციულ და სახელმწიფოებრივ გადანწყვიტვლებებს, განმსჭვალულს რაციონალიზმით, ვრწმუნდები, რომ მისი ღვანლის კულმინაციას სახელმწიფოს რაციონალური შემოქმედება წარმოადგენს - მან მოდრიკა ის ირაციონალური რომლის სუკუნებრივი კულტივირება ქართველი ერის მოსპობას ისახავდა მიზნად. ამიტომაც იქცა თავად, სახედ, სუვერენული, სამართლებრივი, დემოკრატიული სახელმწიფოსი.

1990 წლის 28 ოქტომბერი გახლდათ მაღალი ერთგული, პოლიტიკური, მოქალაქეობრივი კულტურის, ზოგადად ქართული პოლიტიკური გონის ბეიმი, სახელმწიფოებრივი ამროვნების ბუნებითი მეინსტრიმის დაბრუნება საქართველოს რეალობაში, რომელსაც ჩვენ ილიას გზა ვწოდებთ! და ეს გზა მეგობრებო დაამხეს! შეუნიბლავად! ღიად! აბსოლუტური სისასტიკით! დაუნდობლად! დაამხეს საქართველო, რომელიც ესწრაფოდა დაკარგული სახელმწიფოებრიობის აღდგენას. საკუთარი თავისუფლება, ქართულმა გონმა, ქართველი ერის ევროპულ ხალხების ოჯახში დაბრუნების შესაძლებლობას დაუკავშირა. იმედოვნებდა, რომ „პარიზის კონფერენცია და ჰელსინკის პროცესში მონაწილე ქვეყნები რეალურად შეაფასებენ საბჭოთა კავშირის ევროპულ ნაწილში მიმდინარე მოვლენებს - წარსულში დემოკრატიული ქვეყნების სწრაფვას სახელმწიფოებრიობის აღდგენისაკენ და ინტეგრაციის ხელოვნური, არასწორი ეტაპებით არ დაამუხრუჭებენ გლობალური ევრო-ინტეგრაციის და საბოლოო სტაბილიზაციის პროცესს“ (საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მიმართვიდან ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის მონაწილე ქვეყნების სახელმწიფოთა და მთავრობათა მეთურების პარიზის კონფერენციისადმი“, 14 ნოემბერი, 1990 წ.). სრულიად საფუძვლიანად თვლიდა, რომ თავისუფალი საქართველო თავის ღირსეულ წვლილს შეიტანდა „უფრო სამართლიანი და თანხმობით მოსილი მსოფლიოს შექნაში“ („მიმართვა მსოფლიო ხალხებს“, 14 ნოემბერი 1990 წ.) რაოდენ პარადოქსულიც არ უნდა იყოს „უფრო სამართლიანი მსოფლიოს“ ფორმულა დღეს კაცთმოძულეობის ჯურღმულიდან ისმის.

მიუხედავად საყოველთაო მშვიდობისმოყვარე კურსის დეკლარირებისა და რეალური საკანონმდებო ცვლილებებისა ხელისუფლება დაემხო! რა იყო ამგვარი ირაციონალური მოქმედების რეალური მიზეზი და მოტივი? რეალურად ხომ არ არსებობდა ამგვარი ქმედების ეკონომიკური, სოციალური, ფსიქო-ემოციური და კულტურული საფუძვლები - საქართველოს რესპუბლიკის ყველა ეკონომიკური ინდექსი ამაზე მეტყველებდა - ერთგულმა ხელისუფლებამ თავისი ხანმოკლე მმართველობის მანძილზე გამართა ორი არჩევნები, საპრეზიდენტო და ადგილობრივი თვითმმართველობის, და ორივე შემთხვევაში დამაჯერებლად გაიმარჯვა, მოიპოვა რა ამომრჩეველთა უმრავლესობის მხარდაჭერა. მაშასადამე, ხელისუფლების ცვლილება, მით უფრო შეიარაღებული სახელმწიფო გადატრიალება არ იყო საქართველოს რესპუბლიკის ხალხის რაციონალური არჩევანი ... დღეს უკვე დაზუსტებულად არის ცნობილი, რომ გადატრიალების გეგმა და მისი აღსრულება უშუალოდ იმპერიის ცენტრის შემოქმედებაა. სრულიად აშკარაა, მიზანი, რომელიც მიიღწა - განხორციელდა უპრეცედენტო დანაშაულით: სამხედრო აღჭურვა, ფინანსური უზრუნველყოფა, აბსოლუტური, ტოტალური დეზინფორმაცია საერთაშორისო დანაშაულებრივ მდუმარებაში - ეს ყოველივე დაუკავშირა საქართველოს ლეგიტიმური ხელისუფლების ერთგულ-პოლიტიკურ პლატფორმას, რომელიც გამსჭვალული იყო საქართველოს სახელმწიფო სუვერენიტეტის, ხელისუფლების მაღალი ლეგიტიმაციის, საერთაშორისო სამართლის სტანდარტებისადმი ერთგულებით ... სამართლის სახელმწიფო იდეოლოგიის რანგში აყვანას, სამართლებრივი სახელმწიფოს აღმშენებლობის ნებას უნდა მივეყვანეთ (და მივალთ, ეს იქნება 21-ე საუკუნის ქართველი ერის პასუხი) საქართველოს სრულ სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობამდე - ესე იგი საქართველო, ერთგებოდა რა საერთაშორისო პროცესში, გამოდიოდა იმპერიული პროექტის ჩარჩოებიდან საკუთარი, ერთგული პროექტით, ტოვებდა იმპერიულ ვასალიტეტს ერთგული სახელმწიფოებრივი ცნობიერებით, სახელმწიფოებრი დამოუკიდებლობის აღდგენის ერთგული პროექტით სადაც სხვა, ახალ, უცხო ვასალიტეტში შესვლა არც ერთ ვერსიაში არ განიხილებოდა...

სსრ კავშირის „დაშლის“ სუკი-ის პროექტით კი საქართველოს, როგორც ყოფილი მოკავშირე საბჭოთა რესპუბლიკის დამოუკიდებლობის ცნობა არ უნდა გასცდენოდა ფორმალურ, რიტუალურ სივრცეს და რეალური ძალაუფლების ბერკეტები მისი კონტროლის ქვეშ უნდა დარჩენილიყო (და ეს ასეცაა დღეს). ერთგული ხელისუფლების პოლიტიკური პლატფორმა, მისი ღრმა ინტელექტუალური უპირატესობა ქმნიდა ისეთ გარემოს როცა თავად იმპერიას უნდა



რატომ გმირები?-სხვადასხვა პოლიტიკოსებმა არაერთხელ იწინასწარმეტყველეს კორონავირუსული დაავადებები და სიკვდილი არავაქცინირებულ ადამიანებში და ამით იწვევდნენ საყოველთაო შიშს. ახლა თურმე აცრილი მასებიც კი მძიმედ ავადდებიან და კვდებიან.

დე ფაქტო-დიახ, და ამიტომ ჯანმრთელი აცრილი ადამიანები რატომღაც გმირები არიან, რადგან ვერც კორონა და ვერც ვაქცინა ვერ მიაყენებს ზიანს.

იყავით ჯანმრთელი და შეინახეთ თქვენი ჯანმრთელობა ვაქცინაციის გარეშე. თავად გადანწყვიტეთ, მიიღოთ თუ არა მონაწილეობა სხვის ექსპერიმენტში.

### 18. მე უკვე გადავიტანე COVID-19

არ მომეწონა. ორი დღის განმავლობაში საშინლად გაციებული ვიყავი:

- მოუდუნებელი დუნდულების და წელის ტკივილი;
- ძალიან დაბალი ენერჯია;
- დაბალი ხარისხის ცხელება;

უცნაური იყო, რომ ორი დღის განმავლობაში ვერ ვგრძნობდი სუნს. ერთი კვირის შემდეგ, ყავას ოდნავ მაინც გაუჩნდა გემო. მაგრამ მე გადავრჩი.

ახლა გაირკვა (როგორც ყოველთვის), რომ მე მაქვს ლამაზი, ბუნებრივი, სიცოცხლის ბოლომდე დაცული იმუნიტეტი - არამგონია რამე გამიქრეს თუ კი მივიღებ ვაქცინას, ჩემს სხეულში და ჩემს ოჯახში COVID დასრულდა.

ფაქტიურად, როდესაც გადავიტანე ვირუსი, ახლა არსებობს მტკიცებულებები, რომ COVID ვაქცინა შეიძლება უფრო საშიში იყოს ჩემთვის.

ეს არ არის რისკი, რომლის გაღებაც არ მსურს.

ჯამში: ზემოთ ჩამოთვლილი მხოლოდ მიზეზებია, რომლის გამოც ვაქცინა არ არის უსაფრთხო და სასურველი. შეიძლება ჩემი მიზეზები თქვენც გაიზიაროთ, ან შეიძლება არა.

ვიმედოვნებ რომ ყველაფერი რასაც თქვენთვის აზრი აქვს, საკმარისია რომ ჩვენ მაინც მეგობრობად დავრჩეთ. ვფიქრობ რომ ჩვენ უფრო მეტი გვაქვს საერთო ვიდრე ის რაც გვაშორებს:

- ჩვენ ყველას გვინდა ვიცხოვროთ თავისუფალ სამყაროში;
- ჩვენ ყველას გვსურს შევიტანოთ ჩვენი წვლილი, რათა ერთმანეთს დავეხმაროთ და კარგად ვიცხოვროთ;
- ჩვენ ყველას გვსურს გვქონდეს უფლება გამოვთქვათ ჩვენი მოსაზრებები, შიშის გარეშე, რომ მოხვდებით ცენზურის ქვეშ ან სასტიკად დაგვესხმიან თავს;
- ჩვენ ყველა ვიმსახურებთ გვქონდეს წვდომა ყველა ფაქტზე, რათა შეგვიძლია მივიღოთ დასაბუთებული გადაწყვეტილებები;
- ევროკომისიის (PACE ) დადგენილების თანახმად უნდა შეწყდეს დისკრიმინაცია და ძალადობა;

დამეთანხმებით, თუ არ მეთანხმებით, თქვენ განსხვავებულად არ მოგეცევით.


ნებისმიერი ადამიანი იმსახურებს სიყვარულს და პატივისცემას, როგორც სხვები. ამისათვის გულითადად მიგესალმებით თქვენ და გისურვებთ საუკეთესოს.

იმედი მაქვს, რომ თქვენთვის ეს ინფორმაცია სასარგებლო აღმოჩნდა. თუ ასეა, ნუ მოგერიდებათ გაზიარება.

თუ არა, ნუ მოგერიდებათ (გთხოვთ) მაცნობოთ ქვემოთ მოცემულ კომენტარებში, რას არ ჰქონდა თქვენთვის აზრი.

თუ გაგიჩნდებათ კითხვები როგორ მოვიქცეთ, ვირუსის აფეთქების შემთხვევაში, მაშინ გაპასუხოთ, გაგრძელება იქნება.

# Sterilization principle



COVID<sup>19</sup> FREE O<sub>3</sub>ZONE  
For Your FAMILY

ozonegeorgia.ge  
hydrogentechnology.ge@gmail.com



### თამარ (თამუნა) რაზმაძე

„საქართველოს ჰელსინკის კავშირი -  
 - ეროვნული აღორძინების“  
 იურიდიული და ადამიანის უფლებების  
 დაცვის დეპარტამენტების წევრი  
 „საქართველოს ჰელსინკის კავშირი -  
 - ეროვნული აღორძინების“  
 ახალგაზრდული ორგანიზაციის გამგეობის  
 თავმჯდომარის მოადგილე,  
 ჟურნალ „მატიანეს რედკოლეგიის წევრი  
 და კავშირის პრესცენტრის  
 წარმომადგენელი,  
 არასამთავრობო ორგანიზაცია  
 „ღირსება = თავისუფლება“  
 თავმჯდომარის მოადგილე

## კავკასიელი მებრძოლი ქალები

**ამორძალი და მისი ნივთები ზემო ავჭალიდან — უნიკალური აღმოჩენა თბილისში.**

თბილისში, ზემო ავჭალის ტერიტორიაზე, ოდესღაც ამორძალები ცხოვრობდნენ. ამას ადასტურებს სამარხის პოვნა, სადაც მებრძოლი ქალი ცხენთან, საბრძოლო იარაღთან და სამკაულებთან ერთად არის დაკრძალული. 1927 წელს ქართული არქეოლოგიის ერთ-ერთმა ფუძემდებელმა გიორგი ნიორაძემ გათხარა და შეისწავლა მიწის სამუშაოების დროს შემთხვევით აღმოჩენილი სამარხი. დღევანდელი მონაცემებით, ზემო ავჭალის სამარხი, მებრძოლი ქალის მსოფლიოში ყველაზე ადრეულ სამარხად მიიჩნევა. არქეოლოგმა გიორგი ნიორაძემ, სამარხში მკვლამარე პოზაში დაკრძალული ადამიანი, ბრინჯაოს მახვილი, ბრინჯაოს შუბისა და რკინის სატევრისა, თუ დანის ნაშთები, ცხენის თავის ქალის ფრაგმენტი, ბრინჯაოსა და ნახევრად ძვირფასი ქვების სამკაული და თიხის ჭურჭელი აღმოაჩინა. მიცვალებულის თავის ქალისა და აღმოჩენილი ნივთების ანალიზის საფუძველზე, გიორგი ნიორაძემ დაადგინა, რომ გარდაცვლილი მეომარი ქალი იყო, ხოლო ბრინჯაოს მახვილის დათარიღებითა და სხვა პარალელების მოშველიებით, (სამხრეთ კავკასიის სხვა ადგილებში მსგავსი მახვილების აღმოჩენით) დადგინდა, რომ სამარხი ძვ. წ. მე-11—მე-9 საუკუნეებს განეკუთვნება.





სამარეში აღმოჩენილი ბრინჯაოს მახვილი, სარდლოიკის, კვარცის, შუშის მაგვარი მძივები, ბრინჯაოს სამაჯურები, ბეჭდები და ლილები, თიხის ჭურჭელი და შუბის ნაწილი. „მთელი პლანეტის არქეოლოგიურმა ლიტერატურამ ჯერ კიდევ არ იცის არცერთი შემთხვევა, რომ ეპოვნოთ ბრინჯაოს მახვილით, ხანჯლით და შუბით შეიარაღებული ქალი, როგორც ამას ადგილი ჰქონდა ზემო ავჭალაში და თუ გამოჩენილი მსოფლიო მეცნიერი მონდელიუსი, დანიაში აღმოჩენილ ხანჯლით შეიარაღებულ ქალებს უკავშირებდა ამაზონების, ანუ ამორძალების შესახებ წარმოშობილ მოთხრობებს, მით უმეტეს, ჩვენ უფრო მეტი საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ ზემო ავჭალის შეიარაღებული ადამიანი, რომელსაც ჭრილობა ჰქონდა მიღებული, მეომარი ქალი უნდა ყოფილიყო, ქალი რომელმაც ცხენოსნობა კარგად იცოდა“, - წერს თავად გიორგი ნიორაძე 1931 წელს გამოცემულ ნაშრომში.

ის, რომ შეიარაღებული ადამიანი ნამდვილად ქალი იყო, დადასტურდა თანამედროვე ანთროპოლოგიური კვლევებითაც. ის ფაქტი, რომ ეს ადამიანი სამხედრო პატივით იყო დაკრძალული, იმაზე მეტყველებს, რომ იმდროინდელი საზოგადოებისთვის, ქალი, მეომრის როლში სავსებით მიღებული მოვლენა იყო. სამარხები, სადაც ქალები სამხედრო იარაღთან ერთად აღმოაჩინეს, სხვაგანაც არსებობს, მაგალითად ევრაზიის სტეპების ვრცელ ტერიტორიაზე, მაგრამ ზემო ავჭალის სამარე ამ დრომდე აღმოჩენილ სამარეებს შორის ყველაზე ძველია და ის ადასტურებს ამორძალების არსებობას.

ლეგენდები მეომარი ქალების, ამორძალების, ანუ ამაზონების შესახებ ძალზედ პოპულარული იყო ანტიკურ ხანაში. ბერძნულმა ტრადიციამ მათ შესახებ არაერთი მითი შემოგვინახა. თუმცა დღეს, არქეოლოგიური მონაცემების წყალობით, ვიცით, რომ ისინი ნამდვილად არსებობდნენ.

ქალი სამთავრულ კულტურას განეკუთვნებოდა, რომელიც გავრცელებული იყო სამხრეთ კავკასიაში, ძირითადად, დღევანდელ აღმოსავლეთ საქართველოში. ზემო ავჭალის სამარხი არაერთაა განსხვავებული ამ ეპოქის სხვა სამარხებისგან. მასში აღმოჩენილი ინვენტარის მთელი კომპლექსი სხვა თანადროული სამარხების ინვენტარის მსგავსია და ე. წ. სამთავრულ არქეოლოგიურ კულტურას განეკუთვნება. დაკრძალვის მკდომარე პოზაც ხშირად გვხვდება ამ კულტურის სამარხებში. ბოლოკვეთილი მახვილი, რომელიც ამ ქალს მუხლებზე ედო, ის იარაღია, რომელიც მხოლოდ სამხრეთ კავკასიის აღმოსავლეთ ნაწილშია გავრცელებული და ადგილობრივად არის განვითარებული და მორგებული ცხენზე ამხედრებული მეომრის ბრძოლის თავისებურებაზე.

**ვინ იყო მზექალა არაბული - კავკასიის ჟანა დარკი. ამბავი, რომელიც ქაქუსა ჩოლოყაშვილმა დაგვიტოვა**





1926 წელს გაზეთ „დამოუკიდებელი საქართველოს“ მე-12 ნომერში, რომელიც საფრანგეთის დედაქალაქ პარიზში გამოდიოდა, დაიბეჭდა საქართველოს 1924 წლის აჯანყების ერთ-ერთი მონაწილის, ქაქუცა ჩოლოყაშვილის თანამებრძოლის შალვა ამირეჯიბის სტატია, სახელწოდებით „მ ზ ე ქ ა ლ ა“.

ავტორის მითითებით ამბავი, რომელიც ერთ ხევსურ ქალბეა, მას ქაქუცა ჩოლოყაშვილმა უამბო:

„ეს იყო ხევსურეთის აჯანყების დროს, 1924 წლის სექტემბერში. დუშეთთან შეტაკების დროს ხევსურეთში გადავედი, ხევსურებმა სიხარულით მიმიღეს, უნდა იცნობდეთ მთის ამ ქართველებს, გამოცდილებს ომში და მოსიყვარულეთ თავისი ქვეყნის.“

ჩემი სახელი გაგონილი ჰქონდათ, ამას გარდა, ჩვენს გვარს მუდამ ჰქონდა პატივი ამ ხალხის, რადგან ისტორიულად ჩოლოყაშვილები ამ კუთხის მოურავები იყვნენ.

ამ ქვეყანაში ყველაფერი ძველი წესებით იმართება და ხალხის უფროს პირებად ითვლებიან არა მთავრობის მოხელენი, მით უმეტეს რუსები, არამედ გვარის უხუცესნი. ისინი მოვიდნენ და მითხრეს, მზად ვართ რუსებისთვის წინააღმდეგობის გასაწევადო.

სალამოს ხანს, ჩემს თვალებს საუცხოო სურათი გადაეშალა. სოფლის ერთი კოშკიდან ძახილი გაისმა, ეს იყო განგაში. ეს ხმა ატყობინებდა დანარჩენ სოფლებს, რომ ხევსურეთი ომს იწყებდა. დაინთო კოცონები და მახლობელმა სოფლებმა განგაშითვე უპასუხეს. ერთ ღამეში ყოველმა ხევსურმა იცოდა, რომ დილას იარაღით უნდა გამოსულიყო.

ამაზე მეტი არც დრო გვქონდა, რუსის ჯარები, რიცხვით ექვსი ათასი, ფეხდაფეხ მომდევდნენ და ჩემი კაცებისაგან წუთი წუთზე ველოდი მათი ხევსურეთში შემოსვლის ამბავს.

გუდამაყრის მხრიდან თოფი გავარდა. ეს მტრის მოახლოების ნიშანი იყო. მე ცხენი მოვითხოვე და მახლობელ მწვერვალზე დავბანაკდი. ოცი კაცი მაშინვე ორ წყებად გავაგზავნე. ეს ის ადგილია, საიდანაც რუსები უნდა შემოსულიყვნენ.

აქ ჩასულ ჩემს კაცებს სამასი შეიარაღებული ხევსური დახვდა. ამ ადგილის მნიშვნელობა ხევსურებმა კარგად იცოდნენ და თავისით მოსულიყვნენ. მალე ხევსურებმა სხვა შემოსასვლელი ადგილებიც ასე დაამაგრეს და ჩემის მხრივ საერთო ხელმძღვანელობა იყო საჭირო. გაიარა ღამემ და დილაზედ რუსებმა შემოტევა დაიწყეს, ტყვია ბუზუნებდა და ბარბაზანი გრიალებდა. ჩემთან მხოლოდ სამი კაცი იყო. ეს იყო მთელი ჩემი შტაბი, მაგრამ სიმცირე არ იყო ჩემი გასაჭირი.



შეფიცულები და ქაქუცა ჩოლოყაშვილი

ნაბადში გახვეული მიწაზედ ვეგდე და ციება, ასე ხშირი ჩემს პარტიზანულ ყოფაში, შედეგი ჩემი გამუდმებული მიწაზედ წოლისა, სულს მლაფავდა, დამეწყო ღამით და დილაზედ სიცხე მომცა. მოდიოდნენ კაცები, მოჰქონდათ ამბები, მიჰქონდათ ბრძანება, მაგრამ დამიჯერეთ, დღესაც არ ვიცი, რა ბრძანებანი იყვნენ ისინი.

უცბად ერთმა ხევსურმა ცხენი ზედ ნაბადზე მომიგდო.

- რომელია ჩოლოყაშვილი? - დაიძახა მან. კაცებმა ჩემზე მიუთითეს, მან დამხედა და წამოიძახა.

- რა დროს წოლაა, ვაჟაუ, არ გაგიგია, ხევსურეთს მტერი მოადგა?!

მე შევხედე, ჩემ წინ სულ ახალგაზრდა, უწვერულვაშო ხევსური იდგა, მხარზე პატრონაში

ჰქონდა გადაგდებული, ხელში თოფი ეჭირა და უბელო ცხენზე იჯდა. მე ისევ თვალის დახუჭვა მინდოდა იმ იმედით, რომ პასუხს ჩემები გასცემდნენ, რომ მოსულს პატრონაშის ქვეშ ქალის მკერდი დავუნახე.

ასეთი უჩვეულო გარეგნობის სტუმრის მოსვლამ გამომარკვია და წამოვიწიე. ვიდრე მისი უცნაური მოსვლის მიზეზს ვიკითხავდი, მინდოდა ამეხსნა მიზეზი ჩემი წოლისა, რადგანაც მოსული ქალი იყო და მის სიტყვებზედ, ცოტა არ იყოს, თავი უხერხულად ვიგრძენი.

- ავად ვარ, - წავილაპარაკე.
- განა სიკვდილი ავადმყოფს არ შეუძლიან? - ორ წყალში ომია! - მიპასუხა მან.
- ვინ ხარ დისავ?- ვკითხე, როცა დავატყვე, რომ ჩემი სტუმარი ჩვეულებრივ ქალს არ ჰგავდა.
- მზექალას მეძახიან, არაბულის ქალი ვარ! ნათაი, თუ შენ ჩოლოყაშვილი ხარ?
- გახლავარ - რას მიბრძანებ?
- ბრძანება შენი იყო, მე ორ წყალზე მინდა გაგაცილო, ხევსურნი გელოდებიან, ომია, - სთქვა

და თვალეში ჩამაშტერდა.

მივხვდი, რომ ჩემი წაუსვლელიობა არ იქნებოდა. ასე ფიქრობდნენ ალბათ ჩემი ამხანაგებიც. შვესხედით, წავედით. წინ მზექალა მიგვიძლოდა. მე თავბრუ მეხვეოდა, უნაგირზე ძლივს ვიჭედი, მზექალას უბილიკო აღმართებით მივყავდი. ძირს ტყვია ბუზუნებდა, მაგრამ ყურადღებას არ აქცევდა. მაშინ დავინახე, იქნებოდა 18 წლისა, სახე ჰქონდა კუშტი და ეშხიანი, მხრებზე შავი თმა ეყარა.

ჩვენების საფარს რომ მივუახლოვდით, მზექალა უცებ დაგვაცილდა. დაიძახა ჩემი სახელი მთელი ხეობის გასაგონად და მტრისკენ თოფი დაცალა. ბრძოლამ რამდენიმე დღეს გასტანა. რუსები გვიტყვედნენ, ხევსურები უკან ერეკებოდნენ და თითქოს სჯობდნენ კიდევ, მაგრამ მათი არტილერია ჩვენს სოფლებს ბურგზე ბოლს ადენდა.

ამ ხნის განმავლობაში მზექალამ რამდენჯერმე ჩამიქროლა მხრებზე თოფით ხელში, უბელო ცხენზე, მაგრამ ერთხელაც არ შეჩერებულა ჩემთან. უსაქმოდ ერთხელაც არ ყოფილა. ხან ჩვენი სანგრების წინა რიგში იჯდა და მამაკაცებთან ერთად ისროდა, ხან კარგა ხნით სადღაც გაქრებოდა და მოჰყავდა ხალხი, ვინც რაიმე მიზეზით აქამდის ჩვენთან ვერ მოსულიყო. ამ ხნის განმავლობაში ის იყო სროლაშიც და შემოირბინა თითქმის მთელი ხევსურეთი. რუსებს უნდოდათ ჩვენი ხევსურეთში შერეკვა იქ ჩაკეტვა და ტყვედ წაყვანა. გეგმა სწორი იყო, რადგან თუ ხევსურეთში მიგვამწყვდევდნენ, გამოსვლა ძნელი იქნებოდა.

ისინი კიდევ ერთხელ გადმოვიდნენ იერიშზე და ხევსურებს უკან დაახევინეს. მე პატარა ხანში შემოვუარე მათ. რუსები ხევსურებსა და ჩემ შორის მოექცნენ.



ქაქუცა ჩოლოყაშვილი

ამ დღიდან აღარც მზექალა მინახევს. გაიარა ხანმა, ბევრი ადგილი გამოვიცვალე. იძულებული შევიქნენ, დროებით საქართველო დამეტოვებინა. ჩეჩნეთში მიმავალი გზა ისევ ხევსურეთზე მედო. რუსები წასულიყვნენ, დაუნვათ სოფლები და დაეხვრიტათ ხალხი.

დახვრეტილთა შორის ხუთი ქალი ერია. უნდა გვეფიქრა, რომ ამ ხუთ ქალში მზექალაც იქნებოდა, მაგრამ მზექალას ამბავი სულ სხვანაირად მიაიმბეს.

უკან დახვევის დროს ხევსურები მთაში წავიდნენ და პირველი სოფელი, რომელშიაც რუსები შევიდნენ, მზექალასი იყო. ქალები, ბავშვები და მოხუცებულნი აჯანყებულთ გაჰყვნენ. ცარიელ სოფელს რუსებმა ზარბაზანი დაუშინეს. სროლა რომ შეწყდა, სოფელს რუსის სალდათები მოედვნენ და დაიწყეს ძარცვა. ჯარისკაცთა ერთი ჯგუფი მზექალას სახლისკენ გაემართა. სახლიდან ორი ტყვია გამოვარდა და ორი ჯარისკაცი მოკლა. რუსებმა სროლითვე

უპასუხეს. რუსები სახლში შეცვივდნენ, მიწაზე ახალგაზრდა ქალის უსულო გვამი ნაიეს. მოკლული მზექალა იყო! როცა სოფელი ხალხისგან დაიწალა, ის მაინც თავის სახლში დარჩენილიყო და ფიცი დაედვა, თავის კარზე რუსი არ გაეტარებინა.

მზექალამ სიტყვა შეასრულა და რუსები მხოლოდ მისი სიკვდილის შემდეგ შევიდნენ მის სახლში.

ტყვია მკერდში მოხვედროდა...

თოფი ხელში ჩარჩენოდა...

თავზე უბელო ცხენი ედგა"...

(თანამედროვე დროში ამის შესახებ ცნობილი ქართველი მწერალი და პუბლიცისტი გურამ შარაძე წერდა. )

### ფარი ხანუმ სოფიევა - 1918 წელს საქართველოში, თბილისის მაზრის თვითმმართველობაში დემოკრატიულად არჩეული პირველი ქალი

ფარისან (ფარი ხანუმ) სოფიევა - თბილისის მაზრის ერობის ნევრი ყარაჯალადან, პირველი არჩეული მუსლიმი ქალი დეპუტატი მსოფლიოში.


1918 წლის 26 მაისს, საქართველომ დამოუკიდებლობა გამოაცხადა და ქვეყანაში პირველი დემოკრატიული არჩევნები ჩატარდა. ამ დროს, ტიფლისის გუბერნიის ყარაჯალის ოლქიდან, ფარისან სოფიევამ ყველა დანარჩენ კანდიდატს აჯობა და არჩევნები მოიგო.

ჯერ კიდევ XX საუკუნის დასაწყისში, როცა საქართველოში, სოფელ ყარაჯალაში, კაცები ცეცხლთან მიმჭდარი ცხელ ჩაის მიირთმევდნენ, ხოლო ქალები მხოლოდ საშინაო საქმეებით იყვნენ დაკავებული, ფარი-ხანუმ სოფიევამ მსოფლიო ისტორიაში თავისი წილი კვალი დატოვა და გახდა არჩევნებში გამარჯვებული პირველი მუსლიმი ქალი.

ფარი ხანუმის შესახებ ინფორმაცია მეტად მწირია. მისი ერთადერთი ფოტოც საფლავის ქვაზეა შემორჩენილი, რომელსაც ამშვენებს წარწერა: „1918 წელს საქართველოში, თბილისის მაზრის თვითმმართველობაში დემოკრატიულად არჩეული პირველი მუსლიმი, ეთნიკურად აზერბაიჯანელი ქალი“. როგორც სოფლის უხუცესები იხსენებენ, ფარი-ხანუმი სოფელში, ქორწილებში და გასვენებებში მოლასავით ყურანს კითხულობდა და შემოწირულობებს აგროვებდა. მას ხშირად იწვევდნენ დავებში შუამავლად, ეკითხვოდნენ რჩევებს, სოფლის უხუცესები კი მის სიტყვას ემორჩილებოდნენ. „ძალიან მამაცი იყო და განსხვავებული ხასიათი ჰქონდა. თუთუნს ეწეოდა, კაცების ყრილობაზეც კი დომინანტი ფიგურა თავად იყო. სოფელში დიდი პატივისცემით სარგებლობდა, ისე კი, მუდამ თან დაჰქონდა თავისი გერმანული რევოლვერი.“ დამფუძნებელი კრების დეპუტატი ქრისტინე (ჩიტო) შარაძიძე წერდა: „ფარი ხანუმ სოფიევა - მუსლიმი ქალი ყარაჯალადან უპარტიოდ იყრიდა კენჭს და დეპუტატად აურჩევიათ.... ჯერ მსოფლიოს ისტორიაში ასეთი შემთხვევა არ ყოფილა, რომ მუსლიმი ქალი კანონმდებელთა რიგებში აღმოჩენილიყო! ეჭვგარეშეა, რომ წლების შემდეგ, საქართველო იამაყებს ამ საქმეში პირველი მერცხლობით!“

P. S. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის, 1919-1920 წლების საკანონმდებლო ორგანოში რომ ხუთი დეპუტატი ქალი გვყავდა, ეს კიდევ ცალკე თემაა - ქრისტინე შარაძიძე, მინადორა ტოროშელიძე, ანა სოლოღაშვილი, ელენორა ტერ-ფარსეგოვა მახვილაძე და ელისაბედ ნაკაშიძე-ბოლქვაძე.

ამაშია საქმე და ვიამაყოთ! იქნება ევროპარლამენტსაც მიაწვდინოთ ხმა, თორემ მაგათ ეგ ამბავი ასიანი არ ეცოდინებათ!



## საქართველოს რესპუბლიკის გმირი ლალი მაისურაძე

საქართველოს სამტროდ ნასროლმა ტყვიამ ბევრი ქართველის ქალის გულში გაიარა.

ერთ-ერთი, მათგანი ქალბატონი ლალი მაისურაძე იყო, საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ბატონ ზვიად გამსახურდიას პირადი მდივანი, მისი უერთგულესი თანამებრძოლი.

როგორც ცნობილია, ქალბატონი ლალი მაისურაძე, რომელიც იმ პერიოდში, საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის მიერ სპეციალური სახელმწიფო მნიშვნელობის დავალებით მივლინებული იყო დასავლეთ საქართველოში, სადაც ვერაგულად იქნა მოკლული ხუნტისა და ქვეყნის მოღალატეთა მიერ.

„1991 წლის ივლისში, მიწისძვრით დაზარალებული რაიონები მოვიარეთ პრეზიდენტის დავალებით. ზემო რაჭაში, სოფლის სასაფლაოზე ლალის მამიდაშვილის საფლავი მოვინახულეთ, ულამაზეს ადგილზე, შუაგულ ტყეში. იქვე წმიდა გიორგის სახელობის პანია ეკლესიაა ხმანკრიალა ზარით.

გულმხურვალედ ვილოცეთ.

თვალცრემლიანმა მითხრა: - მე რომ მოვკვდები, აქ დამასაფლავეთ.

- რა დროს შენი სიკვდილია-მეთქი, ვუსაყვედურე.

მაშინ გამიძხილა: ჯაბა და კიტოვანი მემუქრებიან, მე კი მაგათ ცოცხალი არ ჩავბარდები, უმალ თავს მოვიკლავო.

აკი, აუხდა კიდევაც წინათგრძობა: „სამეგრელოს ამღებმა ვაჟკაცებმა“ წალენჯიხაში დაცხრილეს იგი 1992 წლის 6 აპრილს.

წედისის სასაფლაოზე განისვენებს მისი ტანჯული სხეული, სული კი, მწამს, ზეციური საქართველოდან ლოცულობს მძიმე განსაცდელში ჩავარდნილი სამშობლოსათვის. (ნ. კიკნაძე)

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის დადგენილებით (№280118/2), 1991-1993 წლების სახელმწიფო გადატრიალებისას, საომარ სიტუაციაში სამშობლოსათვის თავდადებული მამაცობისათვის და თავგანწირვისათვის, საქართველოს გმირის წოდება მიენიჭა და „საქართველოს გმირის ორდენით“ დაჯილდოვდა (დალუპვის შემდეგ), საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის - ბატონ ზვიად გამსახურდიას პირადი მდივანი და უერთგულესი თანამებრძოლი, „საქართველოს ჰელსინკის კავშირი - ეროვნული აღორძინების“ მდივანი - ქალბატონი ლალი მაისურაძე.


ამავე წელსვე „საქართველოს ჰელსინკის კავშირი - ეროვნული აღორძინების“ პრეზიდუმისა და კავშირის რაჭის რეგიონალური ორგანიზაციის წევრებმა სოფელ წედისში მოინახულეს იმ დროიდან დარბეული და სრულიად დანგრეული საქართველოს გმირის, ქალბატონი ლალი მაისურაძის სახლი და კარ-მიდამო, ხოლო შემდგომ სოფლის სასაფლაოზე მისი საფლავი, სადაც დადგეს მემორიალური დაფა შესაბამისი წარწერით.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის, „საქართველოს ჰელსინკის კავშირი - ეროვნული აღორძინებისა“ და თანამებრძოლთა სახელით ლოცვებით მოიხსენიეს და პატივი მიაგეს საქართველოს გმირის, ქალბატონი ლალი მაისურაძის ხსოვნას!





# ახალგაზრდული პოლიტიკა და ახალგაზრდები პოლიტიკაში



## გიორგი სიხარულიძე

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის  
სამართლისა და სახელმწიფო მმართველობის  
სკოლის სტუდენტი

ახალგაზრდები საქართველოს მოსახლეობის (3 723.5 მილიონი) 25,7%-ს შეადგენენ, ე. ი. მოსახლეობის მეოთხედს. შესაბამისად, მათს მონაწილეობას საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში, განსაკუთრებით კი გადაწყვეტილებების მიღების პროცესში, სათანადო მნიშვნელობა უნდა ენიჭებოდეს.

ახალგაზრდების მხარდაჭერისა და განვითარების ხელშეწყობის მიზნით სხვადასხვა დროს მთავრობის მიერ დამტკიცებულია „სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკის დოკუმენტი“, შექმნილია და ფუნქციონირებს ახალგაზრდობის სააგენტო, მუნიციპალიტეტების მერიებში შექმნილია „ახალგაზრდული მრჩეველთა საბჭოები“, მიღებული და დამტკიცებულია 2020–2030 წლებისთვის „საქართველოს ახალგაზრდული პოლიტიკის კონცეფცია“ რომლის ძირითადი სლოგანია „ახალგაზრდებისთვის, ახალგაზრდებთან ერთად და ახალგაზრდების მიერ“, თუმცა, რეალობა მკვეთრად განსხვავდება დეკლარირებული მიდგომებისგან. მართლაც რომ ვთქვათ, დღეს ახალგაზრდების ხმა არსად ისმის. ხშირ შემთხვევაში სამთავრობო და უწყებრივ საკონსულტაციო შეხვედრებში ახალგაზრდების მონაწილეობას ფორმალური და სპორადული ხასიათი აქვს, ხოლო არასამთავრობო ორგანიზაციებისა და სხვა დონორული მხარდაჭერით ჩატარებულ აქტივობებში ერთი და იგივე ჯგუფი მონაწილეობს. კიდევ უფრო მძიმეა მდგომარეობა რეგიონებში.

ახალგაზრდობას, როგორც ძალას, ყველა სექტორი ერთნაირად აღიარებს და განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს მის მონაწილეობას ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებასა თუ კერძო ორგანიზაციულ საქმიანობაში. საქართველოში თითქმის ყველა პარტიას ყავს კიდევ ახალგაზრდული ფრთა, რაც იმის მანიშნებელი უნდა იყოს, რომ ახალგაზრდები აქტიურად მონაწილეობენ პოლიტიკურ პროცესებში, თუმცა, დღეისათვის ახალგაზრდები რეალურად, ან საერთოდ არ არიან პოლიტიკით დაინტერესებულები ანდა აქტიურობისა და ზეგავლენის ყველაზე მისაღებ ფორმად არჩევნებში მონაწილეობას მიიჩნევენ. ის, რაც რეალურ ყოფაში ერთი შეხედვითაც ცხადი და შესამჩნევია, დასტურდება ეროვნულ დონეზე ჩატარებული კვლევებითაც, ასე მაგალითად: ახალგაზრდობის საჭიროებების, გამოწვევების, ინტერესებისა და რესურსების კვლევაში (ახალგაზრდობის სააგენტო, 2020 წ.) მითითებულია, რომ საქართველოს მართლმადიდებლურ ეკლესიას ენდობა ახალგაზრდების 29%, საქართველოს ჯარს -24%, მთავრობას -23%, საერთაშორისო ორგანიზაციებს -22%, სხვა დანარჩენი პოლიტიკური, თუ საჯარო ინსტიტუტების მიმართ ნდობის ხარისხი კი საკმაოდ დაბალია. სხვა კვლევების ფარგლებში (ხელმისაწვდომია ღია წყაროებით)



გამოკითხული ახალგაზრდების 46% ამბობს, რომ ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკური პროცესებით არ არის, ან საერთოდ არ არის დაინტერესებული. ნახევარზე ნაკლები (45%) ამბობს, რომ დაინტერესებულია, ხოლო 8%-ს კითხვაზე პასუხის გაცემა უჭირს. სამოქალაქო ჩართულობის მიმართულებით აქტიური, ან მეტ-ნაკლებად აქტიური ახალგაზრდების მესამედზე მეტი (37%) ამბობს, რომ მიიღო მონაწილეობა სოციალურ ქსელში გამართულ აქტივობებსა და ფორუმებში, მხოლოდ 13% აცხადებს, რომ მიიღო მონაწილეობა საპროტესტო დემონსტრაციებში, ხოლო 13%-მა ხელი მოაწერა პეტიციას.

ჩვენს ქვეყანაში არსებულ პოლიტიკურ ნიჰილიზმს (განსაკუთრებით კი ახალგაზრდებში) თავისი გამოწვევი მიზეზები აქვს. გავრცელებულ ზოგად შეფასებას „პოლიტიკა ბინძური საქმეა“ თავი რომ დავანებოთ, ფაქტია, რომ პოლიტიკური სუბიექტები (განსაკუთრებით კი არჩევნების პერიოდში) ახალგაზრდულ რესურსს ძირითად „შავი საქმეების“ საკეთებლად იყენებენ, ახალგაზრდები კი პარტიებში უფრო ხშირად წევრიანდებიან, ან თანამშრომლობენ არა იდეოლოგიის, შეხედულებებისა და მისწრაფებების თანახმად, არამედ გარკვეული პრივილეგიების მიღების, კარიერულ წინსვლაში ხელშეწყობისა და სხვა რესურსებზე წვდომის გაადვილების მოტივით.

იმედგაცრუება, ხანგრძლივი პერიოდით დაყოვნებული შედეგი, პერსპექტივის ბუნდოვანება, ნეპოტიზტური მიდგომით წახალისება და სხვა ამგვარი სირთულეები კი იწვევს სამოქალაქო და პოლიტიკური ცხოვრებისგან სრულად დისტანცირებას. აქვე აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ ახალგაზრდებს იმ შემთხვევაშიც კი, როცა პოლიტიკურ აქტივობაში მონაწილეობის სურვილი და მზაობა გააჩნიათ ან ინტელექტუალური და ადამიანური რესურსი საიმისოდ, რომ თავად იყვნენ ორგანიზატორები, მაინც განზე დგებიან, რადგან არ სურთ რომელიმე პარტიასთან თავიანთი სახელის დაკავშირება. თუმცა, არის საკითხები, რის მიმართაც ახალგაზრდები არასდროს არიან გულგრილნი და ყველაფრის მიუხედავად ღიად აფიქსირებენ პოზიციას, მათ შორის, მართავენ საპროტესტო აქციებს. ეს არის ოკუპაციისა და ევრო-ატლანტიკურ სივრცეში ჩვენი ქვეყნის ინტეგრირების საკითხი.

ზემოსხენებულ და სხვა არაერთ პრობლემასთან ერთად, რაც იწვევს ახალგაზრდების პოლიტიკურ პროცესებში ჩართვას, ან მისგან დისტანცირებას, არც თუ უმნიშვნელო როლი აკისრიათ ლიდერებს (მათ უნარებს, შემართებას, უკომპრომისობას, „პოლიტიკაში ყოფნის მოტივებს“, იდეოლოგიურ სიმყარეს და სხვა).

მაგალითად შარლ დე გოლი იბრძოდა ნაციისტური ოკუპაციისგან საფრანგეთის გათავისფლებისათვის რამაც ის გმირად აქცია, ხოლო შემდგომ პერიოდში ქვეყნის განვითარებისთვის, ფრანგული ენისა და კულტურის უპირატესობის აღიარებისთვის მისი საქმიანობა საყოველთაო აღფრთოვანებას იწვევდა და იგი ყველა დროის უდიდეს ფრანგ მოღვაწეებს შორის სახელდება.

საქართველოს პირველი პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია უკომპრომისოდ იბრძოდა ქვეყნის დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისთვის, ის შეენირა ამ ბრძოლას, საბჭოთა რეჟიმმა მოახერხა მის მიმართ საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფებში დამახინჯებული განწყობებისა და დამოკიდებულებების ჩამოყალიბება, მაგრამ მისი ისტორიული როლი ვერ დააკნინა. ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა, სახელმწიფოებრიონის აღდგენა და ქვეყნის დამოუკიდებლობა არის და ყოველთვის იქნება ზვიად გამსახურდიას სახელთან დაკავშირებული. იმ ლიდერთან, რომელსაც ენდობოდა მისი თანამედროვე ახალგაზრდობა, სჯეროდა და უპირობოდ მიჰყვებოდა.

დღეს ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ ლიდერებისა და პოლიტიკური ელიტისთვის მთავარი და აღმატებულად მნიშვნელოვანი ხელისუფლების მოპოვება-შენარჩუნების საკითხია და მათი მოქმედება-უმოქმედობაც ამ პრაგმატული გათვლის ჩარჩოშია მოქცეული. ახალგაზრდებს შესაძლოა არ ჰქონდეთ საკმარისი პოლიტიკური ალლო და სიმწიფე, მაგრამ მათს ცხოვრებაზე პოლიტიკის გავლენის შესაფასების უნარი კი ნამდვილად გააჩნია. იმისათვის, რომ შეიცვალოს პოლიტიკის მიმართ ახალგაზრდების დამოკიდებულება, ვფიქრობ პოლიტიკოსებმა, პარტიებმა და სხვა აქტორებმა ახალგაზრდობის პრობლემების მიმართ დეკლარირებული და „პროგრამული“ ინტერესი უნდა შეცვალონ ღია ურთიერთობებითა და რეალური მხარდაჭერით, რაც მთავარია, უნდა შეძლონ მათი აზრის გათვალისწინება და ნდობის დაბრუნება. სხვაგვარად ერში, მით უფრო ახალგაზრდებში ვერ ჩამოყალიბდება ის რწმენა და ოპტიმიზმი, რაც საქვეყნო საქმის კეთებისთვის უბიძგებს.



## ნინო რამსაძე

„საქართველოს ჰელსინკის კავშირი -  
ეროვნული ალორძინების“ იურიდიული  
და ადამიანის უფლებების დაცვის  
დეპარტამენტების წევრი

არასამთავრობო ორგანიზაცია  
„ღირსება = თავისუფლება“  
თავმჯდომარე

### მთავარი პრინციპული მოსაზრება

ქვეყანაში შექმნილი ვითარება კრიტიკულ ზღვარს გადასცდა. საქართველოსთვის ამ ავბედით ეტაპზე ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის საყოველთაოდ დაწყება ქვეყანას ისე სჭირდება, როგორც არასდროს.

საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მოღვაწეობის ისტორიულობა და მისი ეგზისტენციალური დრო არ შეწყვეტილა. იგი გაგრძელდება მანამდე, სანამ საქართველო არ განმტკიცდება თავის თავისუფლებაში ყველა — პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და გეოპოლიტიკური ასპექტით. შესაბამისად უწყვეტია მისი ისტორიულ-თემატური დრო და ამ დროში მის მიერ დატოვებული კვალიც, რომელიც მომავალშიც გაგრძელდება.

აი, სწორედ ამისთვის აღდგა და ჩამოყალიბდა საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა, მიღებულ იქნა და გამოქვეყნდა მისი მანიფესტი, მემორანდუმი, ქართია, დეკლარაცია, მიმართვები და განცხადებები, რომელთა საშუალებით არაერთხელ განცხადებულა, რომ უმნიშვნელოვანესია საქართველოში ლეგიტიმურობის აღდგენის, ეროვნული ხელისუფლებისა და საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ურთიერთდამოკიდებულების შესახებ საკითხები. აქედან გამომდინარე კი, საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის დღევანდელ ერთ-ერთ მიზანს, ეროვნულად მოაზროვნე ძალების გადარჩენა, კონსოლიდაცია და საქართველოს გადარსაჩენად დარამბვა წარმოადგენს.

ასევე უნდა გვახსოვდეს, რომ „ლეგიტიმაციის აღდგენის გარეშე ქართული სახელმწიფოს გადარჩენა და ალორძინება შეუძლებელია, რამეთუ, ხელისუფლება“ ნიშნავს ლეგიტიმურ ხელისუფლებას, კანონიერ ხელისუფლებას და არა უკანონო, ყაჩაღურ, უზურპატორულ ხელისუფლებას, რომელიც ეშმაკისაგან არის და არა ღვთისაგან“ (ზვიად გამსახურდია).

ასევე, საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მიზანია დაამკვიდროს ქვეყანაში მშვიდობა, ურთიერთგაგება, სინანულის, მონანიებისა და მიტევების გზით ხელი შევუწყოს ეროვნული თანხმობისა და შერიგების პროცესს. ასეთ ვითარებაში, ყურადღება კიდევ ერთხელ გასამახვილებელია ქართული ეროვნული იდეოლოგიისა და ეროვნული მოძრაობის, ეროვნული ცნობიერების დაცვის, აპოლოგიის აუცილებლობაზე და მათ მჭიდროდ უნდა ითანამშრომლონ ამ მიმართულებით საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის საკოორდინაციო საბჭოსთან.

ამავე დროს -- საჯაროდ უნდა ვაღიაროთ, რომ იმათი შესაძლო უმეტესობა -- ვინც 1990-1991 წლებში ქართველმა ერმა ეროვნულობის დაცვის მიზნით სახელმწიფოს სამართლებრივი სადავებისა და ორგანიზაციული სისტემით სამართავად აირჩია და დანიშნა (საკანონმდებლო, აღმასრულებელსა, თუ სასამართლო სფეროებში) -- საკუთარ მოვალეობებს გაემიჯნენ, ხალხის

არჩევანს უღალატეს, თითო თითზე არ აკარებენ, რათა ეროვნულობის წინააღმდეგ ქართველი ერის მტრის გააფთრებული თავდასმებს შეეპასუხონ, დაიცვან ეროვნული იდეალები -- მეტიც, ძალზე ხშირ შემთხვევაში, ეს „ხალხის რჩეულები“ შეერწყნენ, შეეთვისენ ანტიეროვნულ-გლობალისტურ-კომპრადორულ რეჟიმს და მასთან აქტიურად თანამშრომლობენ \_ კოლაბორანტობენ.

მიგვაჩინია, რომ მათი ყველანაირი გაერთიანებები, პოლიტიკური პარტიები და სხვა მსგავსი ერთობები, რომლებიც საქართველოს პოლიტიკურ ნაწილს ეხება და კანონიერ ეროვნულ ხელისუფლებას არ ცნობს, თავისთავად ამითი თვით უკანონობას ამტკიცებს, ხოლო თუ სცნობს, მაშინ მასთან უნდა შეათანხმოს საქართველოს რესპუბლიკის საშინაო და საგარეო პოლიტიკური გეზი. ისინი საქართველოს ანტიეროვნულ-გლობალისტურ-კომპრადორულ რეჟიმთან ბრძოლის ნაცვლად პირადი ამბიციების, საჭიროებებისა და პირადი ეკონომიკურ-სამეურნეო ინტერესების მოგვარებით არიან უპირატესად დასაქმებულები.

იმათ შორის კი დიდი უმეტესობაც, ვინც თვალთმაქცურად ვითომ იცავს ეროვნულ იდეალებს, შეფარული მტრები, შემრყვნელები და გამყალბებლებია. ისინი ცდილობენ დააშორონ ერთმანეთს, გამიჯნონ ეროვნულობის შემადგენელი ცნებები, ეროვნულობას ჩამოაშორონ სარწმუნოებრივი შემადგენელი, სავსებით უგულვლელ მოდგმითი, გენეტიკური შემადგენელი და ეროვნულობა მხოლოდ კულტურის თვისებად წარმოაჩინონ.

ზოგ მათგანს შესაძლოა თავი ბედნიერიც კი ჰგონია ფაქტობრივი ხელისუფლებისა, თუ ე. წ. ვითომ ოპოზიციური ძალთა წყალობით მატერიალური კეთილდღეობის ფონზე და კმაყოფილებასაც ვერ მალავს. დღენიადაგ ზრუნავენ მათ გაკეთილშობილებაზე და სამართალს დამპყრობელთა სამეფო კარზე ეძიებენ, ქართველი ერი კი დავინწყებიათ, თუმცა სიტყვებით კანონიერებასა და სამართალს ახსენებენ ხოლმე.

ამუამად, ხომ, საქართველოში განმსაზღვრელია კომპრადორიატის უცხოურზე ორიენტირებული და მომართული ინტერესები და არა საქართველოს შინაგანი, ღვიძლი ინტერესები გამომდინარე შედეგებით.

პარადოქსია, როცა დე-ფაქტო ხელისუფლებამ, ზემოთხსენებული დადგენილებით, უზენაესი საბჭოს ლეგიტიმურობა 5 წლით განსაზღვრა, ხოლო მისმა წევრებმა, ამ განცხადებით, საკუთარი ლეგიტიმურობა შეიკვეცეს 1991 წლის ბოლომდე. ე. ი. გამოდის, რომ სამხედრო პუტჩის შემდეგ „არჩეული“ ედუარდ შევარდნაძის პარლამენტი ლეგიტიმური ყოფილა და არავითარ ორხელისუფლებიანობას არ ჰქონია ადგილი საქართველოში! არც კანონიერება არ აღმდგარა დასავლეთ საქართველოში 1993 წელს და საერთოდ, თუ ხვდებიან ისინი, ვინც ამას მოაწერეს ხელი, მაშინ რას შეეწირა საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი და ათასობით კანონიერი ხელისუფლების დამცველი?!

გარკვეული, თუ გაურკვეველი მიზეზებით, კანონიერ ხელისუფლებას ჩამოშორებული წევრები, რომელთაც ცხოვრების მიზნად აირჩიეს მედროვეობა და კოლაბორაციონიზმი, არ არიან ღირსნი თავიანთი ყოფილი სტატუსებისა და საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში ყოფნისა. გამოდის, რომ საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ის წარმომადგენლები, რომლებიც კანონიერების აღდგენას არ მოითხოვენ, თავის თავს ამ მოძრაობის გარეთ აყენებენ!

თუ ვინმეს ნამდვილი სინანული და მონანიება სურს კეთილი ინებოს და უწინარეს ყოვლისა საჯაროდ მისცეს აღსარება ქართველ ერს, ვისგან ფინანსდებოდნენ და იღებდნენ სხვადასხვაგვარ დახმარებას ფაქტობრივი ხელისუფლებისაგან. მხოლოდ ამის შემდგომ გახდება შესაძლებელი მათ სანდლობაზე საუბარი და, თუ ვინმეს მართლა გააჩნია პრეტენზია ეროვნულობაზე დიდი სიამოვნებით დავიყენებთ გვერდით.

საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ეროვნულმა ინსტიტუციებმა, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრებმა, მინისტრთა კაბინეტმა და უზენაესმა სასამართლომ, ასევე კანონიერი ხელისუფლების ყველა განშტოებებმა, პრესისა და მასმედიის საშუალებებმა, ორგანიზაციულად, შესაბამისი დადგენილებებითა და გადაწყვეტილებებით უნდა გამოხატონ თავიანთი ნება და მზადყოფნა თავიანთი უფლება-მოსილებისა და საქმიანობის გაგრძელების შესახებ, რომელიც სხვა მნიშვნელოვან პრობლემათა შორის განსაზღვრავს უპირველესი პრობლემის გადაჭრას: საქართველოს სახელმწიფოებრივი კანონიერების, სამართალმემკვიდრეობის, ლეგიტიმურობის, ტერიტორიული მთლიანობის სამართლებრივი, კანონიერი და რეალური საფუძველის აღდგენა-მოწესრიგებას.

მოვუხმთ ყველა ჭეშმარიტ მამულიშვილს, რათა მოხდეს ყველა \_ ადამიანური, ორგანიზაციული, საინფორმაციო, ფინანსური და სხვა რესურსების გაერთიანება, არჩეულ იქნეს მიზანმიმართული, შეურიგებელი და თავგანწირული პოლიტიკური ბრძოლის ფორმები და მექანიზმები, რათა ერთად ვიხსნათ სამშობლო.

# დენიზა სუმბაძე



ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის არეოპაგიტული სამეცნიერო ცენტრისა და ამავე ცენტრის თეორიულ ბაზაზე ნიუ იორკის ბიბლიის შემსწავლელი ქართველოლოგიური ცენტრის: „ბიბლია და საქართველოს“ დამფუძნებელი და ხელმძღვანელი.

საზოგადოებრივი გაერთიანება „თბილისის უნივერსიტეტის ასამბლეის“ „ეროვნული პრობლემების ანალიტიკური დარბაზის“ და თეოლოგიურ-პოლიტიკური მოძრაობის - „ერის უფლებისა და ღირსების“ დამფუძნებელი, ხელმძღვანელი და თეორიულ-ინტელექტუალური ლიდერი, ფილოსოფიის დოქტორი, პროფესორი

**საქართველოში უნდა აღსდგეს ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო !  
(მანიფესტი)**

**ანუ,**

**(ღია წერილი ჩემს მშობლიურ ქართველ ხალხს)**

საქართველოში, ა დ გ ი ლ ი ს დ ე დ ი ს ე ვ ე ყ ა ნ ა შ ი,  
საქართველოში, დედადვთაბაა ქ ა ლ დ ე ს მ ო დ გ მ ი ს სა მ შ ო ბ ლ ო შ ი,  
ამად ჰქვიათ ქორწილებში: კაცს - მეფე და ქალს - დედოფალი,  
საქართველოში, საქართველოში !

ყველა ქალი დედოფალია

და ყველა კაცი, თუ ის ნამდვილი ქართველია,

მეფედ არის დაბადებული !

ჰოდა იმისთვის, რომ დედამინას,

და მთელ მის მოდგმას აბრწყინებდეს

მშვენება და სიამაყე ქართველი ერით,

საქართველოში უნდა აღსდგეს

საქართველოს სამეფო მთელი:

თათ-კლარჯეთით, შიდა ქართლით და აფხაზეთით,

უნდა აღსდგეს ქართველთ სამეფოს

სილაბაზე, მწველი და ძნელი,

უნდა აღსდგეს საქართველო, კავკასიონის ბალავნებით,

კავკასიის სული და გული!

უნდა აღსდგეს საქართველო - სამეფო ჩვენი!

სიკეთისა და სიყვარულის ძალის მთესველი;  
 სამეფო ჩვენი, ერთმანეთის სიხარულით ცადამგვდენელი,  
 შუამდინარულ - კავკასიური ეგვიპტის ჩვენი,  
 სამეფო ჩვენი, დიდზე-დიდი ბრიტოლ ხანძთელის -  
 იესო ქრისტეს სიღიადის დიდგბალობელის,  
 თავშენირული მაძიებლის და მებრძოლის  
 ლოცვის ცეცხლით, არაბთაგან გაუქმებულის,  
 საქართველოს სამეფო ტახტის,  
 მისი დიდების, წირვა-ლოცვით აღმადგენელის.  
 უნდა აღდგეს საქართველო საქართველოში,  
 აღმაშენებელ დავითისა და დიადი ჩვენი თამარის .  
 უნდა მღერდეს ჩვენ გულეებში დიდი წარსულის  
 დროშა ჩვენი: გორგასლიან-დავითიან-თამარიანი!  
 უნდა აღსდგეს საქართველო - მოძღვართ-მოძღვრების:  
 კეთრე იბერის და გელათელი დიდი კეთრინის,  
 მ თ ა ნ მ ი ნ დ ე ლ ი დ ი დ ი მ ა მ ე ბ ი ს !  
 უნდა აღსდგეს საქართველო,  
 ჭ ვ ა რ ც მ უ ლ ი ს ა და ს ა დ მ რ თ ე რ ი ს -  
 საკუთარი უფალივით ჭ ვ ა რ ც მ უ ლ ი ს ა და ა ხ ა ლ ი ს ა დ მ რ თ ე რ ი ს !  
 სამეფო ჩვენი, კ ა ც თ ბ რ ი თ ბ ი ს ს ი ყ ვ ა რ უ ლ ი ს !  
 საქართველოში უნდა აღსდგეს საქართველო,  
 სიყვარულით და სიდარბაისლით აღმათეხული,  
 კაცობრიობის სიყვარულით განათეხული,  
 ეგვიპტიანების ყველა ხალხის,, სიყვარულით მანათობელი!  
 უნდა აღსდგეს საქართველო საქართველოში!  
 და ველურებად გამოცხადდნენ ეს ახალი ჯალღედინები,  
 ქრისტეიანთა თავისმკვეთლები,  
 და დედამინის დაკყრობაზე მეოცნებენი:  
 სოროსები და ბგეშინსკები!  
 ჯალღედინთა მთელი ლაშქრების დამნესებელი,  
 პირველ რიგში ქართველი ერის გაქრობაზე .....

შემდეგ კი მთელი კაცობრიობის ამოწყვეტაზე მეოცნებენი...  
 რადგან თქმულა რომ : საქართველოდან ამოდისო მზე სიყვარულის!  
 რადგან თვით ქრისტე ქალღმური სიბრძნით მეფეველი  
 იუღველთა ხსნად და რისხვად თავსდათეხილი  
 წარმოგზავნილი უფლის მიერ მოგვთა ხარებით...  
 და საქართველოს გარდამსახველი იდუმალ ეგვიპტად,  
 კაცობრიობის საიდუმლოთა თვითმფლობელად და თვითმკყრობელად...



საქართველოში, დედა ღვთაება ქალდეს მოდგმის სამშობლოში,  
 საქართველოში... ყველა ქალი დედოფალია,  
 და ყველა კაცი, თუ ის ნამდვილი ქართველია,  
 თამადად და მეფედ არის დაბადებული!  
 საქართველოში ყველა სახლი ღვთის სახლია,  
 დედა ღვთისმშობლის მფარველობით განათებული!  
 საქართველოში უნდა აღსდგეს საქართველო!  
 დრო-სივრცეში განმრთელებული,,  
 კეძრე იბერის დიდი მოძღვრებით,  
 კაცობრიობის განმადრთობელი,  
 თავთავის წილით, მთერ-მოყვრების  
 სიყვარულით ამღვრებელი,  
 უნდა აღსდგეს საქართველო მთელი სისრულით,  
 და ქვეყნად ყველას, ვისაც სჭირდება ჩვენი გულის მზე,  
 გაუღოს კარი და დაენათოს,  
 დაენათოს ჩვენი ძალით,  
 უნაპირო აღერსისა და გულ-ალაღი მასპინძლობის...  
 სადაც სჭირდებათ, ვისაც სჭირდება, უნდა ვასწავლოთ,  
 უნდა ვასწავლოთ კაცობრიობას,  
 სიყვარული კაცობრიობის,  
 როგორც მოძღვრება ქართველი ერის,  
 როგორც მოძღვრება მამა-კაკათა დანაბარები,  
 ძნელად სასწავლო უწმინდესი მოძღვრება ჩვენი,  
 უნდა ვასწავლოთ მასპინძლობა  
 წუთისთფლის ლაღი სთუმრობის,  
 უნდა ვაჩვენოთ მოკრძალება უფლის მიმართ,  
 მადლიერება ყოველი წუთის,  
 უნდა ვაჩვენოთ მადლიერება ყოველი წუთის,  
 უფლისაგან წარმოგზავნილის,  
 და გაფრთხილება იმ დედამინის,  
 რომელის ღმერთმა- შემოქმედმა, სამძალოვანმა,  
 შემვიქმნა ხაღებს საკუთარ თავის,,  
 შემვიქმნა ხაღებს...კაცთა მოდგმის....  
 უნდა ვასწავლოთ კაცობრიობას  
 ქალღვრულთ სიბრძნე სამარადჟამოთ,  
 რომ დედამინა კაცობრიობის სიცოცხლისთვის არის შექმნილი,  
 ადამიანი - ხაღად ღვთისად...

უნდა გვახსოვდეს, უნდა გვახსოვდეს  
ქალღმერთ თქმული ძველი სიბრძნე ღვთივკურთხეული,  
რომ ხატად ღვთისად, ხატად ღვთისად დავიარებით დედამიწაზე,  
კაცობრიობით აღვსავთ მადლით და კურთხევით...

უნდა ვასწავლოთ „ქრისტეს ვერმიწვდარს“,  
კაცობრიობის ბარკვეულ ნაწილს,  
ადამიანის მოვლინების ფასი და ძალი,  
უნდა ვასწავლოთ, უნდა ვასწავლოთ  
თვით დედამიწის ფასი და მადლი,  
უსასრულობის მხეობა და ვარსკვლავებზე აღმათებულის,  
უნდა ვასწავლოთ გაფრთხილება, დედამიწის  
ყოველი ერთი ადამიანის,  
ხატად ღვთისად დაბადებულის,  
ვით მოძღვრება,  
ვით მოძღვრება მოკრძალების მაღალ ღმრთისადმი....

უნდა ავკრძალოთ დედამიწაზე  
მსხვერპა ხატების - როგორც ვნება,  
ახალი ვნება, ბიზანტიაში ხატიმებრძოლი  
სარანტყაბების,...  
ჩვენ არ დავწყვლით, ვილოცებთ მათთვის,  
ვინც ვირუსი შემოგვისია,  
ვინც საქართველოს,  
ჯალაღმერთის თავმოკვეთილი ასიათასი თბილისელის  
დიდ სამშობლოს, ქრისტესთვის ჯვარცმულს,  
ღვთისმშობლის კალთაგადაფარებულს და დიად წარსულს,  
ვირუსების შემოსევა აკადრა ხვედრად,  
ვინც საქართველოს, ქრისტესთვის ჯვარცმულს,  
რუსთველისა და თამარის საქართველოს  
ხალხთშემცირება მიუსაჯა,  
ვერაგულად და უსირცხვილოდ....

.....  
უნდა ნავიდეო ფავლებების მთებში,  
გავაცოცხლოთ უნდა მიწდია,  
და სიბრძნით მისით,  
ვაჟ ა-ფავველას მიწაგნებით,  
კაცთსიძულვილის მიუგნები და მისაგნები  
სამკურნალო ბალახები უნდა ვიპოვოთ...

შეუძლებელი უნდა შევძლოთ,  
და კაცნი იბი ავადობით შევყრობილნი  
უნდა განვკურნოთ... უნდა ვუშველოთ...  
სიყვარული უნდა ვასწავლოთ...  
საქართველოში უნდა აღსდგეს საქართველო!  
უნდა აღსდგეს საკუთარი ჩვენი ბიბლიის -  
„ვეფხისტყაოსნის“ საქართველო,  
კაცობრიობის დიდი წიგნის  
მოგავალი კაცობრიობის უდიდესი და ნამდვილი წმინდა წიგნის,  
უნდა აღსდგეს საქართველოში საქართველო,  
შუამდინარულ-კავკასიური!  
როგორც დიდი კელაპტარი ჩვენი პლანეტის,  
უნდა აღსდგეს საქართველოში საქართველო!  
ღვთით კურთხეული კაცობრიობის სიყვარულის...  
უნდა აღსდგეს „ვეფხისტყაოსნის“ საქართველო,  
ბგეჟინსკების და სორტსების საქართველოდ გარდასახული,  
უნდა აღსდგეს საქართველოში დამწყვდეული საქართველო,  
გარდასახული დიდი რუსთველის „ქაჯეთის ციხედ“,  
უნდა აღსდგეს ქართველი ხალხის აბობოქრებით,  
აბობოქრებულ მემობრობითა და სიყვარულით,  
და უნდა ვიხსნათ საქართველოში დამწყვდეული საქართველო  
რუსთველის სიბრძნით: ერთგანეთის აბობოქრებულ მემობრობით და  
სიყვარულით...  
უნდა ვიხსნათ საქართველო  
ვით ქვეყანა - მზეთუნახავი, დედამიწის ქვეყანათ შორის...  
მზეთუნახავი სამშობლო ჩვენი...  
უნდა განვკურნოთ დედამიწა,  
სიძულვილის წყლულით სწული,  
და სიძულვილზე გამარჯვება ვიგვიძოთ,  
ქართველთ მოდგმის გულისაული...  
უნდა აღდგეს გვიადისა და მერაბის წარმართული,  
ქართველი ერის ეროვნული მოძრაობა,!  
უნდა აღდგეს ახალი ძალით,  
უნდა აღდგეს საქართველო, ხელახალი აღმავლობით,  
კაცობრიობის ახალი ცოდნით,  
თვით საქართველოს ახალი ხედვით,  
და სიმთკიცის ღვთიური მადლით!

დე! ნამდვილი გამარჯვება,  
 ვით ახალი დიდგორი და ბასიანი,  
 ვიზივით სვეთიფხოვლის გაღვანში,  
 სიახლოვით და სიყვარულით საუფლო კვართის,  
 სიდონიას გულში ჩაკრულის,  
 ვიზივით დიდი ზვივით და ნადივით,  
 თავისუფალი და დიადი საქართველოს დროშის ფრიალით!  
 ჟრისთესობის მახარობელი დიდი მოგვების  
 აალებული, ცადაწვდენილი სიმღერითა და გალობით,..  
 საქართველოში უნდა აღდგეს საქართველო  
 საქართველოს უპირველესი ჟრისთიანული დროშის ფრიალით!



ერის ბედი წყდება „აქაც“ და „იქაც“ – მიწასა და ზეცაში, ღვთისა და ხალხის ნებით. ეს ნება ან ემთხვევა ერთმანეთს (როდესაც ერი ღმერთს მიჰყვება), ან არა (როცა ერი ღვთისკენ მიმავალ გზას კარგავს). ერის სული, იგივე ერის მითიური სუბსტანცია, ღმერთმა ხომ თავად სცნო გადარჩენის ღირსად. ერი უნდა ცოცხლობდეს, როგორც მთლიანობა, რომელიც გამჟღავნდება მის ყოველ ნაწილში. ეს მთლიანობა კი ყველაზე მძაფრად თვით მის პიროვნებაში გამოიხატება, რომელიც გაიგივდება „აჩრდილთან“ „მარად და ყველგან მყოფ უკვდავ სულთან“. სწორედ აჩრდილმა, უპირველეს ყოვლისა, შეგვამეცნებინა ჩვენც წარსულის, აწმყოსა და მომავლის, როგორც დაუცალკევებელი მთლიანობის, აუცილებლობა.

ის, რაც იყო, აღარ არის და რაც არის, აღარ იქნება (ეს გულისხმობს არა მხოლოდ ბიბლიურ სიბრძნეს, არამედ კონკრეტულ-რეალურ ვითარებასაც), მაგრამ, ამავდროულად, რაც იყო, ის უნდა დარჩეს, ის უნდა განმეორდეს, თორემ ერი დაიღუპება. ერის „აჩრდილი“, რომელიც „მარად და ყველგანაა“, მუდამ განმეორდება, გამოვლინდება (ოღონდ საჭიროა იმგვარი ცხოვრება, რომ შესაძლებელი გახდეს მისი „დანახვა“ „გზნება“).

განმეორება გულისხმობს წინაპართა მსგავსად ცხოვრებას. ერი უნდა ერობდეს, რაც, უპირველესად, გულისხმობს მამულისა და რჯულისათვის ბრძოლას. მისი უდიდებულებობა ერი წარმოდგება, როგორც მატერიალურისა და სულიერის ერთობა. ერი ვეღარ „მიემსგავსება“ წინაპარს („ერის დაცემა და გათახსირება მაშინ იწყება, როცა ერი, თავის საუბედუროდ, თავის ისტორიას ივიწყებს“. „არ ვიცი, რანი ვყოფილვართ, არ ვხედავთ – რანი ვართ, ვერ გამოგვისახია – რანი ვიქნებით! ყურებში ბამბა გვაქვს დაცული და თვალებზე ხელი აგვიფარებია. არც არაფერს ვხედავთ, არც არაფერი გვესმის“ („რა გითხრათ? რით გაგახაროთ?“), წარსულსა და აწმყოს შორის განყვეტილია კავშირი, რაც ერისთვის თვითმკვლელობას ედარება. დღეს ქვეყანა ავსებულია უსამართლობით, განუკითხაობით, ურწმუნოებით, გამქრალია ქართველი ერის სიმყარის განმაპირობებელი „ჯვარცმული ღმერთის“ რწმენა.

„რალა დაბადავს თქვენში დიდს გრძნობას?“ – კითხულობს თავად ილია. წარსულის აწმყოში მყოფადობას ერი განიცდის არა მხოლოდ მეხსიერებით, არამედ მატერიალურადაც, დატოვებულ-მიტოვებული ძეგლების, ხელნაწერების, ტაძრების და სხვა სახით – ისტორიის შეგრძნებას გემოთი.

დღეს, ყოველ ქართველში როდი არის „მარად და ყველგან მყოფის“ ნაწილი. ვინც კარგავს მას, კარგავს მამულსაც. მამულდაკარგული ასეთი ქართველების სიმრავლე კი, მუდამ საგონებელში აგდებდა და გამუდმებით „აფხიზლებდა“ ეროვნულ-სარწმუნოებრივი სულით გაჟღენთილ ერის შვილებს, ერის დაღუპვისაგან ხსნისათვისა და მომავლისათვის – გამეორებისა და ცვლის ერთიანობის აუცილებლობისათვის („რა ვარდმან მისი ყვაავილი გაახმოს, დაამტნაროსა. იგი წავა და სხვა მოვა ტურფასა საბაღნაროსა“).

მატერიალურ-სულიერ ერთობას, უნდა ჰქონდეს თავისი ჩრდილი. დღესაც ხომ, აჩრდილი ის ჩრდილიცაა, რომელსაც განფენს ღმერთის მიერ შექმნილი სულიერი, თუ უსულო საგანი. ნამდვილად არ გვინდა საქართველო გავიაზროთ ჩრდილდაკარგულად. ამ ჩრდილს კი დიდმა ილიამ მიაგნო და დაუბრუნა ერს, თავისი მონამეობრივი მსხვერპლით გამოისყიდა . . .

. . . და მაინც, რანი ვიყავით გუშინ, რანი ვართ დღეს და რანი ვიქნებით ხვალ?! . . .  
რა ვუპასუხოთ?! როგორ განვანათლოთ?! რითი დავამშვიდოთ?! . . .





„ქართველები ისეთი ხალხი ვართ, რომ ბევრს შემთხვევაში თავის  
ბრძნობას, თავის თვალებს და ყურებს როდი ვენდობით.

უსათუოდ სხვამ უნდა გვიპარნახოს რაც ყურით გვესმის.

სხვამ უნდა მიგვითითოს იმაზე, რასაც ჩვენი თვალითა ვხედავთ,

მხოლოდ მაშინ დავიჯერებთ, მაშინ ვიძახით – ბიჭოს, ეს ხომ

მართალი ყოფილა და არ ვიცოდითო!

გვიკვირს და ვოცდებით იმის გამო, რომ ცაცხელი მწვავე ყოფილა,

ყინული ცივი და მგელს ცხვრის ჟამა სცოდნია!”

### ვაჟა-ფშაველა



ISSN 1987-7986

[helsinkiunion@gmail.com](mailto:helsinkiunion@gmail.com)

---

---

სარედაქციო კოლეგია: ნუკრი ბაღდავაძე - კოლეგიის თავმჯდომარე;  
მალხაზ მუსერიძე - კოლეგიის თავმჯდომარის მოადგილე საგამომცემლო-  
ფინანსურ დარგში; გიორგი ნივნივაძე - კოლეგიის თავმჯდომარის მოადგილე  
კოლიტიკურ-თემატურ დარგში; ნოდარ კიკნაძე - მთავარი რედაქტორი; თორნიკე  
ამაშუკელი - პასუხისმგებელი საგამომცემლო რედაქტორი; თამარ (თამუნა) რაზმაძე  
- პასუხისმგებელი მდივანი.

---

---